იბერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო

პერიოდული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne

„IVERIA"

Directeur E. PATARIDZE. Rédacteur S. TCHIRAKADZÉ.

დეკემბერი 1961 № 9 DÉCEMBRE 1961

ნ-5149

შინაარსი:

მეთაური.

ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის . . . სევ. ჭიჩაქაძე

ისტორიის აქსიდანი . . . . . ი. ხ.

ცოტა რამ ლიტერატურულ საქართველოზე . . . შ. კალანდაძე

ევროპის დეკოლონიზაცია და რუსეთის კოლონიალიზმი ელ. პატარიძე

ორმოცი წლის თავი.

«26 მაისი».

თენგიზ დადეშქელიანი . . . . . სერგო იანგითელი

სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიათა კრება.

«საბჭოთა პოლიტიკური ომი»-სადმი საწინააღმდეგო კონფერენციის მეორე კონგრესი . . დამსწრე

«კაპტივ» ერთა შე-V სესია.

აკაკი წერეთლის დღე.

«საქართველო»-ს უკანასკნელი ნომერი.

შოთა რუსთაველის საფლავი და სხვ.

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.

LE PARTI NATIONAL-DEMOCRATE GEORGIEN

პარიზი — PARIS

1961

გურამ შარაძის ბიბლიოთეკა

ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო
პერიოდული გამოცემა

დეკემბერი 1961 № 9 Décembre 1961

«ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს»

«მეცხრამეტე საუკუნის მეტად შინაარსიანმა ეპოქამ, პიროვნების თავისუფლებასთან ერთად, მთელი მისი სიმძიმით, მსოფლიოს წინაშე დასვა ეროვნებათა თავისუფლების საკითხი და მეოცე საუკუნეს პასუხის გასაცემათ უანდერძა. მცირე ერების თავისუფლებისათვის ბრძოლებია, ამა თუ იმ სახით, მეტ-ნაკლები სიძლიერით, მთელ მსოფლიოს რომ მიწისძვრად ევლინება. მეოცე საუკუნემ ამ საკითხს ღირსეული პასუხი უნდა გასცეს: ბოლო უნდა მოუღოს ეროვნულ-პოლიტიკურ ბატონყმობისა და კოლონიალიზმის ხანას» ვსწერდით ჩვენ 1956 წლის თებერვლის «ივერიის» ნომერში.

იმ დღიდან დაწყებული, ხუთი წლის განმავლობაში, დასავლეთ ქვეყნების სივრცეზე მომხდარი ეროვნულ პოლიტიკური მოვლენები, გამართლებასა და დადასტურებას აძლევს, ჩვენს მიერ იმ ხანებში გამოთქმულ აზრსა და შეხედულებას. გვიძლიერებს იმედსა და რწმენას, ახლო მომავალში ჩვენი ეროვნული თავისუფლების აღდგენისას.

ეროვნული თავისუფლების ძლიერმა მიმართებამ დაანგრია დასავლეთ ქვეყნების კოლონიალიზმის ხავსმოდებული ჯვებირები. ძლევამოსილ დიდ მდინარედ ქცეული, ტალღებაყრილი ეხეთქება აღმოსავლეთით მდებარე იმპერიალისტური საბჭოთა რუსეთის კოლონიალიზმის ჯვებირებს. შორს არ არის ის დრო, როდესაც თავისუფლების ტალღები გადალახავენ მათ. რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები «წმიდა წყალ ნაპკურები», ბრძოლის დროშით აღსდგებიან და ეროვნულ თავისუფლებას აღიდგენენ. შეუძლებელია, ეროვნული თავისუფლების შარაგზით მიმავალი ისტორიის შეჩერება. მის კანონმდებლობასა და განაჩენს ვერც საბჭოთა რუსეთი გაექცევა.

გარდამწყვეტი ბრძოლის მოახლოება მოითხოვს ქართულ-ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაციისაგან, მეტის ენერგიით და მანეობით აწარმოოს პოლიტიკური და დიპლომატიური მუშაობა, საქართველოს და ქართველი ერის უფ-

ლებათა დასაცავად, როგორც თავისუფალი მსოფლიოს თანამგრძნობმა, თანამგზავრმა და თანამებრძოლმა.

«ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს»-ო, ათქმევინა გლეხს, ჩვენი ერის მესაიდუმლე, დიდმა ილიამ, ქართველი ხალხის განათლებულ და მოწიხავე თაობათა გასაგონათ და შესასმენად. ამ აზრში დიდი სიბრძნეა «ხელით-ხელ საგოგმანები», ყოველ დროსა და მომენტში გამოსადეგი. ქართველი ერი მხოლოდ თავის საკუთარ თავს უნდა დაეყრდნოს და ეროვნული თავისუფლების გზით მიმავალი და მებრძოლი, თანამკზავრთა და მოკავშირეებს უნდა ეძებდეს.

ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაციაც,—რომლის უწმიდესი მოვალეობა და დანიშნულებაა, უცხოეთში პოლიტიკურ-დიპლომატიური მუშაობით, ხელი შეუწყოს და დაეხმაროს ქართველ ერს, ეროვნული თავისუფლების მოპოებისათვის წარმოებულ ბრძოლებში,—თავის საკუთარ თავსვე უნდა ეყრდნობოდეს, საკუთარი სულიერი და მატერიალური საშუალებებით უნდა აწარმოებდეს საქმიანობას. ორმოცი წლის განმავლობაში, უცხო ქვეყნებში დამკვიდრებული ქართული ემიგრაცია ამისათვის საკმაოდ შეძლებულია და ღონიერიც.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის უცხოეთში წარმოებული ეროვნულ-პოლიტიკური მუშაობაც, ერთგვარ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას საჭიროებს, რათა საერთაშორისო პოლიტიკურ ყოველგვარ მდგომარეობასა თუ ვითარებაში, ეროვნული უზენაესი მიზნისადმი შესაფერი საკუთარი აზრი გამოსთქვას, მისი განხორციელებისათვის საკუთარი სწორი გზით იაროს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო «ივერია», როგორც წინად «სამშობლო», ჩვენი საკუთარი ქართული მატერიალური საღსრებით გამოდის, ხანგამოშვებით და იშვიათად. ის როგორც დამოუკიდებელი ჟურნალი, ჩვენი თავისუფალი სიტყვისა და აზრის ორგანოა, პატრიოტული გრძნობითა და საღი ქართული გონებით გარკვეული მიმართულების ხაზით, სამშობლოისა და ერის სამსახურში მდგომი, მათი ინტერესების სადარაჯოზედ.

ჩვენი ორგანო «ივერია», რომლის გამოცემა, უკანასკნელ წლების განმავლობაში შეჩერებული იყო ტექნიკურ და მატერიალურ დაბრკოლებათა გამო, კვლავ ეელინება ქართულ საზოგადოებას, შემთხვევით, ილიას «ივერია»-ს პირველი ნომრის გამოსვლიდან(1877 წ. მარტის 3), 85 წლის თავზე. რათა უკანასკნელის მიერ გაკვალული გზით იაროს ერისა და სამშობლოს თავისუფლებისა და დიდებისათვის.

ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის.

ორმოცი წელი შესრულდა, რაც საქართველო დაპყრობილია მტრის მიერ. ეს ხანა ერის ცხოვრებაში, მისს ისტორიულ ქამთა მდინარებაში წვეთია ზღვაში. ჩვენი თაობისათვის კი მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლების პერიოდია და შეიძლება ჩვენი სიცოცხლის მანძილიც, საკმარისი არ აღმოჩნდეს ამ ბრძოლების გამარჯვებით დაგვირგვინებისათვის. ბევრი უკვე დაეცა და მსხვერპლად შეეწირა ქართველი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლას. ბევრმა კი უცხოეთში საუკუნოდ მიიძინა იმ რწმენით, რომ ეს ბრძოლა ბოლომდის გაგრძელდება იმათ მიერ, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია და ვისაც სამშობლოს მომავალი ბედნიერებისათვის გული ერჩის.

უიმედობა და სასოწარკვეთილება ვერასოდეს ჩვენში ნავთსაყუდელს ვერ იპოვის, მიუხედავად ემიგრანტული ცხოვრების ხანგრძლიობისა, დიადი მიზანი—საქართველოს თავისუფლების მოპოება, გარდაუვალი მოვალეობა სამშობლოს წინაშე ჩვენ გვაქვალებს, მტკიცე რწმენით, შეუდრეკელი ნებისყოფით, თავდადებით გავაგრძელოთ ის ბრძოლა, რომელიც ამ ორმოცი წლის წინად, შემოსეულ მტრის წინააღმდეგ თბილისის ზღუდეებთან დაიწყო.

ერის დაპყრობას «ეროვნულ დღესასწაულად» აცხადებენ და მას ყოველ წლიურად იხდიან, ხოლო უკანასკნელ ორმოცი წლისთავისათვის ქართველი კომუნისტები დიდის ზეიმით ემზადებოდენ ამ სამარცხვინო დღესასწაულის გასამართავად;—გულწრფელად თუ უგულოდ, ამას ცოტა მნიშვნელობა აქვს, მთავარია მისი საჯაროდ გამოვლენა, უქვეშევრდომლესი, მონური გრძნობების გამოცხადება კრემლის მპყრობელების გულის მოსაგებად, მათ საამებლად.

ჩვენს ისტორიულ წარსულში, არც ერთი დროის საქართველოს, არასოდეს მტრის წინაშე მონურად ქედი არ მოუხრია და შეუპოვარ ბრძოლებს აწარმოებდა დამპყრობელების წინააღმდეგ. ჩვენი ისტორიის ანალები სავსეა თავგანწირული ომების მოთხრობით, რომელთაც ქართველი ერი უმართავდა, მისი ეროვნული თავისუფლების გამანადგურებელთ, მისი მიწა-წყალის დამპყრობელთ: სპარსელებს, რომაელებს, ბიზანტიელებს, არაბებს, მონგოლებს, თურქებს და სხვ. ეს ომები,—ხშირად საქართველოს მოსასპობათ ბოროტად გამიზნული, უმალ მტრების მოსპობით მთავრდებოდა. მათი სავალალო შედეგები მეტად ხატოვანად აქვს გამოთქმული მე-19 საუკუნის (პირველ ნახევარის) ისტორიკოს და ფილოსოფოსს პლატონ იოსელიანს: «ქართველი ერი ძველი და მრავალთა ჭირთა და შეიწროებათა მნახველი, ადვილად მიიღებდა მწუხარებასა და ადვილად განიკურნებდა თავსა, ვითარცა

ჭირნახადი... ვერ ერეოდა ვერც შინაგანი, ვერც გარეგანი მწუხარება... გაღელებულ (მღელვარე) თავისუფლებათა და განლაღებული მთებითა, ეცინოდა ბედსაცა და უბედობასაცა... ქართველთა გამოსწოვეს ტვინი (ძალ-ღონე) სპარსთა, შეუამეს იმპერია რომისა (ვითარცა იტყვის პლინიუს), შესუამეს ბიზანტია და თვით დაშთა შეუუმელად მათთვის, რომელნიც ჰგონებდა მათსა შეუმასა... მახესა დაგებულსა მტერთაგან, თვით მტერნი გაებენ. საბრხე (მახე-სარეგველა) შეიბუსრა და ჩვენ განვერენით (განვლეთ)... ესრეთ არს თვისება და ხასიათი ქართველთა ნათესავისა (ერისა), ძველისა კაცთა ნათესავთა შორის»...

ამ სტრიქონებს ჩვენი ისტორიკოსი სწერდა, როცა კავკასიაში და საქართველოში მყარდებოდა რუსეთის მფლობელობა, რომელიც სპობდა ძველი ერების დამოუკიდებლობას და იმპერიალისტური ზრახვებით შეპყრობილი აზიისაკენ მიისწრაფოდა სხვათა «შესაუმელად». აქ ალუზია მეტად მკვეთრად არის გამოთქმული და თვით აგრესორ რუსეთზე მითითებასაც არ საჭიროებდა. შეიძლება ეს იყოს ფატალისტური ფილოსოფია, მაგრამ მაინც თავისებური ისტორიის ფილოსოფია, დამყარებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ხალხის ღრმა რწმენაზე, მისს სიბრძნესა და სინამდვილეზე.

საერთოდ, მართლაც ყველა იმპერიის, როგორც მექანიკური სახელმწიფოებრივი გაერთიანების, ბედი ერთნაირად ბოლოვდება, მისი დაშლით და დაქსაქსვით. დაპყრობილი ერები კვლავ ფენიქსებრ ახლდებიან და საკუთარ ფეხზე სდგებიან. მოკლედ ასეთია პლატონ იოსელიანის ისტორიის ფილოსოფია, ე. ი. ქართველი ერი თავის დროს და თავის ადგილს რუსეთსაც გამოხრავს ტვინს და მასაც ისე მოინელებს, როგორც სხვები მოინელა. ამ ბედისწერას ვერც რუსეთის იმპერია გაექცევა. ამის ტენდენციები უკვე სჩანდა პ. იოსელიანის დროსვე, როდესაც ქართველობა სასტიკად ებრძოდა რუსეთის მფლობელობას საქართველოში და მის შესაუმელად გამუდმებით ემზადებოდა.

ხოლო პ. იოსელიანის, ისე როგორც ყველა აღმოსავლეთის ხალხების, ფატალისტური კონცეპცია სრულებით იმას არ მოასწავებდა, რომ ქართველ ერს გულზე ხელები დაეკრიფა, თავის ბედს დამორჩილებოდა და დალოდებოდა რომ ეროვნული თავისუფლება, უბრძოლველად, თავისთავად კარს მოადგებოდა. გენიალური რუსთველის «ვეფხისტყაოსანის» გმირები ფატალისტებია და ბედისწერის ფილოსოფიის მაღიარებელნი, მაგრამ ბედს არასდროს ემორჩილებიან. იბრძვიან და დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი ამ საბედისწერო განსაცდელიდან გამარჯვებულნი გამოვლენ. ქართველი ერი მთელი საუკუნოების განმავლობაში რუსთველის ამ სიბრძნით სულდგმულობდა, მისთვის ბედს არასდროს არ უმტყუ-

ნია, გადაურჩა დიდ ისტორიულ ქარტეხილებს, სხვადასხვა დამპყრობელთა შემოსევას და აოხრებას, მრავალჯერ გადაურჩა მიწისაგან პირისა აღგვას და დღემდის მისი მებრძოლი უკვდავი სული განაგრძობს სიცოცხლეს.

ყველა ბრძოლებიდან ჩვენ გამარჯვებული გამოვდიოდით და ეროვნულ დამოუკიდებლობას ვინარჩუნებდით, თუმცა ეს ძალიან ხშირად ძვირად გვიჯდებოდა, მაგრამ ერს. რომელსაც სურს თვითარსებობა, ისამ მსხვერპლს არასდროს არ უნდა მოერიდოს. სხვადასხვა ეპოქაში ქართველ ერს უხდებოდა მოხდვავებულ მტრის მოსაგერიებლად ეძია მოკავშირე და დამხმარე ყველგან, რომ უზრუნველეყო თავისი ეროვნული არსებობა. მეტ წილად ეს ძიება უშედეგოდ, ან დაპირებით მთავრდებოდა. ფიზიკური განადგურების საფრთხე გარშემორტყმულ მუსულმანურ ქვეყნებისა თანდათან გვიახლოვდებოდა და საქართველოს სრულს დაღუპვას უქადდა. მონღოლების შემოსევამ დაარღვია საქართველოს მთლიანობა და მისი სახელმწიფოებრივი ძლიერება, თურქებმა აოხრეს და დაიპყრეს ძველი მესხეთის მხარე, ეს კარიბჭე საქართველოს ძლიერების და ჩვენი კულტურის აკვანი. მესხეთის საქართველოდან მოწყვეტამ და გამუსულმანებამ. საქართველოს სამეფო მეტად დაასუსტა და ვეღარ შესძლო ეროვნული მთლიანობის აღდგენა. მტრებიც ხელს უწყობდა მისს დასუსტებას და დაუძლურებას, ყოფდენ რამდენიმე წვრილ-წვრილ სამთავროდ და შიგ თავიანთ გავლენას ამკვიდრებდენ. ერეკლე მეფის ძლიერმა სამხედრო ნიჭმა, ვერც მისმა პოლიტიკურმა გამჭრიახობამ საქართველო ვერ იხსნა მოახლოვებულ საფრთხიდან.

უკანასკნელად, მე-18 საუკ. ბოლოს, მრავალ ომგადახდილი ერეკლე, რომ თავიდან აეცდინა მოსალოდნელი ეროვნულ სახელმწიფოებრივი კატასტროფა, მუდმივად სპარსეთ-თურქეთის შემოსევა-აოხრებისაგან, რომ საქართველოს სამეფოს პოლიტიკური არსებობა და ერი ფიზიკურ განადგურებისაგან გადაერჩინა, იძულებული იყო დახმარებისათვის მიეპართა ქრისტიანული რუსეთისათვის, რომელიც იმ ხანებში უკვე მოიწევდა საქართველოს სახღვრებისაკენ, აგზავნიდა ფარულად ელჩებს სამეფო კარზე, რომელნიც ურჩევდენ მეფეს მიეღო რუსეთის იმპერატორის მფარველობა. მეფე ერეკლეს შინაურმა არევდარევამ, უთანხმოებამ, საგარეო საფრთხემ და სპარსეთის მუდმივმა თავდასხმებმა მიაღებინა მისი რუსეთის ორიენტაცია.

ეს იყო დიდი შემობრუნება ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიის მიმართებისა, რადიკალური შეცვლა საგარეო პოლიტიკისა, ძველი ტრადიციული გზის დატოვება და ახალი ორიენტაციის მიღება. საქართველოს, ყოველმხრივ გარსშემორტყმულ მუსულმანურ ქვეყნებით, დიდხანს უხდე-

ბოდა ქანაობა ორ მოქიშპე ძალთა—სპარსეთ-თურქეთის შორის, რომელნიც ცდილობდენ კავკასიაში საბოლოოდ დამკვიდრებას. ის აწარმოებდა მოქნილ თავდაცვითი პოლიტიკას, რაც ხშირად მთავრდებოდა მისი აოხრება-განადგურებით. რუსეთის პროტექტორატის აღიარებით, მართალია, საქართველო გამოეთიშა მუსულმანურ სამყაროს. მაგრამ დაჰკარგა ეროვნული თავისუფლება, რაც დაბოლოოდა ანექსიით, სამეფოს გაუქმებით და რუსეთის უბრალო გუბერნიებად გადაქცევით.

ქართველი ერი, ამ შემთხვევაშიც, არ შეურიგდა ბედს. სასტიკი ბრძოლებით და აჯანყებებით შეიმ. რთა რუსეთის ძალადობის და მისი დამოუკიდებლობის მოსპობის წინააღმდეგ. ერთ საუკუნეზე მეტი გაგრძელდა ეს ბრძოლა და წინააღმდეგობა, გაშლილ საზ ოგადოებრივ მოძრაობის. ეროვნული შეგნებით შეიარაღებული ერის მოწინავე დასების მეთაურობით, შესაძლებელი გახდა ეროვნული პოზიციების დაპყრობა და განმტკიცება, რუსეთის ადმინისტრაციის გააფთრებული შემოტევის უკუგდება და ქართველი ერის მოსპობის და გადაგვარების გეგმების ჩაფუშვა.

ახლა, ქართველი მეცნიერები იძულებულნი არიან, დამპყრობელ რუსეთის (მეფის რუსეთის და საბჭოთა კავშირის) პოზიციებიდან გააშუქონ საქართველოს ისტორიოგრაფიის საკითხები, არბილებენ რეჟიმის (ძველის და ახალის) ეროვნული ჩაგვრის სისტემას და დიდ პროგრესიულ მოვლენად თვლიან საქართველოში რუსეთის მფლობელობის დამკვიდრებას ამა თუ იმ საბამით. ეს თეზა ჩვენთვის მიუღებელია, ის მცდარი და აშკარად წინააღმდეგობაშია სინამდვილესთან (ამის შესახებ სხვა დროს).

როგორც ცნობილია, რუსეთი არ დაკმაყოფილდა საქართველოს დამოუკიდებელ სამეფოს გაუქმებით. სახელ მწიფოებრივი არსებობის მოსპობით ხელი ჰყო მისს მიწა-წყალის მთლიანობას თვით რუსების და სხვათა ჩამოსახლებით, კოლონიურ რეჟიმის დაწესებით უწყალოდ ძარცვავდა მისს სიმდიდრეს, გამარუსებელი პოლიტიკით სისტემატიურად აწარმოებდა ქართველი ერის დენაციონალიზაციას, მისი ეროვნული ვინაობის აღმოფხვრას. ქართველი ხალ ხის საუკეთესო შვილების მძაფრი წინააღმდეგობით ეს ბრძოლაც ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა. ომმა და რევოლუციამ (1917 წ.), რომლის შემზადებაში ქართველობამაც დიდი მონაწილეობა მიიღო (თითქოს შური იძია ბაგრატიონების დინასტიის დამამხობელ რომანოვზე) დაამხო რუსეთის თვითმყრობელური რეჟიმი, დაიმსხვრა ერების საპყრობილედ წოდებული იმპერია. ბოლშევიკების გამარჯვებით და მათი დიქტატურით, სამოქალაქო ომის გაჩაღებით, ანარქიამ მოიცვა რუსეთის ვრცელი ტერიტორია. ამ შემთხვევით ისარგებლეს ჩაგრულ

ერებმა და შეუდგენ თავიანთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

საქართველომაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა (1918 წ. 26 მაისს). ამით ის გამოვიდა რუსეთის შემადგენლობიდან და საერთაშორისო ოჯახის სრულ უფლებიანი წევრი გახდა, როგორც სუვერენული თვითმყოფი სახელმწიფო. მაშინ (1921 წ.) ის ცნობილი დე-იურედ მოკავშირე დიდი სახელმწიფოების მიერ, მათ შორის (1920 წ.) საბჭოთა რუსეთისაგანაც. ომის გამოუცხადებლად, შინაური აჯანყების სიმულიაციის გათამაშებით, შულავერში შემდგარ საბჭოთა საქართველოს მთავრობის მოწვევით, ვითომც აჯანყებულ ქართველი გლეხების და მუშების დასახმარებლად, 1921 წ. თებერვალში, წითელმა არმიამ გადმოლახა საქართველოს საზღვრები, მიუხედავად ქართველი ჯარების გმირული ბრძოლებისა და თავისუფალი საქართველო ხელმეორედ დაპყრობილ იქმნა, ხოლო ამ ყამად იმპერიალისტურ საბჭოთა რუსეთის ურდოების მიერ.

უბრძოლველად, ქართველი ერი, როგორც ყოველთვის, არც ახლა დანებებულა დამპყრობელებს და მისს საოკუპაციო ხელისუფლებას. ქართული პოლიტიკური ძალები მაშინვე დაირაზმა და ბრძოლამ რუსეთის წინააღმდეგ ფართო მასიური ხასიათი მიიღო. თავიდანვე ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამბოხებას და ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებს, ხოლო 1924 წ. საყოველთაო დიდ აჯანყებას, რაც თითქმის ორ თვეს გაგრძელდა. სადაც წარმატება ხვდა აჯანყებულთ, მათ სწრაფად მოახდინეს ლიკვიდაცია საოკუპაციო ხელისუფლების მართველობისა. მიუხედავად ქართველი ხალხის აღფრთოვანებისა და თავგანწირული ბრძოლისა აჯანყება მაინც დამარცხდა და რუსის ჯარმა მებრძოლი საქართველო ერთხელ კიდევ ჩაახჩო სისხლის მორევში. გაშმაგებულმა ოკუპანტებმა ათასობით სიცოცხლეს გამოასალმეს დატყვევებული მებრძოლები, დაბეჩრჩენი მასიურად გადაასახლეს შორეულ ციმბირში, საიდანაც ცოცხალი აღარავინ დაბრუნებულა. შემდეგაც ბრძოლა არ შეწყვეტილა, დახვრეტებმა და მკაცრმა რეპრესიებმა ერის სიმტკიცე ვერ შეარყია და ის დღემდის გრძელდება ხან ფარულად, ხან ახდილად.

საბჭოთა კავშირის დაპყრობილ ერების ისტორიაში, ეს პირველი შემთხვევა იყო, ასეთი ფართო ხასიათის აჯანყება, ხალხის მასიური და ერთსულოვანი გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ოკუპანტების საქართველოს საზღვრებიდან გასადევნად, დაკარგულ ეროვნულ თავისუფლების აღსადგენად. შემდეგ ეროვნულ მოძრაობას საბჭოთა წყობილების, ან უფრო სწორად, რუსეთის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა სხვაგანაც—განსაკუთრებით აზიურ რესპუბლი-

კებში და უკრაინაში. ყველაზე ძლიერად ეს მოძრაობა გაიშალა უკრაინაში, რამდენჯერმე იქმნა შეთქმულება აღმოჩენილი და განადგურებული. ნაციონალური «უკლონიზმიც» პირველად საქართველოში წარმოიშვა, იქიდან გავრცელდა ყველგან, სარჩულად მასაც ეროვნული საკითხი ედო, კრემლის თვითმპყრობელ დიქტატურის წინააღმდეგ მიმართული, ხოლო მას ყველგან თვით გავლენიანი კომუნისტები მეთაურობდენ, ისინიც შეუბრალებლად იქნენ განადგურებულნი. მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც. ქართველ მაკომუნისტებმა საქართველოს გადაუხადეს ის ვალი, რომელიც მათ დაედოთ ერის ღალატისათვის, საბჭოთა ჯარების შემოყვანით, მისი დაპყრობისათვის.

საქართველოს დაპყრობის ორმოცი წლის თავზე, საინტერესოა ვიკითხოთ, ამ ორმოცი წლის განმავლობაში, ახლა როგორია საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა? რას წარმოადგენს ის? ან როგორია მისი დღევანდელი უფლებრივი სტატუტი? რას წარმოადგენს ქართული პოლიტიკური ემიგრაცია? როგორ მუშაობას აწარმოებდა და აწარმოებს, დღიდან მისი გაჩენისა, რა ძალებს ემყარება საქართველოს განსათავისუფლებლად? როგორია მისი რწმენა და იმედები? (ამ კითხვებზე ჩვენ შემდეგ წერილებში ვუპასუხებთ).

ს. ჭირაქაძე.

ისტორიის აძსიდანი

დღევანდელ საერთაშორისო არევ-დარევის ხანაში, ყველა სხვა საკითხებზე უფრო მტკივნეულად რუსულ პრობლემას განიცდის კაცობრიობა.

მის ჩიხში მომწყვდევამ, იძულებული გახადა დასავლეთის ჟურნალ-გაზეთები და წიგნ-ბროშურები უფრო დაკვირვებული და გახშირებული ყურადღება მიექცია ამ პირველულ პრობლემისადმი, მაგრამ მოზვერს დღესაც კუდში ჩაჭიდებით უპირობენ შეანელებინონ გააფთრებული და გაცოფებული იერიშები და ჯერაც მას ვერავინ რქებში ხელი ვერ წაავლო.

ლოდიკურია, თუ მიმომხილველნი, საკითხის რკვევის პროცესში ემიგრაციის მწვავე საკითხს ეჩეხებიან. მაგრამ ის ან ცალმხრივად, გაურკვევლად და სუბიექტიურად არის დასმული, ანდა ამ წინასწარ დასახულ თეზას შემდეგ უძებნიან არგუმენტებს.

არარუსული ემიგრანტული ორგანიზაციებისა და მეთაურების გალაშქრება რუსული იმპერიალიზმის, აგრესიისა თუ კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ დაცინვის ტონითაა მიწოდებული საზოგადოებრივი აზრისადმი და და-

სახულია, ან როგორც ემიგრანტულ პამფლენტად, ან როგორც კონტრ-რევოლუციონერების ვულგარული პროპაგანდის იარაღად.

ეს ცოდვით აღსავსე მიდგომა საკითხისადმი ერთგვარად არის წარმოებული მემარჯვენე თუ მემარცხენე ბანაკების მიერ.

ბოლშევიკურია ბეჭვდითი ორგანო, ბოლშევიზანური თუ მონარქისტული ან ბურჟუაზიულ ლიბერალური, მცირეოდენის გამონაკლისით, ყველა ერთნაირად თანაუგრძნობს რუსულ პოლიტიკას—იმპერიის დაუქსაქსველობას. ყველას ასულდგმულებს ან დოქტრინალური, ან ტაქტიკური, ან ჯგუფური, ან კომერციული ინტერესი და არავის კი არ უნდა გაუწიოს ანგარიში იმ პირობებს და ეპოქას, როდესაც რუსული იმპერია ვერც წონასწორობისა და ვერც საკავშირო ურთიერთობაში ფასს აღარ წარმოადგენს. დღეს მას, თავისი, რუსული პოლიტიკა ასულდგმულებს და მილიტარული ძლიერების დაწესებით ეჭვი არ ეპარება ყველას მისი კონცეპციებიც მოახვიოს თავზე და პოლიტიკაც.

ვულგარული პროპაგანდა და მდაბიო ხარისხის პამფლეტები, ცინიკურად სჭარბობს რუსულ წითელ პრესაში, რადიო-გადაცემებში, დიპლომატიურ გამოსვლებში, თვით O. N. U.-ს ორგანიზაციაში და სადაც კი რომელიმე მნიშვნელოვანი და პოზიტიური საკითხი წამოიჭრება კონკრეტიულად და გარჩევის საგნად გადაიქცევა —თანაარსებობაზე ლაყბობაც და იაფფასიანი ღიმილიც სწყდება და ადგილს იჭერს მეცხიერებით განადგურების მუქარები.

თეთრი ემიგრაციის ორგანოები და პასუხისმგებელი პიროვნებანი კი ამავე საბოტაჟურ და ხელის შემშლელ ტაქტიკას უფრო მოქნილად და ყოველგვარის ნიღაბით აწარმოებენ იმავე დასავლეთის რესურსებით და წითლების უჩინარის კურთხევით.

ამნაირად, შეგნებითა თუ შეუგნებლად(?) ფარდის იქითა და აქეთ მყოფი რუსობა თავაუღებლად ერთს მიზანს ემსახურება—დიდი რუსული იმპერიის შემონახვას და ამით პრიორიტეტის ყველგან ხელში ჩაგდებას.

რუსეთის ისტორიაში ადგილი აქვს ისეთს ფაქტორებს, რომელზე შესაძლებელია დასავლეთის ხელმძღვანელ ინტელექტუალურ წრეებს წარმოდგენაც არ ჰქონდეს, მით უფრო, რომ აქ თვით რუსის ინტელიგენციაც თვალსაჩინოდ მოიკოჭლებს.

ერთი ამ ფაქტორთაგანი ის დუალიზმია, რომელიც იმ თავითვე დასჩემდა რუსეთის ხალხისა და ხელისუფლების ურთიერთობას. ეს დუალიზმი ადრიდანვე რომ მოსჩანდა ხელისუფლებისა და ინტელიგენციის შორის, მხოლოდ მაშინ მოისახა, როდესაც აჩქარებულის ტემპით გამოირკვა, რომ

რუსული რევოლუცია არა რუსის მასებმა წამოიწყო, არამედ «ინოროდცებისა» და «ტუზემცების» მონაწილეობით და საფიქრებელია, გავლენითა და წაქეზებითაც მეხივით დაახეთქა თავს ამ მასებს უნიადაგო და ჩიტირეკია ინტელიგენციამ.

ტურგენიევმა მის «რუდინ»-ში და გონჩაროვმა «ობლომოვ»-ში უკვე მე-19 საუკუნის პირველსავე ნახევარში შეამჩნიეს ეს ფენომენი, გრიბოედოვმა კი უფრო ადრე მის «გორე ოტ უმა»-ში და ამ ინტელიგენციის რეალური და მხატვრული სურათი «ლიშნიე ლიუდი»-ს ეტიკეტის მიძღვნით მიაწოდეს საზოგადოებას.

მოულოდნელის სიჩქარით გამოირკვა, რომ რევოლუციის ამოცანები მხოლოდ იმ სფეროში ყალიბდებოდა და კრისტალიზაციას იღებდა, სადაც უნდა მოხერხებულიყო ჯერ ეროვნულ-პოლიტიკური, პიროვნული და მარტივი სოციალური თავისუფლების განხორციელება და შემდეგ, ევოლუციონერის ტემპითა და ეტაპებით უფრო რადიკალური რეფორმების გატარება.

ეს რომ ვერ მოხერხდა (მხოლოდ და მხოლოდ რუსი რევოლუციონერების შეურიგებელი წინააღმდეგობის წყალობით), დაიწყო იმპერიის დაშლა-დაკუწმაწების აჩქარებული და მეტად დრამატიული პროცესი და რუსულმა მასამ, ყველა მასში შემავალ ფენებით, ისე გარიყულად იგრძნო თავი თვით იმპერიაშიც და მსოფლიო სარბიელზედაც, რომ იმედ-გაწყვეტილმა წითელ წყალსა და თეთრ მეწყერს მისცა თავი.

ყველაზე ადრე გაიგო და გამოიყენა კიდეც ასეთი ვითარება ისტორიაში უბადლო იმპერიალისტმა, გეხიოსურმა დემაგოგმა და უმაგალითო ტაქტიკოსმა—ლენინმა და მმართველობის საჭეებიც ადვილად და სწრაფად ჩაიგდო ხელში

მდგომარეობის ასე მოულოდნელად შეტრიალების გამო რუსის ხალხი მთელს ქვეყანას ამორფიულ მასად მოეჩვენა და მსოფლიოს იმ დროინდელმა მესვეურებმა მიუშვეს კიდეც ამ გზით წაზავებულიყო როგორც ხალხი, ისე ლენინი.

თორემ დასავლეთს რომ უნარი აღმოჩენოდა გამოერკვია მისთვის და საკუთარი თავისთვისაც ის მსოფლიო ისტორიაში უმაგალითო შეუთავსებლობა, რომელიც ისტორიულად და საუკუნოებით ახასიათებდა რუსულ საზოგადოებას, ესე იგი ხალხისა და მასების ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, მისი ინტელიგენციის, მისი ელიტის. მის მიერ არჩეულ წარმომადგენლებისა და აგრეთვე აღიარებული მთავრობის შორის და დახმარებოდა ამ საცოდავ მასებს განყენებულ და გაცოფებულ ინტელიგენციასთან ბრძოლაში, შესაძლოა მსოფლიო მდგომარეობა არსებულ გაურკვევლობასა და კატასტროფიულ ვითარებას ასცდენოდა და ერთა და სახელმწიფოთა ურთიერთობაშიც რუსეთი ნორმალური პარტნიორი გამხდარიყო.

ამ მიზეზმა და აგრეთვე იმანაც, რომ ევროპისა და განათლებული კაცობრიობის ბანაკში ტექნიკური პროგრესი მის მორალურ დონეს გადასცდა, დღეს ის ტრაღიკული ლაბირინტი წარმოშვა, რომლიდან გამოსავალ გზებს ვერ ავინ ნახულობსდა ნახევარი საუკუნით ბოლშევიკების რუსეთში გაბატონების ბოლოსაც ბევრი ვერ ხედავს ახალი ომის გარეშე.

საკითხის სიმძიმე კი არსებითად არა ბოლშევიკურ და კომუნისტურ რეჟიმშია საძებარი, არამედ რუსულ ნაციონალურ და ტრადიციულ თავგასულობაში მეზობლებისა და დამონებული ერების მიმართ.

რა რეჟიმიც არ უნდა დამყარდეს რუსეთში, თუ ის მის წარსულსა და აწ არსებულ პოლიტიკას შემოინახავს, კაცობრიობას საშუალება არ ექნება მშვიდობიანად ისუნთქოს და შემოქმედების გზას დაადგეს.

ერთად ერთი გამოსავალი რევოლუციის ხელ-ახალ წამოწყებაშია და ნახევარი საუკუნის ფუჭედ და უნაყოფოთ ჩატარების აღიარებაში.

გარკვეულად დავინახეთ, რომ სოციალ-ეკონომიურ საკითხში მუშებისა და გლეხობის მოტყუებას თან მოჰყვა პიროვნული და ნაციონალური თავისუფლების მოტრფიალე და მომლოდინე ხალხების ჯერ ხელახალი დაპყრობა და შემდეგ მათიც სიცრუის წუმპეში ჩახრჩობა.

რევოლიუციის ხიშტმა სავსებით დაიმორჩილა რევოლუციონური ენტუზიაზმი და ზედ წამოაგო კიდეც გაოცებული და სახტად დარჩენილი იდეალისტები, რუსის ერშიც და «ინოროდცებშიც».—

აქა იქ თავწამოყოფილ პროტესტებს ურიცხვი დახვრეტები მოჰყვა განსაკუთრებით «ინოროდცების» წრეებში და ბევრი იდეიური არა რუსი კომუნისტი მონანიების გზას დაადგა, მაგრამ ამ გზამ მისი ლიკვიდაციაც გამოიწვია.

ვერც ერთი პრობლემა, ვერც ერთი კითხვა და ამოცანა (ისე, როგორც არ იქნა მიცემული სიტყვის დაჭერა და ხელშეკრულებათა პატიოსანი გატარება), რუსეთის წინაშე წამოჭრილი. ვერ გადასჭრა მან ვერც სახელმწიფოთა შორის შეთანხმების ბაზებზე და ვერც დემოკრატიულის, ან ჰუმანიური საშუალებით.

პირიქით, ყველა რთული და ისტორიული მნიშვნელობის საკითხები რუსეთმა ცალმხრივად და მარტოოდენ ძალმომრეობით გადასწყვიტა, მხოლოდ არა ძლევამოსილ მოწინააღმდეგეთა, არამედ მცირე რიცხოვანი ერებისა და ხალხების მიმართ და სადაც კი ხელი წასწვდა და ფეხი შეადგა ან მოიკიდა, ყველგან ყველას კისერი მოუგრიხა.

ეს არის ერთად ერთი ისტორიული სიმართლე და სხვა ტრადიციები ხომ არც წინამორბედ რეჟიმს მოეპოებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სასახლეებისა და არისტო-

კრატიის მიერ იმ დროინდელი ევროპიული ტანსაცმელით შემოსვას.

1960 წელს ხრუშჩოვის დაუშვებელი გამოსვლები უმაღლეს საფეხურებზე და თვით O. N. U.-შიც გვიმხელენ, რომ იარაღის ჩხარუნისა, უზრდელი ჟესტებისა და უზნეო პროპაგანდის გარეშე რუსეთს აღარა დარჩენია რა და ჰგულისხმობს, რომ ნახტომი არ შეეშლება, უკეთუ მსოფლიოს წაჩოქების მიზნით ისეთივე მანევრები მოიმარჯვა, როგორც სამხრეთ-ჩრდილოეთით და დასავლეთ-აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ. დაუცავ ტერიტორიებისა და ერების მიმართ. ის ჰფიქრობს, და არც მალავს ამას, რომ ამ გზით ლელოს გაიტანს და გახდება სამყაროს სრული ბატონ-პატრონი.

ამნაირად. მიაჩვიეს რა დაუსჯელობას, ის დარწმუნებულია, რომ დათმობის პოლიტიკა მომავალშიდაც საკაღ დებულო გახდება დასავლეთისათვის და რუსეთი ნელ ნელა, სისტემატიურად შეიჭრება როგორც კონტინენტის გულღვიძლში, აგრეთვე მისი ყოფილი კოლონიების დაუშრეტელ სიმდიდრეებშიაც.

ნაწილობრივ მან ეს ოცნება განახორციელა კიდეც და მეტიჩრულის თავხედობით ერევა დედა-მიწის ზურგის ყველა კუთხეების შინაურ საქმეებში.

ბოლშევიკებზე ადრე, მეფეთა რუსეთმა გამოიჩინა ასეთი ტენდენციები, მაგრამ არა ასე უტიფრად. ცინიკურად და ახდილად, არამედ უფრო მეტის ტაქტითა და მოჩვენებითი წესიერებით. იოჰანე კალიტა, პეტრე დიდი მისი სასწაულებრივის ანდერძით, ეკატერინე დიდი, ალექსანდრე პირველი და სხვანი მრავალნი მხოლოდ ამ გზით აღწევდნენ ისეთი უზარმაზარი იმპერიის წამოყუდებას, რომელ მაც დღეს ყოვლად მოუფიქრებელ და აუწერელ დემორალიზაციაში ჩაგდო მთელი კაცობრიობა.

ეს უკვე მარტოოდენ სასოწარკვეთილურ თვითმკვლელობას კი აღარ წააგავს, არამედ უამრავი სისხლითა და შრომით მოპოებული ცივილიზაციის მიმართ კრიმინალური ხასიათის ლაჩრული აქტის ფორმებს იღებს.

განა ბევრი მაგალითი მოეპოება ევროპა-ამერიკას და თვით აფრიკა-აზიასაც, რომ რუსეთმა ვინმე, სადმე და ოდესმე დაინდო, დაზოგა და არ მოუჭრა მას განვითარებისა და თვით-სიცოცხლის გზები? დასარწმუნებლად საჭირო არაა არქივის მტვერში ხელების ფათური და ისტორიული საბუთების გადაფურცვლა. კმარა ის სანახავიც, თუ რა მდგომარეობაშია გერმანია, ჰუნგრეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ლიტვა ლატვია ესტონია, ბულგარეთი, რუმინია... თვით იაპონიაც კი შორეულ აღმოსავლეთში ორ ნაწილად გადატეხილი რამოდენიმე რესპუბლიკა ან სამეფო და მათზე ადრე კიდევ საქართველო, უკრაინა, თურქესტანი და სხ. და

სხ., რომ სამოქმედო გეზი შეიმუშავოს ჯერ კიდევ თავისუფლად არსებულმა ქვეყნებმა, თორემ, შიში ვერ იხსნის სიკვდილსა და მონობის გარეშე, ხოცვა-ჟლეტა ისეთსავე სახეს მიიღებს როგორც ჩვენში და თავიდან აუშორებელი გახდება საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, ბენელუქსის, ინგლისის და შემდეგ ამერიკის ხალხებისთვის, იგემონ ჩვენ მაგვარი მონობაც და ფიზიკური განადგურების პერსპექტივებიც.

პიროვნების არ იყოს, ერი და მისი ორგანიზაციულად ჩამოსხმული სახელმწიფო პარაზიტობას თუ მიეჩვია, მისგან ხსნა მიღწეულ იქნება არა მის თავზე ხელის მოსმით, არამედ, ან მისი პოლიტიკურ-სანიტარულ კარანტინში ჩასმით (რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში) ან მისი ადმინისტრატიული და დიპლომატიურ ორგანიზაციის დაშლა-განიავებით.

დღეს დასავლეთის პოლიტიკა და დიპლომატია ინიციატივა დაკარგულია და იძულებულია იმისდამიხედვით იმოქმედოს, თუ რა უდევს თავში რუსეთს. ამიტომ მთელი კაცობრიობა დამბლადაცემულია.

ის იმ თვალსაზრისს ეყრდნობა, რომ ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანიზმის შინაური წონასწორობა მჭიდროთ არის დამოკიდებული მისი საგარეო გავლენისაგან. ერთში განცდილი მარცხი ავტომატიურად იწვევს მეორე მარცხს. რასაკვირველია, ეს ჩინებულად ესმის ყოველგვარ ზნეობრივ ტრადიციას მოკლებულ რუსულ პოლიტიკასაც და რაც ბოლშევიკური რეჟიმის წინამორბედმა რეჟიმებმა ვერ გაბედეს. ის მემკვიდრე U.R.S.S.-მა მთავარ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბაზად გაიხადა.

დასავლეთ-აღმოსავლეთის შორის რკინის ფარდის აღმართვამ საშუალება მისცა რუსეთს ყალბი ინფორმაცია მოეფინა ჯერ საკუთარ ტერიტორიაზე და დაპყრობილ ხალხთა მიწებზე და შემდეგ ფარდის გარეშე დარჩენილ ერებში და სახელმწიფოებში.

ამგვარად, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, საბჭოთა კავშირმა მოახერხა არა თუ რეჟიმის შენარჩუნება, არამედ ისეთი სამხედრო ძლიერების დაწესება, რომლის ბადალი ჯერ არც რუსეთს მოსჩვენებია და არც სხვა რომელიმე ქვეყანას.

მართალია, კონფლიქტის წარმოშობისთანავე, ეს ძლიერება ხუხულასავით დაიშლება, ვინაიდან მას იგივე დაემართება, რაც წინა ორ დიდ ომში მოუვიდა. მართალია ისიც, რომ ამერიკის პოლიტიკური პრესტიჟი და სამხედრო ძლიერება ბევრად მეტია რუსულისაზე და მეტს მორალურ-გონებრივ ელემენტებსაც შეიცავს, და ეს რუსეთმაც კარგად იცის, მაგრამ თუ რუსეთის მტკივნეული პუნქტი (გეოგრაფიული რუქის მიხედვით) ჯერ მის მრავალრიცხოვან აპრელებულ

ეთნოგრაფიაში მოიპოება, და შემდეგ კი, ჩინეთის მოსახლეობის აჩქარებული ზრდის და შიმშილის პერსპექტივების გამო ყვითელი საფრთხის პირველ მსხვერპლიანობაში.—ამერიკისა და მის მოკავშირეთა დრამატიული ვითარების ძირები ადვილად მოსჩანს პირველ ყოვლისა ურთიერთ შორის ჯიბრში და შეუთანხმებლობაში და შემდეგ იმ გაუგებარ ნდობაში, რომლითაც ესენი აჯილდოვებენ კომუნიზმთან ბრძოლის ნიღაბ ქვეშ ამოფარებულ თეთრ რუსებს, საბოტაჟითა და დივერსიით რომ ართმევენ არაქათს მთელი დასავლეთის საგარეო პოლიტიკას.

დასავლეთის საარსებო ორგანოები ისეა ამოვსებული პასპორტითა და გვარით გაამერიკელებული, გაფრანგებული, გაინგლისელებული რუსის ემიგრანტებით, რომ არც ერთ სახელმწიფოს და არც მათ რომელიმე კოალიციას აღარ შეუძლია ის პოლიტიკა გაატაროს, რომელიც მის ეროვნულსა და საკავშირო პროგრესს ემსახურება.

რუსეთის ასეთს ერთგულებას ჩვენ ვერ უსაყვედურებთ ემიგრანტ-რუსებს, თუნდაც იმიტომ რომ დათვის სამსახურს წააგავს რუსეთის მომავლის მიმართ, მაგრამ ვერც ქათინაურებს მიუძღვნით კაცობრიობის ზურგში მახვილის ჩამცემ ელემენტებს. კოლექტიური სიგიჟე თუ არა, რა ახსნა უნდა მიეცეს იმ სიბრმავეს და განდიდების მანიას, რომლითაც შეპყრობილია თვით საბჭოთა მესვეურნიც და მათი «ანტაგონისტი» რუსული ემიგრაციის მეთაურნიც? მაგონდება 1921 წლის წითელი არმიის ჩვენში შემოჭრის პირობები და არც თავიდან და არც გულიდან არ ამოდის ის უზომო სიხარული, რომელიც წითლებისაგან ვასრესილმა და წელში გატეხილმა თეთრმა რუსებმა გამოამჟღავნეს საქართველოს დაპყრობის გამო.

ეს სულისკვეთება, იმთავითვე რომ განმტკიცდა რუს ემიგრანტთა წრეებში, ვერ იქნა აღმოფხვრილი მათი ორმოცი წლის ემიგრანტობითაც კი და პირიქით, ისეა დღეს ჩაქსოვილი მათს ფსიქოლოგიაში და მოქმედებაში, რომ მათთან რაიმე თანამშრომლობაზე ფიქრიც კი წყლის ნაყვაა და ჩვენი საქმისადმი ღალატით დაგვირგვინება.

ამიტომ ყველაფრის მიუხედავად ჩვენი გულისყური და რეალური პოლიტიკა იქით უნდა იყოს მიმართული, საიდანაც დასავლეთს უყოყმანოთ უნდა შეეწყოს ხელი რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში და გაუადვილოთ მას ეს ბრძოლა მისი თვალთახედვის და ყურთასმენის გამახვილებით.

ჩვენი ქვეყნისა და ერის სამსახური მისი სუვერენობისთვის ბრძოლაა. რუსეთმა გარკვევით, დაუფარავად და ურცხვათ დაგვანახა, რომ ისეთი კეთილშობილური აქტის ჩადენა, როგორიცაა ხალხის, ერისა და პიროვნების განთავისუფლება, მას არცა ჰსურს და არც ეხერხება.

თუ რუსული იმპერია არ დაიშალა, მსოფლიოს, რაგინდ პაქტები და ტრაქტატები არ შეჰკრას მასთან, მშვიდობიანობა არ ეღირსება და არც რუსის ხალხი ჩადგება მის ნორმალურ, ნაციონალურ კალაპოტში.

რუსული იმპერია, განსაკუთრებით კი მის ბოლშევიკურ რეჟიმში კონცენტრაციის სახით მოფარგვლა, ნამდვილი ისტორიული აქსიდანი აღმოჩნდა საკაცობრიო კატასტროფად რომ იქცა.

იმედი ვიქონიოთ, რომ საუკუნოებრივ შეცდომების გამოსწორების ხანაც მოახლოვდა იმისდა მიუხედავათ. რომ ამ იმპერიას ატომიური ყუმბარაც მოეპოება და გაგარინ-ტიტოვის კოსმოსში მოგზაურობის აპარატებიც. ასეთი ყუმბარები და კოსმოსში მოგზაურობა ვერ შეაჩერებს იმ ბრძოლას, რომელიც თავისუფლებას მიანიჭებს დამონებულ და დაპყრობილ ერებს, რადგან ამ ერთა სული და სიცოცხლის სურვილი უფრო მძლავრია ვიდრე ატომიური ბომბა.

სამწუხაროა ის მოვლენა, რომ ყველა ქვეყნების საზოგადოებრივ აზრში და თვით მმართველ წრეებშიდაც ის რწმენა გამეფდა, რომ ატომიურ ხანაში ომი წარმოუდგენელია მდგომარეობის ასეთი ყალბი დაფასება კი, შესაძლებელია მეტად ძვირად დაუჯდეს კაცობრიობას.

შეიძლება ეს ლოდიკური დასკვნაა ჰუმანიურ, დემოკრატიულ და განათლებულ ხალხების. მაგრამ ასე არ ფიქრობენ დიქტატორები და ტოტალიტალური რეჟიმების მეთაურნი, განსაკუთრებით კი იმგვარი პარაზიტული იმპერიები. როგორც რუსეთია, რომელსაც არაფრად არ ეპარნიკება ისეთი კაცობრიობა, ისეთი კულტურა. ისეთი ცივილიზაცია. ისეთი პიროვნება და ისეთი ერი, რომელნიც არ დაემორჩილებიან რუსულ იმპერიალიზმს, კომუნიზმის ნიღაბით რომ ევლინება მსოფლიოს.

რაკამსაც რუსეთი იანგარიშებს, რომ ის ომს მოიგებს, ის დაუყონებლივ ავანტიურაში გადავარდება და ამა თუ იმ საბაბის მომარჯვებით ცეცხლს წაუკიდებს ჯერ ახლო მდებარე ქვეყნებს და შემდეგ. საფრანგეთ-ინგლისში, შორეულ აღმოსავლეთში და აფრიკაში ბაზების გაშენებით ატლანტიურ და წყნარ ოკეანეთა გადაღმა მდებარე სახელმწიფოებს.

საკითხი მხოლოდ იმაშია, მოახერხებს თუ არა დღევანდელი რუსეთი შინაური ნაციონალური პრობლემების კონსოლიდაციას და კონფლიქტის პერიოდში ჩინეთის მიერ ნეიტრალიტეტის დაცვას.

ამაზე შემდეგ.

ი. ხ.

ცოტა რამ ლიტერატურულ საქართველოზე.

სხვა მრავალთა შორის—ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა აღსანიშნავი, საბჭოთა სამყაროში—ესაა კომუნისტურ იდეოლოგიისადმი ნდობის დაკარგვა და ბოლომდე მოაზრება იმ ამბავისა, რომ ხალხისა და პარტიის ინტერესები სულ სხვადასხვაა. არასოდეს ისე არ ყოფილა გავრცელებული შეხედულება მთელი თავის დამაჯერებლობით, როგორც დღეს,—რომ «პარტიულობა», კერძოთ ლიტერატურაში და საზოგადოთ ხელოვნებაში და ხალხისადმი სამსახური—მოწინააღმდეგე მცნებებია. და სწორედ ეს აწუხებთ და ეს აღელვებთ კომუნისტურ პარტიის იდეოლოგებს და ამით არის გამოწვეული, ენაშეუნახავი ნიკიტა ხრუშჩოვის განცხადება—«პარტიის და ხალხის დაპირისპირება არა თუ შეუძლებელია, არამედ დანაშაულიც არის»-ო. მაგრამ ნიკიტას ეს თქმა და განცხადება რჩება «თქმათ და ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა». ცხოვრება და შემოქმედება კი სხვას მოითხოვენ და სხვა გააქვთ. მათ სხვა კანონი და სხვა წესი გააჩნიათ. თავისუფალი მსოფლიო ანტიკომუნისტურ მოძრაობას რუსულ ლიტერატურაში საკმაოდ კარგათ გაეცნო. იცნობს მთელ რიგ რუს მწერალთა სახელებს, რომელთაც თამამად უარყვეს ეგრედწოდებული სოციალისტური რეალიზმი—ეს ენიეო და უსაწყალესი მეთოდი ლიტერატურაში. მაგრამ თავისუფალი მსოფლიო სრულიად არ იცნობს (და საუბედუროთ ბევრი ჩვენს რიგებიდანაც) და ეს ჩვენი ბრალია—იმ ფაქტს, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა ლიტერატურაში არა ნაკლები ბრძოლაა გამართული კომუნისტურ იდეოლოგიისადმი—ბრძოლა უფრო ბასრი და პრინციპული ხასიათის, ვიდრე რუსულ ლიტერატურაში. დავასახელებთ საუკეთესო მებრძოლთ და მათ შორის საქართველოც იხსენიება.

მაშ სმენა და გაგონება საქართველოდან!

საქართველოს თანამედროვე ლიტერატურაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე მიმართულება—პარტიული და პროგრესიული (თავისუფალი შემოქმედების დამცველი). რაოდენობითაც და თვისობრივადაც უკანასკნელი უფრო ძლიერი და ღონიერია, მიუხედავად ყოველგვარი დევნისა და «მხილებისა».

რასაკვირველია, პარტიულ მიმართულების მწერლებზე ლაპარაკი ზედმეტია—რადგანაც ყველა ისინი ერთის სახისანი, ერთის ზნისანი და ერთის ლიტერატურული თვალ ტანადობის არიან. «ამ ქამად, ამბობს ცნობილი დამბეზღებელი სერგო ჭილაია,—როდესაც ასეთი ბრძოლაა გამართული ბურჟუაზიულ იდეოლოგიის წინააღმდეგ, განსაკუთრებით მნიშვნელობა ეძლევა პოლიტიკურ თვალ ყურის დევნას... აუცილებელია და სავალდებულო «პარტიულობის» დაცვა და

სოციალისტური რეალიზმის პრინციპების განვითარება ლიტერატურაში»-ო. ესე იგი დაცვა პარტიული სიყალბის, თვალთმაქცობის და ფარისევლობის, ვიტყვით ჩვენ. სულ სხვა ჰაერით სუნთქავს მოწინავე ლიტერატურული საქართველოს თავისუფალი შემოქმედება. ამის მჭერმეტყველური საბუთს იძლევა ლავროსი კალანდაძის ვებერთელა არტიკლი—დაბეჭდილი «ზარია ვასტოკ»-ში 1959 წ. კითხულობთ მას და თქვენ რწმუნდებით, თუ როგორი წრფელი გულის ტკივილით «მოთქვამს» ლავროსი კალანდაძე თავის მშობლიურ ლიტერატურის უბედურებაზე.

«სიმართლის გრძნობა სხვა გრძნობათა შორის—ყველაზე უფრო ნათელია, ყველაზე უფრო მშვენიერია, მაგრამ ხშირათ მეტათ მძაფრი და მწველი. სიმართლე არ მდებარეობს მოვლენათა ზედაპირზე, ის მათ სიღრმეშია. ის არც ისე ადვილად მისაღწევია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. იმისათვის, რომ ვწვდეთ მას, საჭიროა მსხვერპლის გაღება და დიდი გამბედაობა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენს რიგებში ადგილი ჰქონდა სტალინის შეუცდომლობაზე და ყოვლის შემძლებლობაზე უდაოდ ყალბ წარმოდგენას«-ო.

რა ლოღიკური დასკვნის გაკეთება შეიძლება ამ ანოტაციიდან—მხოლოდ და მხოლოდ ერთის: დადგა დრო სიმართლე დავაყენოთ პარტიის მაღლა. სხვა ახსნა-განმარტება კალანდაძის მოწოდებას არ გააჩნია. «რიცხვუდები სტრიქონები დაიწერა, განაგრძობს ლავროსი, სტალინის გენიალობაზე. ვინ ვის არ ეჯიბრებოდა სტალინის ხოტბის შესხმაში (ნამდვილი, «დაევწიო და გავასწრო» ს მარულა იყო გამართული). თუმცა მსოფლიო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ხოტბის-შესხმა მაშინ ჩაითვლება ლიტერატურათ, როდესაც ის მიმართულია უმაღლეს საკაცობრიო იდეალებისაკენ, როგორიც არიან—თავისუფლება, სიყვარული, სილამაზე და სხვა. იქ, სადაც საჭირო იყო ლიტერატურული ფაქტის ღრმა ანალიზი, საკითხის დამოუკიდებელი დამუშავება, იქ ძალიან ხშირათ ლიტერატურული კრიტიკა სტალინის მზამზარეულ დებულებებით გადიოდა ფონს»-ო.

დიდი უმრავლესობა საქართველოს შემომქმედ მუშაკებისა, ლავროსი კალანდაძის აზრს იზიარებს. რასაკვირველია მას უკუაგდებენ პარტიული კრიტიკოსები და მწერლები, რომელთა ნაშრომებში კოლხოზების მონური შრომა გამოყვანილია, როგორც სადღესასწაულო დროს-გართობა. წინააღმდეგ სერგო ჭილაიასი, კალანდაძე მოითხოვს თავისუფლებას ლიტერატურაში. «როდესაც ადამიანთა აზრები და ემოციები ჩაქენილი არიან ვიწრო «სარეცელში» და მარად გასაქანს ვერ პოულობენ, მაშინ ზედმეტია ნამდვილ შემოქმედებაზე ლაპარაკი»-ო, იბადება კითხვა: როგორ გაუშვა ეს არტიკლი «ზარია ვასტოკ»-ის რედაქციამ? უთუოდ დიდი როლი ითამაშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკოსისა და რედაქტორის შეხედულებათა იგივეობამ. მერმედ, როგორც ეხლა ირკვევა ნაციონალურ ინტელიგენციის შეტევამ (ანალოგიურ ამბავს აქვს ადგილი ჩრდილოეთ კავკასიაში თურქესტანში, სასომხეთში და სხვაგან). ასეთს პირობებში ლ. კალანდაძის წერილის გამოქვეყნება არ იქნებოდა ძნელი—პირიქით სრულიად კანონზომიერი. კიდევ მეტი: გამოვიდა რომანი, სადაც სასტიკი მიუდგომლობით ასახულია კომუნისტური რეჟიმი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მწერალ ქალის თინა დონეაშვილის თხზულება—«ალაზანზე».

მთავარი გმირი ამ რომანის ლელიახის რაიონულ კომიტეტის მდივანია—გედეონ ვარამიძე—დესპოტი, შეუბრალებელი, თვითნება. თავის კარიერის დასაწყისში ის ასე თუ ისე სარგებლობს მორალური ავტორიტეტით. მაგრამ მოკლე ხანში ის გვევლინება ავანტიურისტის როლში, რომლის გარშემო თავმოყრილია პარტიული ინტრიგები და ბნელი პიროვნებები ვარამიძის ლექსიკონიდან მალე გაჰქრენ სიტყვები: «ხალხი», «ჩვენ» და მხოლოდ «მე» და «ჩემი რაიონი» გაისმოდა. რაიონში, სადაც მეფობს გედეონი ხალხის გაჭირვება და საჭიროება დავიწყებულია. არა ნაკლებ შავი ფერადებით შემოსილია პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი კორნელი ლოლაძე და განსაკუთრებით რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ავანტიურისტი ფერაძე, ინტრიგანი და ქურდი დემურიშვილი და სხვა ბევრი პარაზიტი, რომლებიც დაუმსახურებლად მიიწევენ სულ ზევით და ზევით.

თინა დონეაშვილი მხატვრული სიმართლით აგვიწერს ლელიანის რაიონის მშრომელთა მძიმე პირობებს, ხელ მძღვანელთა სულიერ სიმწირეს, მათ ზნეს და ხასიათს—სულ ს, რითაც ისინი სუნთქავენ და საზრდოობენ—ერთი-მეორის გამოყენება, პირწავარდნილი კარიერიზმი, პარტიულობის სპეკულიაცია. მათ ერთი რამ ამოძრავებს: რაც შეიძლება მეტი წაგლიჯონ ცხოვრებას. ყველაფერი ეს ისეა ასახული და მოცემული მწერლის მიერ, რომ მკითხველისათვის ფაქტობრივად და არსებითად ნათელია, თუ სად მარხია ბოროტების ძირი—კომუნისტური რეჟიმი მისი დიქტატურა და მისი მოძღვრება--ეი მიზეზთა-მიზეზი ხალხის ყველა უბედურებათა.

რომანი სავსეა მხილებებით და ზოგიერთი სცენა აღსავსე ღრმა შთაბეჭდილებებით. მაგალითად, კოლხოზის მუშაკები ერთხმად აშავებენ რაიონულ კომიტეტის კანდიდატს კომუნისტს და კოლხოზის თავმჯდომარეთ ირჩევენ ზნეკეთილ უპარტიო ნიკო ხელაშვილს. აქ ბევრი გესლია და მკაცრი ირონია, რომელიც ასე ულმობელად მიმართულია კომუნისტურ რეგვენების და მკვრეხელების წინააღმდეგ. ძალიან ცდებიან, საბჭოთა კრიტიკოსები როდესაც ამბობენ მწერალმა დონეაშვილმა დიდი გულისტკივილით დაგვანახა ჩვენი ცხოვრების ნაკლი და უარყოფითი მოვლენებიო,--პირიქით

თინამ გულგრილი ღიმილით აღწერა ვარამიძის «დაღუპვა» და ეს არის სწორედ, რომ იტყვიან სუბსტანციალი ნასკვი ამ ნაწარმოების. ეს კი რეჟიმის გასამართლებაა. ბუნებრივია ოფიციალური კრიტიკა, გულდამშვიდებით ვერ შეხვდებოდა ასეთ ნაწარმოებს და მწერალს დააბრალა საბჭოთა სინამდვილის გამრუდება-დამახინჯება, მაგრამ ნამდვილმა ლიტერატურულ საქართველოს ლიტერატურულმა კრიტიკამ ღირსეულად დაიცვა ქალბატონი მწერალი.

კრიტიკოსი დ. სტურუა აღნიშნავს, რომ «ნაწარმოების იდეური ღირებულება განისაზღვრება სიმართლესთან სიახლოეთი და არა დადგენილებებით»-ო. «მწერალი კრიტიკული თვალით შეჰყურებს ყოველივე დოგმატიზმს, უარყოფს ხელმძღვანელთა (პარტის) შეუცდომლობას და მათ ნაირ-ნაირ მალალ დეკიზებიან ტრაბახს და ყალბ პათოს» სო. აუტანელია და დრამატიული სამწერლო მოღვაწეობა საბჭოთა სამეფოში. მწერლობა (ნამდვილი, თავისუფალი) იქ ის ბეწვის ხიდია, რომელზედაც გავლას, გარდა გულწმინდანიანობისა, მართლის თქმის სიყვარულისა დიდი გამბედაობა ესაჭიროება. რომანს «ალაზანზე» არც ერთი მათგანი არ აკლია, განსაკუთრებით კი გაბედულება.

«ალაზანზე» კონტრასტიულადაა განწყობილი კომუნისტურ რეჟიმთან, მთელი მისი გესლი და ბახვილი მის წინააღმდეგ არის მიმართული. ის არასოდეს რევერანს არ უკეთებს მას, პირიქით კისერ-გამართული ებრძვის. ლუთერი ამბობდა: «ძნელია არა მკვდრად ჩასვლა ჯოჯოხეთს, არამედ ცოცხლად ჯოჯოხეთს ჩასვლაა ძნელი» ო. თინა დონეაშვილმა თავისი მადლიანი კალამით ეს ჯოჯოხეთი სულიერ წარღვნათა და ვაებათ დაგვანახა და ამაში ვხედავთ ჩვენ მისი ნაწარმოების დიდ მნიშვნელობას.

ჩვენ არ ვიცით რა ბედი ეწვია ამ რომანს, ვიცით მხოლოდ სხვა მწერლები და მათი ნაშრომები უხეშ თავდასხმას განიცდიან პრესაში. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აკრძალა გამოცემა მრავალ, როგორც წმინდა ლიტერატურულ, ისე კრიტიკულ-ლიტერატურულ ნაწარმოებთა,—კერძოთ vêto დაადო ქართულ ლიტერატურის ისტორიის მესამე ტომის გამოშვებას—შედგენილს და დამუშავებულს რესპუბლიკის აკადემიის მიერ. შეჩერებულია გავრცელება კონსტანტინე გამსახურდიას კრიტიკული წერილების კრებულის და მისი სამ ტომიანი რომანის «დავით აღმაშენებელი»-ს. რადგან კომუნიზმის მიერ დასახიჩრებული მონების ბედი ვერ პოულობს მასში გამოძახილს. ყველაფერი ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ ხელისუფლებასა და ჯანსაღ ლიტერატურულ საქართველოს შორის სასტიკი ბრძოლაა გამართული.

შ. ბალანდაძე.

ევროპის დეკოლონიზაცია
და რუსეთის კოლონიალიზმი

კოლონიალური ეპოქის დასაწყისში—კულტურისა და ცივილიზაციის მაღალ დონეზე მდგარნი, ინდუსტრიულად განვითარებულნი, გეოგრაფიულად ადგილობრივ საზღვარ დადებულნი, ჭარბი მოსახლეობის მქონე,—განსაკუთრებით ევროპის სახელმწიფოები, რომელთა მოთხოვნილებას და საჭიროებას ვეღარ აკმაყოფილებდა მათი საკუთარი მიწა-წყალი, განვითარებული ინდუსტრიისათვის ნედლი მასალის მიწოდებით, ან მათ საქალაქო მეურნეობის ნაწარმოებს შინა ბაზარი ვეღარ იტევდა, უცხო და შორეულ, ჩამორჩენილ ქვეყნებისაკენ მიმართავდნენ მათ თვალყურს. იმათ ან ომით იპყრობდენ ან მშვიდობიანი მოქმედებით იკავებდნენ; საკუთარ ზედმეტ მოსახლეობას, შემომქმედსა და საქმიანს ჩაასახლებდნენ, თავისუფალ მიწებზე, სასოფლო მეურნეობასა თუ სამთომადნო წარმოებას წამოიწყებდნენ. იქედან ნედლი მასალა შემოჰქონდათ, მეტროპოლიიდან კი ამ ახალი ქვეყნების ბაზარზე საქალაქო მეურნეობის, მჩატე თუ მძიმე ინდუსტრიის ნაწარმოები გაჰქონდათ.

ასეთი კოლონიალური პოლიტიკის მწარმოებელი ქვეყნები იყო. დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, პორტუგალია და სხვები

ცხადია, მათი მამოძრავებელი მთავარი სტიმული მათივე ერისა და სახელმწიფოს ინტერესები იყო. იმავე დროს, მათ მიერ კოლონიებად ქცეული, ჩამორჩენილი ქვეყნებიც არ რჩებოდნენ უსარგებლოთ. მისულთ იქ სასოფლო თუ საქალაქო მეურნეობისა თუ სამთომადნო მრეწველობის აღორძინებასთან ერთად თავიანთი ცივილიზაცია, კულტურა და სასოფლო თუ საქალაქო მეურნეობის ცოდნა შექონდათ. მათი ადგილობრივი ცხოვრების მმართველობაში თუ ერეოდნენ, მათ რასიულ ასიმილიაციას და ეროვნულ გადაგვარებას არ ცდილობდნენ. ამ აზია აფრიკის ხალხების ცხოვრების დონე, კულტურა და ცივილიზაცია, ოდნავ მაინც ასწიეს, აამაღლეს და რასიულად მონათესავე ხალხების ეროვნულ ფორმაციასაც კი ხელი შეუწყვეს. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების იდეამ, რომ ძლიერი ფრთები გაშალა და იმ კოლონიებად ქცეულ ქვეყნებსაც მისწვდა მისი ამაცოცხლებელი სხივი, მათ გზაც გაიხსნა მომავლისადმი. ძველი დიდი ბრიტანეთის დამსახურება იმაშია, რომ მან მაშინვე ალღო აუღო ფეხშემოდგმულ ახალ ერას: საკუთარი კოლონიების ეროვნულ ასპირაციას ანგარიში გაუწია, მოვლენებს წინ გაუსწრო, მათ თავისუფლება გაუფართოვა, ახალი რეჟიმი შეუქმნა, «დომინიონების»

კონსტიტუცია მიანიჭა და ინგლისის იმპერიის კავშირში შეიყვანა. ზოგიერთი კი თითქმის სრულიად გაანთავისუფლა. ვინც მის მაგალითს არ მიჰყვა, კოლონიები სრულიათ დაჰკარგა, ადგილობრივი თუ მსოფლიო ომების შემდეგ.

საფრანგეთის კეთილშობილ დიდ ერს, რომელიც პიროვნებისა და ეროვნების თავისუფლების მშობელად არის მიჩნეული და კანონიერადაც, არ შეეძლო სხვა მიმართულება აეღო: თუმცა დაგვიანებით, ისეც დიდი ბრიტანეთის გზით წავიდა. გაანთავისუფლა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მისი მფარველობის ქვეშ მყოფი სირია, სრული თავისუფლება და სუვერენობა მიანიჭა ტუნისს, მაროკოს, რომელიც დიდ მარშალ ლიოტეს მამობრივის ხელით ეროვნულ სახელმწიფოს სიმაღლემდე აიყვანა: დიდი ფრანგის დე გოლ ის თანასნობით გაანთავისუფლა აფრიკის ხუთმეტამდე ერი და ისეთი ხალხებიც კი, რომელნიც ჯერ კიდევ ერის ატრიბუტებს ვერ ატარებენ. ამ სიტყვის ევროპიულის გაგებით. ისინი «საფრანგეთის სახელმწიფო კავშირში» შეიყვანა ურთიერთ თანასწორობის ნიადაგზე. საფრანგეთის მორალურ-მატერიალურის დახმარებით, ისინი თავიანთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებას საბოლოოთ გაამაგრებენ.

ალჟირის საკითხი სპეციალური ხასიათისაა, განსაკუთრებულის მნიშვნელობის. ფრანგის გენიალობა და კეთილშობილება, უთუოდ ამასაც მოუძებნის გამოსავალს.

ამავე გზით მიდის ბელგიაც, რომელმაც, პირველ-ყოფილ ცხოვრებიდან გამოიყვანა კონგოელები, ევროპის ცივილიზაციასა და კულტურას აზიარა და მათ სრული თავისუფლება და სუვერენობა მიანიჭა.

დაბოლოს დიდ ბრიტანეთმა სრულიად გაანთავისუფლა და სუვერენობა მიანიჭა სპარსეთის ზღვის ყურეში პატარა პროვინცია-საემირო კოვეიტს, რომლის მოსახლეობა 25.000 სულს აღწევს.

დასავლეთის თავისუფალი მსოფლიო და მისი საუკეთესო მეთაურები, ანხორციელებენ მეცხრამეტე მეოცე საუკუნის მიერ წარმოშობილი, პიროვნებისა და ერთა თავისუფლების იდეას, ფეხდაფეხ მისდევენ ამ გზით მიმავალ ისტორიას. კიდევ მრავალი ერი და ხალხი მიიღებდა თავისუფლებას და თვითარსებობის უფლებას, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ მათი დაპყრობის საფრთხე არ არსებობდეს და არ აშინებდეს თავისუფალ მსოფლიოს მეთაურებს. თვით ამ ერებსა და ხალხებსაც ეშინიანთ, რომ ერთი პატრონისა და მფარველისაგან განთავისუფლებულნი, უფრო საშიშარ და ულმობელ მტერს არ ჩაუვარდნენ ხელში. ასეთი მაგალითები არა ერთი მომხდარა ამ უკანასკნელ ხანებში.

——

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვიხილეთ რა ევროპის სახელმწიფოთა კოლონიალიზმის ისტორია მოკლედ, შევეცადეთ აღგვენუსხა მოკლედვე ის ობიექტიური მიზეზები: გეოგრაფიულ დემოგრაფიული, ეკონომიურ-მატერიალური, სულიერ დინამიური. რომელთაც, ნებითა თუ უნებლიეთ, კოლონიალური პოლიტიკისაკენ უბიძგეს მათ, საარსებო არეს და სივრცის მოსაპოვებლად.

ახლა განვიხილოთ ველიკო-რუსეთის კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის საკითხი, რომელსაც ჩვენ არაერთხელ და არაორხელ შევხებივართ ამ უკანასკნელ სამიათეული წლის განმავლობაში, ჩვენი პერიოდული გამოცემების: «სამშობლოს», «ივერიის», «Prometee»-ს და «ქართული აზრი»-ს ფურცლებზედ.

რა უნდა ყოფილიყო ველიკორუსეთის, ძველი ხანისა და ეპოქის ცხოვრების, გეოგრაფიულ-დემოგრაფიული, ეკონომიურ-მატერიალური და სულიერ-დინამიური მდგომარეობა და პირობები, რომელთაც იმპერიალური და კოლონიალური პოლიტიკისაკენ ებიძგა და მიემართა მათი ყური და თვალი: მათი ისტორიული ხანის დასაწყისიდან, მათი მიწა-წყალი ვრცელი იყო, ნოყიერი და მდიდარი, არ აკლდათ ეგრედ წოდებული «Espase-Vital»-ი. არ ქონდათ მხოლოდ შორეულ ოკეანეზედ გასავალი საზღვაო გზები, მაგრამ არ აკლდათ: რით უნდა გასულიყვნენ, რა უნდა გაეტანათ, ან რა უნდა შეეტანათ მათ მაშინდელ ცხოვრებას რომ სპირდებოდა. აკლდათ მხოლოდ, ნიჭი, ცოდნა და უნარი, მათი საკუთარი ვრცელი, ნოყიერი და მდიდარი მიწა-წყლის დამუშავებისექსპლუატაციის, საკუთარი ცხოვრების აწყობის, სახელმწიფოს მართვა გამგებლობის. ამისათვის მათ მიიწვიეს ვარიაგი რიურიკი. ეს არც ისე სათაკილოდ იქნებოდა მიჩნეული იმ ეპოქისათვის. მსგავსი მაგალითებით სავსეა ხალხთა ცხოვრების ისტორია. ბევრი მათგანის დასახელება ზედმეტია. ერთიც საკმარისია: ნახევარი საუკუნის წინ, ოსმალოთაგან განთავისუფლებულმა რუმინელებმა გერმანელ ჰოგენცოლერების გვარიშვილი მიიწვიეს და კაროლ პირველის სახელით მათ სამეფო ტახტზედ დასვეს.

რუსეთის ნოყიერი და მდიდარი, მაგრამ დაუმუშავებელი მიწა წყალი,—კიდევ უფრო გადიდებული და გაშლილი, მათთან სლავიანური ტომების, ბელორუსების და უკრაინელების თანდათანი, ნებით თუ უნებლიეთ შეერთებით, რამოდენიმე საუკუნის გასწვრივ—თვით იყო საკოლონიზაციო არედ მიჩნეული, ახლოს თუ შორს მყოფი არაბთა და მონღოლთა ხალხების მიერ. უკანასკნელი, რამოდენიმე საუკუნე ბატონობდა მათზე. დასავლეთიდან გერმანეთის იმპერიის თვალ-ყურიც ვრცელი რუსეთის ტერიტორიისაკენ იყო მიქცეული, მის მიწა-წყალზედ გაშლისა და ექსპანსიის მიზნით. უკანასკნელი თუ ამას ვერ ახერხებდა იარაღის საშუალებით, მშვი-

დობიანი გზით ცდილობდა ამ მიზნისადმი მიღწევას: გერმანული რასისა და შტოების ბალტიის ზღვის გადაღმა ნაპირზე და თვით შიდა რუსეთში ჩასახლებით, მის გავლენას ავრცელებდა და ფეხს იკიდებდა. ასეთმა გარედან მიწოლამ, ცხადია ხელი შეუწყო რუსეთის ფარგლებში რასიულად მონათესავე სლავიანური ხალხების გაერთიანებასა და რუსული სახელმწიფოს ფორმაციას.

უნდა ვიფიქროთ, რომ მონღოლთა რამოდენიმე საუკუნით ბატონობამ მათი სისხლის რუსულ სისხლში ჭარბად შერევამ, მათმა სულიერმა გავლენამ თავისი დაღი დაასვა და მნიშვნელოვანად გარდაქმნა რუსის ხალხი. მათ წარმოშობიდანვე თანდაყოლილი სხვათა დაპყრობა,—დამონების ფსიქოლოგია გაუძლიერა; შურისძიების სურვილი აღუძრა, და გაულრმავა, სხვათა ქონების მითვისებისა და მიტაცების მადა და უნარი გააუძლიერა. ამ ხნიდან სისხლიანი, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის, ჯერ ბილიკით და შემდეგ სამხედრო შარა გზით მიემართა რუსული პოლიტიკა, რომელიც სლავიანიზმისა და ქრისტიანიზმის ძალად შეტყუპებული ემბლემის ქვეშ ეხეთქებოდა, შორეულ აღმოსავლეთით მჭიდროთ დასახლებულ იაპონიას, დასავლეთით მჭიდროთვე დასახლებულ ევროპის ნაპირებს და სამხრეთით, უფრო ადრე კავკასიის დაპყრობის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიისა და სპარსეთის საზღვრებს. ასეთი პირდაღებული იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის პოლიტიკური ხაზი საბოლოოთ პეტრე დიდმა დააფუძნა მის მიერ დატოვებული ცნობილი ანდერძით და მისი განხორციელების გზებიც დასახა.

ამ «ანდერძით», მთელი მისის «რელიეფით» ა და სიძლიერით, დაისვა აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის არსებული წინააღმდეგობა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათა ამ «ანდერძის» არსებობა, რომელიც უკვე განხორციელების გზას ადგა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველისა და ალექსანდრე მეორეს მეთაურობით.

ირკვევა, რომ კარლ მარქსს ლონდონიდან ამერიკაში ჟურნალ «ნეო იორკ დეილ ტრიბუნ» ისათვის 1853—1856 წლებში წერილების მთელი რიგი გაუგზავნია, რომლებშიც ის აღმოსავლეთის საფრთხეზე განსაცვიფრებელის გონების სიფხიზლით მიუთითებდა, დასავლეთს რომ თავზედ აწვა რუსეთის სახით. ამ წერილთა კრებული მარქსის ქალიშვილს გამოუქვეყნებია 1897 წ., რომელიც ამ ბოლო წლებში აღმოუჩენია პროფესორ J, A, Doering Selwald-ს და თავის კომენტარიებით გამოუცია.

იმ დროს, როცა კარლ მარქსი იმ წერილებსა სწერდა, ევროპა დიდ კრიზისს განიცდიდა: ნიკოლოზ I-მა, მთელის მისი უხეშობით, წამოაყენა აღმოსავლეთის საკითხი, ვითომ-

და «წმიდა ადგილებისა» და მართლმადიდებელ ქრისტიანთა დასაცავად, არსებითად კი რუსული გეგემონიის დასამყარებლად აღმოსავლეთ ევროპაში, რომელსაც ოტომანთა იმპერია ფლობდა. რუსეთის განზრახვა, სწორედ ასე გაიგო დასავლეთ ევროპის მეთაურებმა და რუსეთის მიერ წამოწყებულ ყირიმის ომში, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ოსმალეთის მოკავშირედ გამოვიდნენ. ეს ომი 1853 წლიდან დაწყებული 1856 წლის მარტში დამთავრდა რუსეთის დამარცხებით.

იმ ომის სახით კარლ მარქსმა დაინახა ორი მსოფლიოს «შოკ»-ი, ბრძოლა აღმოსავლეთიდან რუსეთის მიერ დასავლეთის წინააღმდეგ. ცხადია ის როგორც დასავლეთის შვილი, დასავლეთის მხარეზე იდგა და მას აფრთხილებდა: «საკითხი არა სდგას, ამბობდა ის, თუ ვინ იმეფებს კონსტანტინოპოლზე, საკითხი სდგას, თუ ვინ იბატონებს მთელ ევროპაზედ. კონსტანტინოპოლისთვის ბრძოლა საკითხს აყენებს თუ დასავლეთის კულტურა უნდა შესცვალოს ბიზანტიურმა (byzantine) ან და თუ მათ შორის ანტაგონიზმი გამწვავდება და გაუგონარ საშიშ ფორმას მიიღებს»-ო.

კარლ მარქსი სასტიკი გამოთქმებით თავს ესხმის და ამხილებს რუსული პანსლავიანიზმის დაპყრობისა და დამონების ამბიციებს.—რომელსაც რუსულ ექსპანსიონიზმს უწოდებს. ის აღნიშნავს რომ ცარიზმის ასეთი საგარეო პოლიტიკა, მთელის სიძლიერით გამოსახავს რუსის ხალხის სულიერ განწყობილებასა და მიმართებას. რომელიც ღრმათაა ფესვებ გადგმული რუსეთის ისტორიულ სინამდვილეში, პეტრე დიდზე და მის განსაცვიფრებელ ანდერძამდე და რომელიც საუკუნიდან-საუკუნეზე და შთამომავლობიდან-შთამომავლობაზე გადადისო.

«სლავიანური რასა,—ამბობს მარქსი—ხანგრძლივათ გაყოფილი მათი შინაური უთანხმოებით. აღმოსავლეთისაკენ მირეკილი გერმანელების მიერ, დამორჩილებული ნაწილობრივად თურქების, გერმანელებისა და ჰუნგრელების მიერ. პანსლავიანიზმის უხეში აღმავლობით 1850 წლიდან უცბათ გაერთიანდა. ამ ერთობის დასაცავათ. ის იძულებული იქნება, შეუწყნარებელი ომი გამოუცხადოს, ლათინურს, კელტიურსა და გერმანულ რასებს, რომელნიც განაგებენ დღემდე ევროპის კონტინენტს. პანსლავიანიზმი არ არის მოძრაობა. რომლის ასპირაცია იყოს მხოლოდ მათი ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა, არამედ ეს ის მოძრაობაა, რომელიც მიმართული ევროპისაკენ, გაანადგურებს ათასი წლის ისტორიის ნაყოფს. ის ვერ მიაღწევს ამ მიზანს, ისე თუ ევროპის რუქიდან ვერ ამოშალა ჰუნგრეთი, ოსმალეთი და გერმანეთის ერთი დიდი ნაწილი და ამ მიღწეულის შესანარჩუნებლად პანსლავიანიზმმა უნდა დაიპყროს და დაიმონოს ევროპა. ის

რაც გუშინ მხოლოთ იდეოლოგია იყო, დღეს პროგრამათ, უკეთ რომა ვსთქვათ, პოლიტიკურ მუქარათ იქცა 800.000 ხიშტით ზურგგამაგრებული»-ო.

აღწერს რა პანსლავიანური რუსეთის ცარიზმის მოქმედებისა და ცივი ომის მეთოდებსა და ტაქტიკას, რომელთაც ტყუპ-ძმასავით წააგავს დღევანდელი საბჭოთა რუსეთის მეთოდი და ტაქტიკა, უსაყვედურებს ევროპას და განსაკუთრებით საფრანგეთ-ინგლისს მათ წაჩოქების პოლიტიკას, სიმხთალესა და შიშს რუსეთის მუქარის პირისპირ. ის აღნიშნავს რუსის ხალხის ცხოველმყოფელობას, ენერგიას, და ამბობს: თუ მისმა ხელმძღვანელებმა შესძლეს შინაური უთანხმოების მოგვარება, მოსახლეობის სოციალ-ეკონომიური პირობების მოწესრიგება და ლიბერალური რეჟიმის დამყარება, გასაკვირი არ იქნება, რომ ერთ დღეს რუსის კოზაკები ევროპას დაეპატრონონო. მარქსი, როგორც რუსეთის მოწინააღმდეგე არ ერიდება რუსის ხალხი «ბარბაროსული რასის» ეპიტეტით შეამკოს.

ჩვენ მომხრენი არა ვართ მტერი უღირსათ მოვიხსენიოთ, და უდიერი ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდეთ, ხშირათ გვაწუხებს ჩვენს თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა ასეთი ხასიათის გამოსვლები. კარლ მარქსის მაგივრათ ალბად მისი მანდატორები მოიხდიან ბოდიშს, თუ მარქსისადმი სიტყვის შებრუნებას გაბედავენ.

წინად, როცა ამ თემაზე ვწერდით, ჩვეულებად გვქონდა, უცხო ქვეყნებში არსებულ, ისეთი მიმართულების წარმომადგენელთა, ნაწერებით დაგვედასტურებინა, ჩვენი აზრები და შეხედულებები, რომელნიც თავიანთი მსოფლმხედველობით ენათესავებიან ჩვენს მიმართულებას. ეს საჭიროდ მიგვაჩნდა, რათა ჩვენს მიერ გამოთქმული აზრები და შეხედულებები გაგვეძლიერებინა,—გაგვემაგრებინა, დამაჯერებლათა და სარწმუნოთ გაგვეხადა. დღეს შემთხვევა გვეძლევა დავიმოწმოთ, იმ მოაზროვნის ნაწერები, რომლის სოციალურ-ეკონომიურ თეორიებს და ფილოსოფიურ კონცეპციას ჩვენ რადიკალურად ვეწინააღმდეგებით. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ამ ერთი საკითხის შესახებ მაინც გამოუთქვამს, მარქს საღი და სწორი აზრი, მისი და ჩვენი ეპოქის ასპირაციას რომ ეთანხმება და ამაგრებს-აძლიერებს. თავისუფალ მსოფლიოში, მისი მიმდევართაგან მიტოვებული და უარყოფილი. იქნებ ოდნავ მაინც ანუგეშოს ჩვენში აღძრულ მა პატარა თბილმა გრძნობამ, მადლობის ნიშნად რომ მიუძღვნით, ამ აზრის გამოთქმისათვის. ვეპვობთ კი, ამ მცირე საფასურით გამოისყიდოს მან ის გაუზომელი და მომაკვდინებელი ცოდვა, რომელიც მას გულზედ აწევს, კულტურული და ცივილიზებული კაცობრიობის მიმართ რომ ჩაიდინა, მისი «კაპიტალი»-თ კულტურული მსოფლიოს ცივილიზაცია და მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური საფუძვლები, რომ დააზიანა და ხიფათის წინაშე დააყენა.

1853—1856 წლებში, როცა მარქსი ამ წერილებსა სწერდა რუსეთის წინააღმდეგ, რა იცოდა და რას იფიქრებდა, რომ მის მიერ მის «კაპიტალ»-ში მოცემული სოციალ-ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნისა და შეცვლის დოგმატიური თეორიები, ნოყიერ ნიადაგს იპოვიდა სწორედ, იმ «ბარბაროსულ რასაში» და არა კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს მწვერვალზედ ასულ ქვეყნებში. ან რას იფიქრებდა, რომ მის მიერ დატოვებული «თორმეტი მიოცქული» და მათ შორის, მისი სამშობლოს სოციალისტური პარტიაც, «შამლის ყივილზე» თუ არა, მისი სიკვდილიდან დაახლოებით პირველი საუკუნის მხის ჩასვლის წინ, უარს ეტყოდნენ და გაემიჯნებოდნენ მათ სულიერ მამას.

ეს «შორსმჭვრეტელი» და «წინასწარმეტყველი» რას იფიქრებდა და რა იცოდა, რომ მის მიერ, «ცოდვილი ქვეყნის» სახსნელად მიცემული «კლასთა ბრძოლისა» და «პროლეტარიატის დიქტატურის» «ლიბერალური» თეორიები, სწორედ იმ «ბარბაროსულ რასაში» ჰპოებდა მახინჯ განხორციელებას და რომ ერთ დღეს ლიბერალურ ევროპას მოადგებოდნენ მის დასაპყრობლად-დასამონებლად და მისი «კაპიტალის» გასანაღდებლად. ეს რომ დასიზმრებოდა მაინც, იენებ თავს შეიკავებდა და არ აწყენინებდა მის მომავალ იდეურ პირმშო შვილებს.

და ან მარქსმა რა იცოდა და ან რას იფიქრებდა რომ ეს მის მიერ «ბარბაროსულ რასად» მონათლული რუსის ხალხი, პროლეტარული დიქტატურის ფორმით სახელმწიფოდ ქცეული, მისი დროშით—«პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით»—, მისი არქაიული წვერიანი სახის და მისი პირმშო შვილის ვლადიმერ ულიანოვის. მონღოლური რასის ბამომეტყველების, მაგრამ «ბარბაროსული რასის» შვილის სურათებით, 800 000 ხიშტით ზურგ გამაგრებული, პანსლავიანიზმის და მარქსიზმის ემბლემით, თავს დაესხმოდა, სისხლში ჩააბრჩობდა, და ხელახლად დაიპყრობდა ახალ განთავისუფლებულ ერებს და მათ შორის კავკასიასა და საქართველოს, რომლის პირველი დაპყრობის დროს, თურმე, მას პროტესტიც განუცხადებია და სადაც მარქსი აოანაკლებ «ფაორში» და პატივისცემაში იყო რესპუბლიკის მეთაურთაგან.

——

ბოლშევიკური ველიკორუსეთი. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისიდან მსოფლიოს ახალი დეკლარაციით წარუდგა:—ხალხთა თანასწორობა და სუვერენობა, თვითმართველობისა, თვითგანგების და სრული დამოუკიდებლობის უფლებით. ფაქტიურად კი ძველი რუსეთის პანსლავიანიზმის, ექსპანსიონიზმის და მსოფლიოზედ გაბატონების

იმპერიალისტური პოლიტიკით გამოვიდა, მარქსისა და ენგელსის ინტერნაციონალური დროშით. ორმოცი წლის მანძილზე, მეფის რუსეთისაგან, 1917—1918 წლებში გამოყოფილი რამოდენიმე ათეული ერი ხელახლად დაიპყრო. პეტრე დიდის, ნიკოლოზ პირველის და ალექსანდრე მეორის მიერ მიუღწეველ სურვილებსაც გადააჭარბა, შავსა და ბალტიის ზღვებს გადმოსცდა და აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის თითქმის ათიოდე დიდი ეროვნული სახელმწიფო ფაქტიურად დაიპყრო. მეორეს მხრით, ცენტრალურ აზიაში ძველი რუსეთის საზღვრებს გადასცილდა, კასპიისა და არალის ზღვისა და ბალვაშის ტბის ხაზიც უკან მოიტოვა, მთელი რიგი მაჰმადიანი ერებისა: თურქმენები, უზბეკები, ყირგიზები, ტაჯიკისტანელები დაიპყრო და ირან-ავღანისტან და პაკისტან-ჩინეთის საზღვრებს მიადგა, ინდოეთს თავზე დაადგა და შორეულ-აღმოსავლეთისა და აზია-აფრიკისაკენ გასავალ გზებს კონტროლს უწევს და ზვერავს. პეტრე დიდსა და მის მიმდევარ იმპერატორებს რომ ეს დასიზმრებოდათ, სიხარულით ლოგინიდგან გადმოვარდებოდნენ.

— როგორი არის ველიკოროსთა პოლიტიკის მთავარი ხაზი. მათ მიერ დაკავებულ-დაპყრობილ ქვეყნებში, ეგრედწოდებულ საბჭოთა სოც. რესპუბლიკების ყალბი სახელწოდებით რომ გადაჭიმულა მსოფლიოს ერთ-მეოთხედ ფართობზე; რას და ვის ემსახურება იგი?

ყველა მათ მიერ დაპყრობილი ერებისა და ხალხების რასიულ-ფიზიკურ გადაგვარება-ასიმილიაციას, მათი ცხოვრების მთავარი სულიერი თუ მატერიალური დარგების გარდაქმნა-აწყობას რუსულ ყაიდაზე, მათ დაკავშირებასა და გადაბმას ველიკორუსეთთან. მათი მატერიალური თუ სულიერი ცხოვრების ყველა გზები ამ ახალი რომისა—მოსკოვისაკენ—მიდიან: სასოფლო თუ საქალაქო მეურნეობა ამ ნიშნითა და გეგმით არის ნაკარნახევი და აწყობილი. ამ დაპყრობილი ქვეყნების მეურნეობა არ არის აწყობილი მათი შინაური საჭიროებისა და მოთხოვნილებისათვის, არამედ რუსეთის ცენტრალური ბაზრისათვის: სიტრუსებისა და ჩაის კულტურის პლანტაციები. სამთომადნო ნაწარმი, საქართველოდან, ბამბის პლანტაციები კასპიის ზღვის გადაღმა ქვეყნებიდან, ბაქოს ნავთი (სხვა რომ არ დავასახელოთ) რუსეთის შინაბაზრისა და ინდუსტრიისათვისაა საჭირო და მისი ექსპორტის გზაც იქეთკენაა მიმართული. ხრუშჩოვი ყაზახისტანის «განთავისუფლების» ორმოცი წლის თავის დღესასწაულზე მათ ურჩევსთ დასთესონ რაც შეიძლება მეტი სიმინდი და სუამონ ცხენის ხორცი, ალბად იმიტომ, რომ ცხერის ხორცი მოსკოვს გაუგზავნონ.

ხორბალი და მძიმე თუ მსუბუქი ინდუსტრიისა და ფაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკების ნაწარმოები, შიდა რუსეთიდან უნდა მიიღონ ამ ქვეყნებმა, როგორც მოწყალება.

მოსახლეობის მოძრაობაც იმავე მიზნით არის მოწყობილი. ხელოვნურად შექმნილი სხვადასხვა ხასიათის პირობები თუ მიზეზები, რომელიც ხელს უწყობს და უბიძგებს მას. მსოფლიოს ერთ-მეოთხედზედ გადაჭიმული ქვეყანა «საბჭოთა კავშირი» რომ ეწოდება «თავისუფალი» მოედანია და არე გადასახლება-გადმოსახლებისათვის. საბჭოთა კავშირში აღარ არსებობს ადგილობრივი, საზღვარ დადებული სამშობლო, მამული და მამულიშვილი. მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორია კიდით-კიდემდე საერთო სამშობლოთაა მიჩნეული. მის ფარგლებში შერეკილ ერებისა და ხალხებისათვის დაწყებულია მოფიქრებული და გაზომილი გეგმით, იმ ათეული ერებისა და ხალხების ერთმანეთში არევა-გათქვეფა, ერთი ნაციის ხელოვნურად შექმნა და მათ საბოლოო სახელწოდებათაა გახზრახული, თერმინი «საბჭოთა ნაცია» ხანდისხან რომ მოიცხვათ ხმაროობენ, როგორც ზერელე უშინაარსო თერმინს. არსებითად კი ცდილობენ დაპყრობილი ერების გადაგვარებას, რუსიფიკაციას. ამისათვის საკმაო დოზა არ არის მარტო 80 მილიონი ველიკოროსი, უთუოდ ამიტომ, ამ მიზნით გამოყენებულია იმათთან რასიულად მონათესავე სლავიანური ხალხები: უკრაინელები, ბელორუსები და ყაზახები. ამ მეთოდით ორი კურდღლის დაჭერას ფიქრობს ველიკორუსეთი: შეამციროს უკანასკნელთა მოსახლეობა მათ მიწა წყალზე, და ამით დაასუსტოს მათი ეროვნული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ამ სლავიანური ელემენტების, შორეულ სხვა ერებით დასახლებულ ქვეყნებში კოლონიზაციით, უკანასკნელთა გადაგვარება-გარუსებას ცდილობს, ვინაითგან ამ ქვეყნებში ჩამოსახლებული, მოსკოვის განკარგულებით, ველიკოროსი, ბელორუსი, უკრაინელი, თუ კაზაკი, ნებით თუ უნებლიეთ ველიკორუსების პანსლავიანიზმის დროშითა და სახელით ევლინებიან სხვა რასისა და ხშირად სხვა სარწმუნოების მოსახლეობას და მათი გადაგვარება-გადარუსებისათვის არიან გამოყენებულნი. ღმერთმა გაამართლოს ქართული თქმულება და ორი კურდღლის მდევარს ვერცერთი ვერ დაეჭიროს.

ველიკორუსეთის მიერ დაპყრობილ არასლავიანური ერების შორის, ქართველი ერი ყველაზედ უფრო ძნელი მოსახელებელია ველიკორუსეთის კუჭისათვის: ის რასიულ ათა და ეთნიურად ათეულ საუკუნეთა ისტორიის მიერ სრულიად ჩამოსხმული და გამოკვეთილია, მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნებაც და ყალიბიც დავაჟკაცებულია; მისი კულტურა, ცივილიზაცია, ენა და ლიტერატურაც თავისებურია და რუსული და სლავიანური რასის ხალხებისაგან სრულიად განთვისებული. რუსეთმა ეს კარგად იცის. ამიტომაა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მისი გადაგვარება და სლავიანურ ხალხებში გათქვეფისათვის საგანგებოთ შესწავლილი ზომებია მიღებული: მისი დაპყრობის პირველი დღეებიდან, რუსეთი შეუდგა ქართული სახელმწიფოს ტერიტორიის შემცირებას, ოსმალეთს, აზერბაიჯანსა თუ სომხეთს მისი მიწა წყლის ერთი მეოთხედი მიართვა. მისი ქართული მოსახლეობით. დარჩენილ მიწა-წყალზე, ხელოვნურად გამოჰკვეთა ავტონომიური რესპუბლიკები: აბხაზეთის, აჭარის, ოსეთისა; უკანასკნელი ჩრდილო-კავკასიის ოსეთთან შეაკავშირა შეაერთა. დაარღვია ქართველი ხალხის ეროვნული და ტერიტორიალური ერთობა. მრავალსაუკუნეთა ისტორიული პროცესის მიერ შექმნილი და მიღწეული.

— დარჩენილი მოსახლეობა. ნიშანშია ამოღებული მისი ისტორიული მტრის მიერ: ყოველი მიზეზი, ყოველი ზომა, მისაღებია და გამოყენებული ქართული მოსახლეობის შემცირებისა დაგადაგვარების მიზნით: როგორც, არასანდო ელემენტის სიკვდილით დასჯა და მასიური გადასახლება რუსეთის იმპერიის შიდა და განაპირა ქვეყნებში, უკრაინაში, სიბირში, ყაზახისტანში თუ სხვაგან. «ნებაყოფლობით» სამუშაოთ ათი ათასობით მათი გადაყვანა იმავე ქვეყნებში. სწავლა-განათლების საქმეც ისეთი გეგმით არის აწყობილი, რომ იმავე მიზანს ემსახუროს. ყოველ ათას სულზე სამასი საშუალო განათლებითაა, ოცდაათი კი უმაღლესი ცოდნით. ეს თავისთავად კარგია და სასარგებლოც, რომ ადგილობრივ ეროვნულ მოთხოვნილებისა და საჭიროების მიხედვით იყოს გაზომილი, სწავლა-განათლების დარგები. სწავლადამთავრებულნი ექიმ ინჟინერ ტექნიკოსისათვის, დიდი რუსეთის ქვეყნებია გახსნილი. 1959 წლის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ასეთი კატეგორიის 58 000 ქართველია რუსეთში ჩასახლებული. მათგან მეტად მცირე ნაწილი თუ დაუბრუნდება სამშობლოს, დანარჩენი რუსულ-სლავიანურ მასაში გაითქვიფება.

საქართველოს ინდუსტრიის იმ დარგებისათვის, რომელნიც მოსკოვის გეგმით ნებადართულნი არიან, საჭიროა მუშახელი, შავი თუ დახელოვნებული, ინჟინერი თუ ტექნიკოსი. ქართველი გლეხი კოლხოზებშია შერეკილი, მათი დიდი ნაწილი ქალი და კაცი სიტრუსებისა თუ ჩაის პლანტაციებზედ მუშაობს. ქართული ტექნიკური ძალები რუსეთში მიჰყავთ. მათ ადგილას, საქარხნო თუ სამთომადნო ინდუსტრია-წარმოებისათვის ასიათასობით მოჰყავთ ცოლშვილით, დახელოვნებული მუშები და ტექნიკოსები, უკრაინელები, რუსები, ბელორუსები. ამით ქართველ ხალხს აჩვენებენ. რომ ურუსეთოთ მათ არ შეუძლიათ ამ ინდუსტრიალური დარგების წარმოება. ეს ასიათასობით ჩამოსახლებული რუსები თუ სლავიანები, საქართველოს მიწა-წყალზე ფეხს იკიდებენ და რჩებიან.

1939 წლის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე (69,7 ათასი კვ. კილომეტრი) 3.54.000 მცხოვრები იყო.

1959 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად 4.044.000 მცხოვრებია, რომელთაგან ქართველი მხოლოდ 2.660.1000—მცხოვრებთა 64 პროცენტია. ველიკოროსი—408.000,—მცხოვრებთა 10,1 პროცენ., უკრაინელი 52.000,—3,3 პროც., სომეხი—443.—11 პროც. აზერბაიჯანელი 154 000,—3.8 პროც., ოსი 141.000.—3.8 პროც. ბერძენი 73.000.—1,8 პროც. რუსის ებრაელი 52 000 —1,3 პროც. ქურთი 16.000,—0,4 პროცენტი.

— უნდა ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად ოფიციალური სტატისტიკისა, სლავიანურ-რუსული, უკრაინული და სხვა უცხოელების რიცხვი სტატისტიკით ნაჩვენებ რაოდენობას აღემატება (ამ სტრიქონების დამწერი განათლებით და მცირედი პრაქტიკითაც სტატისტიკოსია და იცის, თუ როგორ ჯამდება აღწერის ციფრები, ზემოდან მიღებული ფარული ინსტრუქციებისდა მიხედვით).

ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ საქართველო კიდევ ორმოცი წელიწადი დარჩეს საბჭოთა რუსეთის უღლის ქვეშ. მათი ასეთი რუსული-კოლონიალური პოლიტიკის შემდეგ. რაღა დარჩება ქართული მოსახლეობიდან და რაც დარჩება, მას რა ქართულ-რასიული, ეთნიური და სულიერი თვისებები შერჩებათ. ალჟირის მაგალითი ხომ ჩვენს თვალთაწინ გვაქვს. საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა კონცეპციის თანახმად. საქართველო, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა, თავისთავად დაჰკარგავს ამ მცირე უფლებასაც და, მისი სახელიც კი ამოიშლება რუქიდან და ველიკორუსეთის რესპუბლიკის ფარგლებში მომწყვდეული უსახელოთ შევა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფარგლებში. ასეთი მაგალითი უკვე ჩვენს თვალთაწინ მოხდა, ყირიმის ოლქის უკრაინულ სოც. რესპუბლიკაში შეყვანით. როგორც შემდეგი სტრიქონებიდან დავინახავთ, ასეთი ბედი მალე ეწვევა საბჭ. რესპ. სოც. კავშირში მყოფ რამოდენიმე ავტონომიურ რესპუბლიკას.

— ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, მრავალი ერი და ხალხი გამქრალა, დედამიწის პირიდან აღუგავს ისტორიულ ქარტეხილებს, სხვადასხვა სახით, რომ ევლინებოდა მსოფლიოს. ისტორიას ძნელად ახსოვს მათი და მათი ნაბინადრალი ქვეყნის სახელები. აი ის დიდი საფრთხე ქართველ ერს რომ უახლოვდება და შთანთქვით ემუქრება. ეს უნდა იყოს ქართველი ხალხის დღევანდელი მეთაურებისა და ხელმძღვანელების. მისი მოწინავე საზოგადოების, ყურადღებისა, ზრუნვისა და მოქმედების უპირველესი და მთავარი საგანი. ძველი «ცხოვრებაჲ ქართველისაჲ» და ისტორიის შესწავლა, არქეოლოგიური გათხრები და ძველი განძეულობა-სამკაულების აღმოჩენა, ძველი ცხოვრების შესწავლა, ძველი ლიტერატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა და ახალიც ვის უნდა დარჩეს, ვის უნდა გამოადგეს, თუ ქართული რასა, ქართული მოდგმა-გაიფანტა-გადაგვარდა-გადაშენდა, თუ მას საკუთარი ეროვნული მიწა-წყალი სპარსულ ხალიჩასავით ფეხის გულიდან გამოეცალა, და მისი ენაც მასვე მიჰყვა. დიდი ილიას და მისი სახელოვანი დასის მოღვაწეობა და მოქმედება სანიმუშოთ უნდა მიიჩნიო ს ქართველი ხალხის დღევანდელმა მოწინავე დასმა. მათ მიერ გათელილი ბილიკი და გზა, საკუთარი ნატერფალით უნდა გააფართოვოს, შარა გზათ აქციოს, რომ საქართველოს ქართველი ხალხი შეუნახოს, ქართველ ხალხს კი საქართველო და მისი «პატრიმონია», რომ ამ საშინელ ქარტეხილს, კავკასიონის ქედიდგან, რომ გადმოვარდნილა და ჩვენს ერსა და სამშობლოს ბუნდღლივით ანიავებს, უკანასკნელ მა გაუმაგრდეს და გაუძლოს.

— —

არა ნაკლების სიძლიერით, უხეშობითა და შეუწყნარებელის ხელით დაეტაკა საბჭოთა რუსეთი ჩვენს ბედში ჩავარდნილ ერებსა და ხალხებს, რკინის ფარდის იქეთ რომ მოამწყვდია: ბალტიის მხარის კულტურულ და განათლებულ პატარა ერებს,—ლიტველებს, ესტონელებსა და ლატვიელებს. მათი მასიურად გადასახლებით მისი იმპერიის აღმოსავლეთისა თუ ჩრდილოეთის შორეულ ქვეყნებში და მათ მიწა-წყალზე რუსულ-სლავიანური ელემენტების მასიურად ვე ჩამოსახლებით. მათ ეროვნულ არსებობასაც გაქრობას უმზადებს. ასეთივე სიძლიერით და უხეშობით ანადგურებს ჩრდილო კავკასიის თავისუფლების მოყვარულ ტომებსა და ხალხებს, რომელთაგან ერთი უკვე გენოციდის გზით, მოსპო და ამოშალა კავკასიის რუქიდან.

მთელი მისი სიმძიმით აწვება საბჭოთა რუსეთი კასპიის ზღვის სანაპიროებისა და მის გადაღმა მობინადრე მუსულმანურ ქვეყნებს: აზერბაიჯანს, ყაზახისტანს, უზბეკისტანს, თურქესტანს, ყირგიზსა და ტადჯიკისტანს. ეს ქვეყნები დასახლებულია შედარებით დაბალ კულტურის საფეხურზე მდგომი მუსულმანური ხალხებით. მიწებიც ბევრია ჯერ დაუსახლებელი და გამოუყენებელი. რუსეთი იქ აწარმოებს პირწავარდნილ კოლონიალურ და ექსპანსიურ პოლიტიკას. ასიათასობითა და მილიონობით მიჰყავს და ასახლებს. მისი იმპერიის სხვადასხვა ქვეყნებიდან სლავიანურ ელემენტებს: რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, კაზაკებს, თან ლიტველებს, ესტონელებს, ლატვიელებს. ავსებს მათ თავისუფალ მიწებს. ყირგიზის მოსახლეობა 1959 წლის სტატისტიკური აღწერის თანახმად 2 მილიონს აღწევს, რომლის მხოლოდ 40 პროცენტია ყირგიზელი და თითქმის ამდენივე 36,8 პროც. მიყვანილი და ჩასახლებული რუსი თუ უკრაინელია. უფრო დიდის მასშტაბით სწარმოებს ყაზახისტანის კოლონიზაცია:

1945 წლიდან 1959 წლამდე რუსეთს იქ მიუყვანია და ჩაუსახლებია ასიათასობით რუსი, უკრაინელი და ბელორუსი. დღეს ამ ქვეყნის მოსახლეობა შემდეგ სურათს იძლევა: ველიკოროსი—43,1 პროც., უკრაინელი—8,2 პრ., ბელორუსი—1,2 პრ. სულ სლავიანები ერთად მთელი მოსახლეობის—52,5 პროც. შეიცავს. ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობა კი—მხოლოდ 29,6 პროცენტს. ყაზახისტანის რესპუბლიკა არსებითად უკვე აღარ არსებობს. ამდენი წმინდა ველიკოროსი რათ ჩაასახლა მოსკოვმა ამ ქვეყანაში? ეს ალბათ ველიკორუსეთის საიდუმლო პოლიტიკის გეგმის საგანია. ეს მუსულმანური რესპუბლიკა სლავიანურ ხალხთა ზღვაში ჩაიძირა.

აი როგორის ტემპით მიმდინარეობს ამ ექვს მუსულმანურ რესპუბლიკაში—რუს-სლავიანების ჩასახლება 1939-დან 1959-წლამდე: უზბეკისტანში—სლავიანური მოსახლეობა 5,6-დან 14,3 პროც-მდე გაიზარდა, ყაზახისტანში 32,9-დან 52,5 პროც-მდე, აზერბაიჯანში 9,7-დან 13,9 პროც-მდე, ყირგიზეთში-22,4 დან 36,8 პროც-მდე, ტადჯიკისტანში 3,3 -დან 14,7 პროც მდე, თურქმენისტანში 7,5-დან 18,7 პროცენტამდე.

საერთოდ 1959 წლის მოსახლეობის აღწერით მოცემული ცნობებით ამ ექვსი რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხვი 16 069.000 აღწევდა, რომელთაგან თითქმის ნახევარი 7.923 000 ჩასახლებული რუს სლავიანების ხვედრია. შორს არ არის ის დრო, როცა კასპიის ზღვის გადალმა მყოფი 5 ავტონომიური რესპუბლიკა, ეროვნებათა საკითხის საბჭოთა კონცეპციის თანახმად, დაჰკარგავს მათი ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდებას და მათ ველიკო-რუსეთის სლავიანურ რესპუბლიკას შეუერთებენ. იქნებ ამიტომაც ჩაასახლეს ყაზახისტანში 43,1 პროც. ველიკოროსი.

რუსისა და საერთოთ სლავიანური რასის ექსპანსიის ტემპის ნათლად წარმოსადგენლად, საჭიროთ მიგვაჩნია შემდეგიც დაუმატოთ: 1939-დან 1959 წლამდე, ურალის გადალმა მდებარე ცენტრალურ-აზიის მოსახლეობა 38 პროცენტით გაიზარდა, შორეული აღმოსავლეთის 70 პროცენტით. იმავე დროის განმავლობაში რუსეთის ცენტრალურ ევროპის ნაწილში მხოლოთ 9,5 პროცენტით. როგორც დავინახეთ, ეს ზრდა არ არის შედეგი, მოსახლეობის ნორმალური გამრავლების-დაბადებით, არამედ ხელოვნური გადასახლება ჩასახლების.

აქ მოყვანილი ციფრები აშკარად ამოწმებენ, საბჭოთა სოც. რესპუბლიკათა რკალში მომწყვდეულ საზღვრებზედ მყოფ ქვეყნებში მობინადრე სხვა ერების სწრაფ რუსიფიკაციასა და სლავიანიზაციას. ველიკორუსეთი, უცხო ქვეყნების საზღვრებზე, მოწინავე პოზიციებს იკავებს და ამაგრებს რუსულ სლავიანური მოსახლეობით, მოსკოვის მიერ მსოფლიოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპყრობის პოლიტიკისათვის, საიმედო ელემენტებით, და საბოლოო გარდამწყვეტ ნახტომისა და დანარჩენი თავისუფალი მსოფლიოს დაპყრობისათვის ემზადება.

——

ბოლშევიკური რუსეთის ლექსიკონში თერმინს «კოლონიალიზმს» ორი შინაარსი აქვს, საგარეო და საშინაო. რკინის ფარდის გადმოღმა კოლონიალიზმი, კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ თავისუფალი ერებისა და ქვეყნების დაპყრობა-დამონებას, მათ ასიმილიაციას, მათი ქონებისა და სიმდიდრის, მეტროპოლიის მიერ მითვისებას-ჩაყლაპვას—იმპერიალიზმს ნიშნავს. რკინის ფარდის გადაღმა კი, განაპირა მობინადრე ერებისა და ხალხების ვინმეს ბატონობისაგან დახსნას, მათი ეროვნული მეობის გამაგრებას, მათდამი დახმარებას, მათი მატერიალური და სულიერი ცხოვრების დონის ამაღლებას—ძმობა-ერთობას-თავისუფლებას!?.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოქტომბრის რევოლიუციის დღიდან ხელახლად, ქვემეხების ცეცხლითა და ხიშტით, ერთიმეორის შემდეგ დაპყრობილ, თავისუფალ ერებს, მორიგეობით უწყობენ და დიდის «ენტუზიაზმით» უმართავენ «თავისუფლებისა» და «დამოუკიდებლობის» დღესასწაულს!

ბოლშევიკური რუსეთის წითელი კოლონიალიზმის დროშა და ემბლემა—ნამგალი და ჩაქუჩი,—რომლითაც კისერს სჭრიან თავისუფალ ერებს, და შუბლს უტეხენ,—ერთა თავისუფლების დროშათ აქვთ გამოკიდებული. კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიალიზმის დროშა კი ერების დაპყრობა-დამონების დროშათ.

ხრუშჩოვი, რომელსაც ერების თავისუფლების ციხისა და საპყრობილის ჟანგიანი კლიტე წელზე ჰკიდია, აზია აფრიკის კოლონიების განთავისუფლების ჩემპიონად გამოდის.

გაერთიანებული ნაციათა კავშირის (O. N. U.) ერთერთ სხდომაზე; ხრუშჩოვი იხტიბარგაუტეხელად აცხადებს: «კოლონიალიზმი გახდა უსაშინელესი და უმძიმესი ტვირთი იმ ქვეყნებისა და ხალხებისათვის, რომელთა განთავისუფლების საათის ზარმა უკვე დაჰკრა». «კონგოში, ლაოსში, კუბაში, ალჟირში, სისხლიანი ბრძოლები, იმის მაჩვენებელია, რომ კოლონიალიზმისაგან ხალხების განთავისუფლებისათვის მოქმედება და ბრძოლა კიდევ მეტს მოქმედებას, ბრძოლას და აქტიობას მოითხოვს». «ჩვენი უპირველესი დანიშნულებაა და მოვალეობა, რომ ხალხთა ნება სურვილი, რომელიც გამოთქმულია გაერთიანებულ ერთა კავშირის (O. N. U.) დეკლარაციაში, არ დარჩეს ცარიელ სიტყვათა და თეორიათ, არამედ კონკრეტულ საქმიანობაში განხორციელდეს»-ო... იგივე ხრუშჩოვი, ერთერთ მის საჯარო დეკლარაციაში, რომელსაც მოსკოვის «კომუნისტი» აქვეყნებს. უსირცხვილოთ აცხადებს: «ყველგან, სადაც არ უნდა აენთოს თავისუფლებისათვის ბრ-

ძოლის ცეცხლი, ს. ს. რ. კ. (U. R. S. S.) დაპყრობილი ხალხის მხარეზე დადგება»-ო. (Sic! რუსეთის მიერ დაპყრობილმა ერებმა რა დააშავეს, რომ მათ ეროვნულ განმანთავისუფლებელ მისწრაფებას სისხლის ზღვაში ახრჩობენ?).

სინამდვილეში კი ხრუშჩოვი თვით ანთებს ასეთ ცეცხლს, აზია აფრიკის თუ ამერიკის კონტინენტზე, სადაც და როდესაც ამას ხელსაყრელად დაინახავს: კონგოში, ლაოსში. ვიეტნამში, კუბაში, თუ სხვაგან, არა ამ ხალხების განთავისუფლების, არამედ დასავლეთის დასუსტებისა და ამ პატარა ხალხების ხელში ჩასაგდებად. ის ცდილობს, დასავლეთის მიერ განთავისუფლებული ერები მისი გავლენის სფეროში მოაქციოს, რუსეთის კოლონიად გახადოს და მხარში ამოიყენოს თავისუფალი მსოფლიოს წინააღმდეგ ბრძოლაში, მსოფლიოზე რუსეთის იმპერიალიზმის, და მისი, ჯერ არ ნახული კოლონიალიზმის დასამყარებლად. ის აშკარად ამბობს და საქვეყნოდ, რომ მისი საბოლოო მიზანია, მთელი მსოფლიოს დაპყრობა, მოსკოვის გავლენის ფარგლებში მოქცევა, კომუნიზმის გამეფება და მისი ე. ი. მთელი ქვეყნიერების საბჭოთა რუსეთის ნამგალ-ჩაქუჩის ემბლემის ქვეშ დაყენება.

მეტის გარკვეულობით, როგორ უნდა გამოსთქვას. ან მეტი მაღალი ხმით, ან მეტი მაღალი ტრიბუნიდან. ხრუშჩოვმა ველიკორუსეთის ეს ამბიციური მიზანი. მისი რა ბრალია თუ თავისუფალი მსოფლიოს მებაირახტრენი ყურს იყრუებენ. თვალებს ხუჭავენ და მათ კარზედ მომდგარი საფრთხე არ ესმისთ? ისინი მეტს ყურადღებას აქცევენ და ბევრს სჯერა კიდეც, რუსეთის დიქტატორის მიერ ხანდისხან ბანკეტებზე გამოთქმული, ორი მსოფლიოს მშვიდობიანი თანაარსებობა Coexistance-ი.

დასავლეთის თავისუფალი ქვეყნების მეთაურთა წაჩოქების პოლიტიკამ და სილაჩრემ იქამდე მიიყვანა ხრუშჩოვი, რომ აშკარა მუქარაზე გადავიდა. ის არ ერიდება განაცხადოს «ექვსი ჩემი ატომიური ბომბი H საკმარისია დიდი ბრიტანეთის კუნძულები გავანადგურო და ცხრა დანარჩენით კი საფრანგეთი» ო. ცნობილი ჟურნალისტი Josep Alsop ი სამართლიანად ხედავს ხრუშჩოვსა და ჰიტლერს შორის ზოგიერთ მსგავსებასა და ანალოგიას. ამბასადორი Andre Francois Poncet დიდ მსგავსებასა ჰხედავს კომუნიზმსა და ჰიტლერიზმის შორის. «ამერიკა» აღმოაჩინეს. მაგრამ ვერც კოლუმბის მიერ მართლა აღმოჩენილმა ამერიკისა და ვერც ევროპის ხელმძღვანელებმა ნამდვილი საფრთხე და ნამდვილი მტერი ჯერაც ვერ აღმოაჩინეს დავერ გამოარკვიეს, მიუხედავად იმისა რომ ორი საუკუნის მანძილზე მის შემოტევებს განიცდიან. ისინი კომუნიზმზე ლაპარაკობენ. საბჭოთა ხალხებზე. საბჭოთა კავშირზე, «საბჭოთა ნაციაზე». «საბჭოთა კავშირი» რა შუაშია. მისი სამიმეოთხედი, უცხო ერები და ხალხები თვით

დაპყრობილნი არიან დაგამოყენებულნი დიდი რუსეთის მიერ, რომელიცაა თავისუფალი მსოფლიოს—ამერიკისა და ევროპის ისტორიული მტერი. ეს ხალხები და ერები, ველიკორუსეთის კოლონიებად ქცეულნი, თვით იბრძვიან, თავიანთი ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ბუნებრივათ და ფაქტიურად დასავლეთის თავისუფალი ქვეყნების მოკავშირენი არიან, რომ დასავლეთს უნარი ჰქონდეს მათდამი დახმარების, მათი გამოყენების, ისეთივე, როგორიც ხრუშჩოვს.

— საბჭოთა რუსეთმა, ამდენი მუქარის შემდე ბერლინის აღმოსავლეთით 67.500 ჯარისკაცი მოიყვანა 1205 ტანკითა და 292 ჯავშნოსანით. სწორედ მეორე დღეს ამერიკის პრეზიდენტი კენედი მოუწოდებს მას, როგორც უკანასკნელი მსოფლიო ომის მოკავშირეს სადაო საკითხების მოსაგვარებლად «კონსტრუქტიული თანამშრომლობისაკენ».

რამდენად მართალია, ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე პოლ რეინო, რომელიც, სწორედ იმავე დღეებში, ასე ახასიათებს ევროპის პასიობას: საბჭოების საბჭოდრო სამხედროს, რომლის მიზანია კიდევ უფრო გააძლიეროს მათი კლასიკური და ატომიური იარაღი, რას უპირისპირებს დასავლეთი ევროპა, მოსახლეობით და სიმდიდრით უფრო მეტი, ვინემ რუსეთია და რომლის ტერიტორიაზედაც ომი უნდა მოხდეს? იმის ნაცვლად, რომ გაერთიანდეს, შეიარაღდეს და კლასიკური იარაღი და ძალა მისცეს ლენერალ ნორსტადს, მთელი მათი ცდაა მოუწოდონ ამერიკას, მაგრათ დაუდგნენ საბჭოებს და დაასკვნის «ევროპა, როგორც ურეფლექსო ბებერი ქალი აღარ იძრევა. მან ჯერაც ვერ გაიგო კლასიკური იარაღის მნიშვნელობა მომავალი ომის დროს».

ჩვენ ვკადნიერდებით და დაუმატებთ, ვერც ევროპამ და ვერც მთელმა დასავლეთმა ჯერაც ვერ გამოიცნო ბრძნიერ პირდაპირ ნიშანში ამოსაღები მტერი და ვერც ის საფრთხე შეიგნო, მთელი მისი საშიშროებით, მას რომ გახადეურებადანგრევით, დაპყრობითა და დამონებით ემუქრება და ამ მუქარას თანდათანობით ანხორციელებს.

მაინც გვინდა იმედი გამოვსთქვათ, რომ ეს შეგნება შევა და ფეხს მოიდგამს თავისუფალი მსოფლიოს მეთაურებში და თანაც ერთი იმედიც უნდა დავსძინოთ: იქნებ ჰიტლერის მსგავს ხრუშჩოვსაც ჰიტლერისავე ბედი ეწვიოს.

* * *

ამ ჩემი წერილის დამთავრებიდან, რამოდენიმე ხნის შემდეგ «პრავდა»-ში გამოქვეყნდა კომუნისტური პარტიის მე-XXII კონგრესზე ხრუშჩოვის მიერ წაკითხული მოხსენება, რომელიც ახასიათებს კომუნისტური რუსეთისა და თავისუფალი მსოფლიოს ისტორიულ ევოლუციას 1919-დან 1961

წლამდე. ეს მოხსენება იმდენად მჭერმეტყველურად და რელიეფურად ადასტურებს ჩემი წერილის მთავარ თეზას, რომ საჭიროთ მივიჩნიე მისი მთავარი ადგილების აქ მოყვანა, რომელიც ბუნებრივ დასკვნას უკეთებს ამ წერილს:

ხრუშჩოვი ეხება რა მის მიერ იმპერიალისტურად წოდებულ სახელმწიფოებს: შეერთებულ შტატებს, ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს, იაპონიასა და იტალიას, ამბობს:—ამ სახელმწიფოების ტერიტორია, მეტროპოლია და კოლონიების ფართობი 1919 დან 1961 წლამდე 60.3 მილიონი კვ. კილომეტრიდან 18,6 მილ. კვ. კილომეტრამდე შემცირდა, მათი მოსახლეობა კი იმავე ხნის განმავლობაში 855 მილიონიდან 541,5 მილიონამდე დაეცაო. მათ მხოლოთ მეტროპოლია შერჩათო. ვინაითგან ამაში არ შედიან პატარა კოლონიალური სახელმწიფოები: ბელგია, ჰოლანდია, პორტუგალია და სხვ. ხრუშჩოვი დასძენს: მთელი კოლონიალური მსოფლიოს სივრცე 1919 დან 1961 წლების პერიოდში 104.5 მილ. კვ. კილომეტრიდან 14.2 მილ. კვ. კილომეტრამდე შემცირდაო და მოსახლეობა კი 1 მილიარდ 230 მილიონიდან იმავე პერიოდის ბოლოს მხოლოდ 85.4 მილიონს შეიცავს. ე. ს. 42 წლის განმავლობაში შერჩა მისი ტერიტორიის 14 პროც. და მოსახლეობის მხოლოთ 4 პროცენტიო.

— იმავე პერიოდის განმავლობაში, ხრუშჩოვისავე მოხსენებით «საბჭოთა ბლოკის» ე. ი. რუსეთის იმპერიის ტერიტორიის სივრცე 21,7 მილიონ კვადრ. კილომეტრიდან 35,1 მილიონ კვადრატ. კილომეტრამდე გადიდებულა ე. ი. 13,4 მილიონ. კვ. კილომეტრით. რაც საფრანგეთის ტერიტორიას 24 ჯერ შეიცავს. იმავე რუსეთის იმპერიის მოსახლეობა კი იმავე პერიოდში 138 მილიონიდან—1 მილიარდ 72 მილიონამდე გაზრდილა. რომ უფრო ნათელი გახდეს, ერთის მხრივ რუსეთის იმპერიის და მეორეს მხრივ დასავლეთის სახელმწიფოების ისტორიული ევოლუცია, იგივე ხრუშჩოვი პროცენტულად გამოხატავს მის მიერ მოცემულ აბსოლუტურ ციფრებს: 1919 დან 1961 წლების პერიოდში დასავლეთის დიდი სახელმწიფოების ტერიტორიის სივრცე მთელ დედამიწის 44 პროცენტიდან 13,7 პროცენტამდე შემცირდა. მისი მოსახლეობა, რომელიც მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 48,1 პროცენტს წარმოადგენდა 1919 წელს, მხოლოდ 17,9 პროც. აღწევსო. შედარებისათვის საინტერესოა როგორი პროცენტით გაზრდილა იმავე პერიოდში რუსეთის იმპერიის ტერიტორია და მოსახლეობა. აი ხრუშჩოვის მიერვე მოცემული პროცენტული ცნობები: იმავე პერიოდში მოსკოვის კონტროლს ქვეშ მყოფი ტერიტორია, მთელი მსოფლიოს 16 პროცენტიდან 26-მდე გაზრდილა და მისი მოსახლეობა კი მსოფლიოს მოსახლეობის 7,8 პროცენტიდან 35-ამდე.

——

— სხვადასხვა გამოცემებიდან გაპივრებით მოკრებილი ცნობებით მძიმეთ დატვირთული ალმართ-ალმართ მძიმეთ მივდიოდი და ამ დროს ჯოჯოხეთისაკენ დალმართ-დალმართ მიმავალი ხრუშჩოვი მომეშველა და ტვირთი შემიმსუბუქა.

ამ მოხსენების გამოქვეყნება, რომლითაც ის მისდაუნებლიეთ დადებითათ ახასიათებს და მორალურ ძალას უდასტურებს მისადმი მოწინააღმდეგე «იმპერიალისტურ» სახელმწიფოებს და მის რუსეთის საბჭოთა კავშირს ბრალდებულის ადგილზედა სვამს, მსოფლიო სინიდისის მიერ გასასამართლებლად, არ უნდა იყოს დიდი ჭკუის ნაყოფი. ფაქტებისა და მოვლენების სიძლიერემ მას მისდაუნებურათ ათქმევინა (და აწი გვიანლა არის ენაზედ კბენა): რომ «იმპერიალისტურმა და კოლონიალურმა» სახელმწიფოებმა 42 წლის განმავლობაში დეკოლონიზაციის გზით გაანთავისუფლა 1 მილიარდი და 228 მილიონი ადამიანი, მათთვის თავისუფალი სახელმწიფოების შექმნით. იმავ დროის განმავლობაში კი საბჭოთა რუსეთმა, თავისუფლებისა და ძმობა-ერთობის დროშით, რომ მოევლინა კაცობრიობას და ანტიკოლონიალური წითელი დროშით გამოდის საგარეო პოლიტიკურ ბაზარზე. მრავალი ძველი კულტურულ-ცივილიზებული ერები და სახელმწიფოები დაიპყრო, და ეროვნული და პიროვნული თავისუფლება წაართვა და 934 მილიონი ადამიანი, მონად აქცია.

ამ თავის ბრალმდებელ და მისდა უნებურათ «აუტოკრიტიკული» ხასიათის მოხსენებით გამოსვლა ზედმეტი ჭკუისა და იმავე დროს მისი და მისი პარტიის მატერიალისტურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შედეგია და ნაყოფი. მათი შეგნებიდან აბსოლუტურად გამორიცხულია სულიერ-მორალური ღირებულება და სიუბსტანსი. «გორე ოტ უმა» —«გორე ოტ მატერიალნოი ფილოსოფიი».

მლ. პატარაიძე.

ორმოცი წლის თავი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხებიდან და რუსეთის ხელახლად შემოსვლიდან ორმოცი წლის თავი, 1961 წლის თებერვლის დღეები.—რომელიც რუსეთის იმპერატორთა უგვირგვინო მოადგილე ხრუშჩოვმა «თავისუფლების დღესასწაულად», დიდის აღლუმით გაუმართა, ცოტა დაგვიანებით, სწორედ, საქართველოს დამოუკიდებლობის—მაისის თვეში, ქართველ ხალხს,—საფრანგეთში მყოფმა ქართულმა ემიგრაციამ, ეროვნული გლოვის ნიშნის ქვეშ გადაიხადა და აღნიშნა:

ქართველ პოლიტიკურ პარტიათა და ეროვნულ დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან საგანგებოდ შედგენილმა

კომისიამ, სათვისტომოს გამგეობასთან ერთად, ქართულ ეკლესიაში მოაწყო, ამ ორმოცი წლის მანძილზე, ეროვნულ-თავდაცვით ომში და აჯანყებებში, თავდადებულ მამულიშვილთა სულის მოსაგონარი პანაშვიდი, და ამავე დროს პარაკლისი, რომელსაც მთელ ემიგრაციასთან ერთად, საფრანგეთის ოფიციალური, თუ ოფიციოზური და ჩვენს ბედში მყოფი ერების ემიგრაციების მნიშვნელოვანი წარმომადგენლები დაესწრნენ.

ქართული ეკლესიის ღირსეულმა მოძღვარმა და მრევლის სულიერმა მეთაურმა, მამა ილიამ პანაშვიდის დაწყებამდე, უცხო დამსწრე საზოგადოებას, მოაგონა-გააცნო ქართველი ერის ბედი და ქართველობას რწმენით აღსავსე მომავლის იმედი დაუსახა.

პანაშვიდის და პარაკლისის შემდეგ, რომელიც, ლოტბარ ალ. ნაკაიძის ხელმძღვანელობით გუნდის მიერ, საუცხოოთ შესრულებული მრავალ-ქამიერით დამთავრდა, დამსწრე საზოგადოება საფრანგეთის «უცნობი ჯარისკაცის» საფლავზედ შეიკრიბა. საფრანგეთის სათანადო დაწესებულების წარმომადგენელისა და უცხოელთა თანადასწრებით, ქართულ ეროვნულ სამოსელჩაცმულმა ახალგაზრდებმა. ეროვნულ ფერებით მორთული ცოცხალ-ყვავილების გვირგვინი დააადეს «უცნობი ჯარისკაცის», საფლავს, რომლის წინ, ნიშნად ჩვენი პატივისცემისა და მადლობის გრძნობისა, ქართული დროშა დაჰხარა მედროშემ და საზოგადოებამ ქედი მოიხარა.

კომისიამ, თანაგრძნობის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ურყევი რწმენისა და ქართველი ხალხის გამხნევების მრავალი წერილი მიიღო საფრანგეთის პოლიტიკურ-პარტიებისა და მიმართულების, იმ მეთაურთაგან, რომელნიც ვერ დაესწრნენ პანაშვიდსა და პარაკლისს.

— იმავე დღეებში, იმავე კომისიის მოწვევით, ქართული საზოგადოება შეიკრიბა, პოლონელების სახლის, შავით გადაფენილ ეროვნულ დროშითა და ეროვნული ემბლემით საგანგებოთ მორთულ, დარბაზში. სამგლოვიარო კრება ღიდების სიმღერით გაიხსნა. ქართული ასოციაციის თავმჯდომარე ბ. ლ. ზურაბიშვილის მოკლე და გამამხნევებელი მოკლე სიტყვის შემდეგ, ამ დღისა და მომენტისათვის შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს მომწყობი კომისიის სახელით ბბ. პ. სარჯველაძემ, ელ. პატარიძემ და კოლონელ კ. თოხაძემ. ორატორებმა, მოაგონეს საზოგადოებას. ქართველი ხალხის ეროვნული ბრძოლის ეტაპები. ქართველი ერისა და მისი თავისუფლების საკითხის მდგომარეობა და გამოსთქვეს ქართული ემიგრაციის უტეხი რწმენა საქართველოს განთავისუფლებისა და აღდგენისადმი.

დაბოლოს წაკითხულ იქნა კომისიის მიერ მიღებული

წერილები და დეპეშები, ფრანგ და უცხოელ, საქართველოს მეგობრებისაგან.

ეს გლოვის დღეები, ქართული ემიგრაციის სულიერი ერთობის გამომჟღავნების ნიშნის ქნეშ იქმნა ჩატარებული.

კომისიამ, ქართული პოლიტიკური პარტიების სახელით, გამოსცა, ფრანგულ ენაზე, ვრცელი მიმართვა თავისუფალი-განათლებული მსოფლიოსადმი, რომელიც დაუგზავნა: საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, მთავრობის წევრებს, პარლამენტისა და სენატის წევრებს, მთავარ ჟურნალებს საფრანგეთსა და უცხოეთში, მათ მნიშვნელოვან თანამშრომლებს, რადიო სადგურებს და თავისუფალი ქვეყნების მთავრობებს, პარიზში მყოფ, მათი დიპლომატიური წარმომადგენლების საშუალებით.

— ამ დღის აღსანიშნავად. წერილები მოათავსა უცხო ენაზე გამოსულმა ქართულ ორგანოებმა: «La Nation Georgienne» და «Le Droit du Peuple» მა და მიმართვის საგანგებო ტექსტიც დაუგზავნა მკითხველებს. უცხოეთის ზოგიერთმა პრესამაც აღნიშნა საქართველოს დაპყრობის თებერვლის დღეები, თავისუფალი მსოფლიოსადმი მიმართვის გამოქვეყნებით. თუ კერძო წერილებით. მათ შორის «La Nation Roumaine» მა და «Tydzien Polski» მ, რომელმაც 11 თებერვლის ნომერში გამოაქვეყნა, პოლონეთის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე Adam Cokosz-ის ვრცელი და შინაარსიანი სტატია საქართველოს დაპყრობის შესახებ. ამავე ნომერში მოთავსებულია ჩვენი თანამემამულის პ. უგრეხელიძის წერილი «საქართველოს დრამა»...

——

ხიტყვა წარმოთქმული ელ. პატარაიძის მიერ 40 წლის თავზე გამართულ სამგლოვიარო შეკრებულებაზე.

გულში ღრმად დაჭრილი, ქართველი ერის, ტანჯვა-წამებით მძიმედ დატვირთული, ორმოცი წელი, დროით გვაშორებს, თანაც სულიერად გვაახლოებს. იმ სისხლიანი ბრძოლების, ძაძით მოსილსა და გლოვის თებერვლის დღეებს, რომელთა განმავლობაში ქართველმა ერმა, საუკუნე-ნახევრის მანძილზე, მეორეთ დაპკარგა მისი სახელმწიფოებრივი არსებობა-დამოუკიდებელი და თავისუფალი. ჩაესვენა მზე-ციური წყარო სითბო-სინათლისა, ქართველი ერის სიცოცხლე-ცხოვრებისა.

ქართველმა ხალხმა, ასჩვიდმეტი წლის მანძილზედ, შეუდარებელი სიმხნევით. გამძლეობითა და თავდადებით ნაწარმოები ბრძოლებით, ქართულ ასპარეზზედ მშვიდობიანი მოღვაწეობითა და მოქმედებით შეინარჩუნა სხეულებრივი და სულიერი ეროვნული მეობა. მისი პირმშო და საამაყო შვილის დიდი ილიას მიერ, ეროვნული პოლიტიკის პროგრამის ღერძათ მიცემული აზრი, «ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდ-

ნოდეს»-ო, საკუთარ დევიზათ დაისახა. 1918 წლის 26 მაისს, ბუნების მიერ სადღესასწაულოთ ვარდ ყვავილებით მორთულ ქვეყანას დაეუფლა—ქართველი. მისი ისტორიული უფლებები აღიდგინა, დემოკრატიული რესპუბლიკის სახით, სახელმწიფოებრივი ცხოვრება განაახლა და კულტურული მსოფლიოს წინაშე წარსდგა დამოუკიდებელი და სუვერენი, მისი ისტორიული სამფერი დროშით.

1918—1921 წლების მანძილზე, განათლებულმა კაცობრიობამ: «მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ» და მსოფლიოს თითქმის ყველა დიდმა და პატარა სახელმწიფომ, იცნო სინამდვილეთ ქცეული საქართველოს სახელმწიფო, აღიარა მისი ისტორიული უფლებები, დაადასტურა ქართველი ერის სუვერენობა და კულტურულ-თავისუფალ მსოფლიო ოჯახის სრულ-უფლებიან წევრად მიიღო.

ალბათ მათი ცრემლით დაწერილი, 1920 წლის 7 მაისის ხელთშეკრულებით, საბჭოთა რუსეთმაც იცნო საქართველოს სურვერენული უფლებები.

— საბჭოთა რუსეთმა ერთი წელიწადიც კი ვერ დაიცვირა მსოფლიოს წინ გაცემული სიტყვა: ჯერ ამ ხელშეკრულების აქტის მელანიც არ გამშრალიყო, რომ უმიზეზოთ, ომის გამოუცხადებლათ, მახინჯ-ნიღაბ აფარებული, თავს დაესხა გუშინ მის მიერ ცნობილ საქართველოს რესპუბლიკას; წითელი ჯარები შემოუსია ყოველის მხრითგან საქართველოს. ექვსი კვირის განმავლობაში, მეომარ ძალთა უსწორო პირობებში, მედგარი და თავგანწირული ბრძოლების შემდეგ დამარცხდა, ისტორიის საშოდან ხელახლად შობილი, ჯერ კიდევ არა საკმაოთ გამაგრებული საქართველოს რესპუბლიკა. რუსეთმა განათლებული მსოფლიოს თვალთა წინ, დღის სინათლეზედ, ზღვა სისხლში ჩაახრჩო ქართველი ერის თავისუფლება და ყაჩაღურათ მიიტაცა, თოვლის თეთრ სუდარში გახვეული დაჭრილი საქართველო.

— ორმოცი წელიწადია, საბჭოთა რუსეთი მთელის მისის სიმძიმით, სიტლანქითა და სიმკაცრით, სისხლიანი შუბით, გულ-მკერდზედ აწევს დაკოდილ-ძარღვებ გახსნილ ქართველ ერს, სწნეხსა და სისხლისაგან ცლის. ანადგურებს და აჩანაგებს ქართულ ეროვნულ სხეულსა და მეობას. რაც სასწაულით გადაურჩა ძველი რუსეთის მიერ ასჩვიდმეტი წლის ბატონობას. მოსკოვის მიერ ნიშანშია ამოღებული ქვეყნისა და ერის სხეულებრივი და სულიერი საფუძვლები: მიწა-წყალი, მოსახლეობა, სარწმუნოება, მორალი, ეროვნული შეგნება და ტრადიციები. სასოფლო თუ საქალაქო მეურნეობა და მრეწველობა რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებს ემორჩილება. ქართველთა მასიური გადასახლებით რუსეთის შორეულს მხარეში და მათ ადგილას რუსების მასიურადვე ჩამოსახლებით, ქართველთა რასა ითქვიფება რუსულ-სლავიანურ მასა-

ში, საქართველო თანდათანობით იცლება ქართველებიდან და ივსება რუსებითა და უცხოელებით.

მზადდება ქართველი ხალხის რასიულ-ფიზიკური და ეთნიური მოსპობა. საქართველო უქართველებოდ და მისი სახელის ამოშლა მსოფლიო გეოგრაფიის რუკიდან. ეგრედ წოდებულ «საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის» «მმართველი» ორგანოები საბჭოთა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ქვე-უწყებებია და «კანცელარიები», რუსული სიმპერიო კანონმდებლობისა და გეგმების უსიტყვოთ აღმასრულებელნი და ქართულ ცხოვრებაში გამტარებელნი.

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, რუსული იმპერიალიზმის, რუსული კოლონიალიზმის სანიმუშო და კლასიკური მაგალითია თანამედროვე მსოფლიოში.

ქართველი ხალხისათვის, რომელსაც მის საკუთარ სამშობლოსა და მიწა-წყალს, სპარსულ გაქონილ ხალიჩასავით, ფეხის ქვეშიდან აცლიან, სამშობლოთ მიჩნეული აქვთ დედამიწის ერთ მეოთხედის სივრცეზედ გაშლილი საბჭოთა რუსეთი, შავი ზღვის ნაპირებიდან ჩრდილოეთის მყინვარ ოკეანემდე, ბალტიის ზღვიდან შორეულ აღმოსავლეთ კამჩატკა-სახალინის კუნძულებამდე.

* * *

სრული ორმოცი წელიწადია, ქართველი ერი, ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მრავალჯერ ნაცადი ხერხითა და გამოცდილებით, დროსა და მდგომარეობის შესაფერ ბრძოლასა და მოქმედებას აწარმოებს; ხან იარაღ ასხმული, ხანაც მშვიდობიანი საქმიანობით, ჩრდილოეთიდან შემოჭრილი, ისტორიული მტრის წინააღმდეგ, მისი ეროვნული მეობის დასაცავად, ძალით წაქცეული სახელმწიფოს აღსადგენად, წართმეული თავისუფლებისა და სუვერენობის დასაბრუნებლად:

1921 წელშივე სვანეთის სპონტანიური აჯანყება; 1921-22 წლებში, ქართველ სამხედრო წრეების შეთქმულება, კონსტანტინე აფხაზის მეთაურობით და მათ მიერ მოწყობილი ფშავ-ხევსურეთის აჯანყება; ქართლ-კახეთში და იმერეთ-გურიაში ერთი მეორეზედ მიმდევნო პარტიზანული რაზმების ბრძოლები; ქართული ინტელიგენციის—სტუდენტთა და მოსწავლე ახალგაზრდობის გამუდმებული დემონსტრაციები; ქარხნის მუშების სისტემატიური გამოსვლები; ეკლესიის მეთაურთა, სამღვდელოებისა და მორწმუნეთა წინააღმდეგობა და გაბედული აშკარა გამოსვლები; დაბოლოს 1924 წლის აგვისტოს ამბოხება «დამოუკიდებლობის კომიტეტის» მიერ მოწყობილი, დღეს ეროვნულ გმირათ მიჩნეულ, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მეთაურობით, საქართველოს კიდით-კიდემდე რომ გაიმალა, რამოდენიმე ათას საუკეთესო მამულიშვილთა სისხლში რომ ჩაახრჩო საბჭოთა რუსეთის წითელ მა არმიამ.

ამ საერთო აჯანყებამ, დასავლეთ ევროპაში დიდი პლატონიური თანაგრძნობა გამოიწვია, ბევრი მელანიც დაღვარა, რაც დამაშუშებელ მალამოდ დაედო ქართულ სხეულ ზე, ხელახლად გახსნილ ჭრილობას, მაგრამ ვერ განკურნა.

1930—1938 წელთა შორის, ეროვნულ-პოლიტიკური შეთქმულებები, მიხ. ჯავახიშვილისა და გრ. ლალიძის მეთაურობით, რამოდენიმე ათეულ საუკეთესო მამულიშვილ მა რომ პასუხი აგო საკუთარ თავთა ერის სამსხვერპლოზედ ზვარაკად მიტანით: თვით ქართველთა კომუნისტური პარტიის მეთაურთა «ეროვნულ-უკლონისტური» მოძრაობა საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგოთ; მეორე დიდი მსოფლიო ომის დროს, ეროვნული ემიგრაციის ინიციატივით რამოდენიმე ათიათასი მეომრისაგან შემდგარი ქართული ლეგიონი, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი მათი ერისათვის თავისუფლების აღდგენის მიზნით; დაბოლოს 1956 წელს თბილისსა და მთავარ ქალაქებში სტუდენტთა და მოსწავლეახალგაზრდობის თავგანწირული სისხლიანი გამოსვლები და ასობით მსხვერპლი.

. .

მტრის მიერ ყოველმხრივ ცეცხლის რკალ შემორტყმულ კავკასიის ყურეში, მღელვარე შავიზღვის ნაპირებიდან — ბოხუცი თეთრი კავკასიონის მთების კალთებამდი, ქართველი ხალხი პირაკრული, ხელ-ფეხზედ ჭანგიან ბორკილ დადებული «ბევრჯერ დაპყრობილი, არასოდეს დამორჩილებული» თავგამეტებით იბრძვის, მისი ბუნებრივი მოკავშირეთა, ქრისტიანული და განათლებული თავისუფალი მსოფლიოს მიერ, მის ანაბარათ მიგდებულ-მიტოვებული, მისი «პატრიმონი»-ის დასაცავათ, მისი შებღალული ეროვნული ღირსებისა, «ეროვნული მეობის» აღსადგენად.

სრული ორმოცი წელიწადია, რაც დამარცხების დღიდანვე, ევროპაში გამოხიზნული ქართველი ერის მეთაურობა, ოფიციალური თუ ოფიციოზური, პოლიტიკური თუ მებრძოლი წრეები—მთელი ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაცია, იქ ბორკილდადებული და პირაკრული. სასიკვდილოთ მკერდში დაჭრილი ქართველი ერის «პორტპაროლათ» ქცეული, სამფერი დროშის ქვეშ იბრძვის და იღწვის: თავისუფალი მსოფლიოს ყურადღებას წამებული ქართველი ერისადმი მოუწოდებს, სახელმწიფოთა მმართველ წრეებს, საერთაშორისო დაწესებულებებსა თუ კონფერენციებს მემორანდუმებით მიმართავს, საქართველოს საკითხის დაყენებასა სთხოვს. მათ მიერ ორმოცი წლის წინ გაცემული სიტყვის განაღდებას, ქართული სახელმწიფოს აღდგენასა და მისადმი ისტორიის მიერ მიკუთვნებულ თავისუფლებისა და სუვერენობის აღდგენას მოითხოვს, საერთაშორისო სამართლ ის თანახმად.

ამ დიდ ისტორიულ ეპოქაში, რომელიც ეროვნულ ი თა-

ვისუფლების ნიშნისა და დროშის ქვეშ მიმდინარეობს, როცა თავისუფალი მსოფლიოს დასავლეთის დიდი სახელმწიფოების თანხმობითა და ხელისშეწყობით, უკანასკნელი მსოფლიო ომის შემდეგ, რამდენიმე ათეულმა ერმა მოიპოვა სახელმწიფოებრივი თავისუფლება და დღეს კიდევ აზია-აფრიკის კონტინენტზედ, ათეულ ერს ანთავისუფლებენ, ისტორიულის აუცილებლობით. ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაცია, ახდილათა და ხმამაღლა მიმართავს თავისუფალი მსოფლიოს მეთაურებს,—დასავლეთ-აღმოსავლეთის უმაღლეს წარმომადგენელთა შეხვედრის დროს, დაუყენონ,—საერთაშორისო მორალისა და სამართლის თანახმად, საბჭოთა რუსეთის მთავრობას, რომელიც, სიტყვით ერთა თავისუფლებისა და ანტიკოლონიალიზმის მებაირაღტრედ გამოდის, რუსეთის მიერვე დაპყრობილი და კოლონიათ ქცეულ, რამოდენიმე ათეული ერის განთავისუფლების და მათ შორის, რუსეთის პირველი მსხვერპლის—სამიათასწლოვან, ქრისტიანულ კულტურულ, რასიულათ გამოკვეთილ—მის საკუთარ ტერიტორიაზე, სახელმწიფოებრივ მომზადებული ქართველი ერის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხი.

* * *

იქ საქართველოში, მოსკოვი უსირცხვილოთ ემზადება, ქართველ ხალხს მისი დამარცხებისა და დაცემის თებერვლის შავი დღეები აღდგომისებურ დღესასწაულად მოაწყობინოს. ეს არ უკადრია არც თემურლანგს და არც შახბაზს!

ეროვნულ პოლიტიკური ემიგრაცია თებერვლის დღეებს, ეროვნული დამარცხებისა და დაცემის, ეროვნულ გლოვისა და ძაძის დღეებათ აცხადებს, სამძიმარს უთვლის მშობელ ერსა და ქვეყანას და ფიცსა სდებს მათ წინაშე გაასკეცებულის ენერგიითა და სიმხნევით განაგრძოს მათი დიდებისა და გამარჯვებისაკენ მიმავალი, ეკლოვანი და აღმართი გზით სიარული, საბოლოო გამარჯვებამდე.

„26 მაისი"

«26 მაისი», ქართველი ერის ეროვნული დღე, რომელსაც, რუსეთის მიერ დაკავებულ სამშობლოში, ქათველი ხალხი, სიჩუმით და საიდუმლოთ, მის გულში დღესასწაულობს. საფრანგეთის ქართულმა ემიგრაციამ მეორმოცედჯერ გადაიხადა, მთელი მისი ენტუზიაზმით, ეროვნული შეგნებისა და სულის ერთობის ნიშნის ქვეშ, მომავლისადმი შეურყეველის ოწმენით.

დღესასწაული გადახდილ იქმნა Hoch-ის, ეროვნული დროშებითა და ემბლემით მორთულ-, დარბაზში. ლოტბარ ალ. ნაკაიძის ხელმძღვანელობით გუნდმა შეასრულა დიდება

და მარსელიოზა. ასოციაციის თავმჯდომარე ბ. ლ. ზურაბიშვილის გასახსნელ სიტყვის შემდეგ, მეტად შინაარსიანი მოსასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა, ქართველი ხალხისადმი თანაგრძნობით აღსავსე, დღესასწაულის საპატიო თავმჯდომარეთ მოწვეულმა, უცხოელ მუშათა დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარე—ბატონ Le Bourr მა, რომელმაც ქართველობას მოულოცა «26 მაისი» პარიზის მუნიციპალიტეტის სახელითაც. მოსასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს მოწვეულ უცხოელ დელეგაციების წარმომადგენლებმა, მათ შორის: პოლონეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნ დენიდეცკიმ, უკრაინელ-პროფესორმა ა. კულჩინსკიმ და ლატვიის ყოფილმა მინისტრმა ბ. ტურაუშკამ.

ამის შემდეგ, როსტომ წერეთელის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა მოცეკვავეთა ანსამბლმა შეასრულა მთელი რიგი ქართული ჯგუფური ცეკვებისა, რომელმაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრეთა შორის. პოეტ გ. ყიფიანმა მოხდენილად წაიკითხა მის მიერ «26 მაისი»-სათვის მიძღვნილი ლექსი. მისივე ლექსები წაიკითხეს რუსუდანა და ნანუ სტურუებმა. დაბოლოს რამოდენიმე ქართული სიმღერა შეასრულეს ჩონგურზე დანძმან—გულნარა და ოთარ პატარიძეებმა.

შემდეგ გაიმართა ქართული სუფრა—ქეიფი და ცეკვა-სიმღერები. უცხოელ მოწვეულ სტუმრებისათვის გამართულ იქმნა დარბაზის შუაგულში საპატიო სუფრა, ქართული ტრადიციის მიხედვით.

დღესასწაული დილის 5 საათზე დამთავრდა. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთში დაბადებული და შეძლებისადაგვარად ეროვნულ-ტრადიციებით აღზრდილი, დაახლოებით 150 ახალგაზრდა, დედ მამათადმი ჩვეულებრივი ეატუზიაზმით, ეროვნულ შეგნებითა და რწმენით ეგებებიან «26 მაისს». ეს იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამავე ენერგიითა და რწმენით გააგრძელებენ ეროვნული თავისუფლებისათვის მოქმედებასა და ბრძოლას.

ქართული ასოციაციის თავმჯდომარემ, უამრავი მოსალოცი დეპეშები და წერილები მიიღო უცხოელ მეგობრებისაგან, რომელთაც ვერ შესძლეს, «26 მაისი»-ს დღესასწაულზე დასწრება.

უადგილობის გამო ვაქვეყნებთ მათგან, მხოლოდ რამოდენიმეს:

ბატონ თავმჯდომარე!

სამწუხაროთ, შაბათობით დაკავებული ვარ ჩემ საარჩევნო ოლქში, და ვერ შევძლებ დავესწრო და მონაწილეობა

მივიღო თქვენი ეროვნული დღესასწაულის ზეიმში. ვსარგებლობ ამ შემთხვევით და მოგიძღვნით თქვენა და ქართულ ეროვნულ ემიგრაციას ჩემს მხურვალე თანაგრძნობას და თქვენი საქმისადმი ურყევ ეთგულებას.

პატივისცემით: მიშელ შუმანი
საფრანგეთის ეროვნული საბჭოს
საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

ბატონო თავმჯდომარე!

იტალიაში ყოფნის გამო, სამწუხაროდ, ვერ ვესწრები თქვენს ეროვნულ დღესასწაულს. გარწმუნებთ, რომ საფრანგეთი არ ივიწყებს საბჭოთა რუსეთის ტყვეობაში მყოფ ერებს, და სურს მოესწროს მათი დამოუკიდებლობის აღდგენას, და მათ მოწყობას იმავე ერთობის სახით, როგორიც დღეს დასავლეთ ევროპაში ნხორციელდება: სრული თანასწორობისა და თავისუფლების ნიადაგზე.

კეთილშობილსა და მხნე ქართველ ერს გრძელი და მდიდარი ისტორია აქვს და მისი ეროვნული ასპირაცია, რომელსაც ვერ დათრგუნავს ვერცერთი ძლიერი დამპყრობელი.

უძღვნი საუკეთესო სურვილებს საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოს.

რენე ბარუ
საფრანგეთის ამბასადორი.

ძვირფასო მეგობრებო!

თქვენი საქართველო და ნება მიბოძეთ ვთქვა, ჩვენი საქართველო, დღეს ტყვეობაში მყოფი, მგლოვიარებაში ზეიმობს მის დამოუკიდებლობის აღდგენის «26 მაისის» დღეს.

ის ტყვედქმნილია ავაზაკ იმპერიის მიერ, მაგრამ მისი გული და სული ცოცხალია და განაგრძობს ჩვეულებრივის ენერგიით და გამბედაობით, მისი ათასწლოვანი ეროვნული მეობის დაცვას და ბრძოლას დაკარგული ეროვნული თავისუფლების მოპოებისათვის, იმ რწმენით, რომ შორს არაა ის დრო, როცა ნათელი დღენი შესცვლიან ტყვეობის ბნელს დღეებს.

მონობაში მყოფ საქართველოს ფხიზელი გუშაგები თქვენა ხართ ძვიფასო მეგობრებო, თქვენ გეყრდნობათ იმედი და რწმენა თქვენი სამშობლოს მომავლისა. დარჩით ერთგულნი თქვენი იდეალისადმი. თავი არ მისცეთ არც მოდუნებას, არც სასოწარკვეთილებას. თქვენს მომავალ თაობას შთაუნერგეთ და გადაეცით, თქვენი წმიდა იდეალი, გამძლეობა და იმედი მომავლისა.

მრწამს და გრწამდესთ, რომ დიდი ბრწყინვალე წარსულის მქონე ქართველი ხალხი ადრე თუ გვიან დაიბრუნებს ეროვნულ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და აღიდგენს საკუთარ სახელმწიფოს.

მარად თქვენი ჟან მარტენი.
საქართველოსათვის არსებული
საერთაშორისო კომიტეტი.
ჟენევა.

——

ძვირფასო მეგობრებო!

საქართველო ის ქვეყანაა რომელზედაც, ყველა სხვაზე ხშირად, ვოცნებობდი სიყრმეში. წაკითხული მიადვილებდა წარმომედგინა მისი ბუნების ჩარჩო, და არაჩვეულებრივი სილამაზეთა თავმოყრა. ვიცოდი კიდევ, რომ იქ შეჩერდნენ, დამკვიდრდნენ, და გვერდიგვერდ დაეწყვნენ. კაცობრიობის ელემენტები რომელნიც ეკუთვნოდნენ თეთრი რასის უკეთილშობილეს შტოებს.

უეჭველია საქართველო იქნებოდა საგანი პირველის ჩემი დიდ მოგზაურობათაგან, რომ გარემოებას არ აეგო, მის და ჩვენ შორის, ზღუდე—რომლის გადალახვის სურვილი არ მქონდა. ამ ზღუდეს აგების პასუხისმგებლად ჩვენ არ ვთვლით ქართველ ხალხს. მით უფრო ძვირფასი იყო ჩვენთვის. შემდეგში ცნობა, რომ ამ ხალხს ხელი არ აუღია იმაზე, რაც შეადგენს მის მეობას, და მის თვითარსებობის უფლებას.

ჩვენ ვცხოვრობთ აბსურდის და პარადოქსის მსოფლიოში. სწორედ ისინი ვინც ყიკინით მოითხოვენ დამოუკიდებლობას, ისეთი ტერიტორიებისათვის, რომელთაც ჯერ შეგნება არა აქვთ იმისა თუ რა არის თავისუფლება, და სადაც ცივილიზაცია, დროთა მანძილზე დღემდე, მხოლოდ გარედან მორთმეული საჩუქარია არა სცნობენ სრულწლოვანად. და შემძლეთ თავისი-თავი განაგოს. ჩვენი ძველი კონტინენტის, ამ ერთ-ერთს, უმდიდრეს ისტორიის, ტრადიციების და კულტურულ შემოქმედებათა პატრონ—ხალხს.

დღევანდელი—ქართული ეროვნული დღესასწაულის—ზეიმობა, არ წარმოადგენს თავისთავად არც საკმაო ნუგეშს, და არც რაიმე კომპენსაციას, მაგრამ წარსული გვასწავლის, რომ სწორედ როდესაც ბოროტება, და მისი მსახურნი, აღწევდნენ თავხედობის უმაღლეს წერტილს,—ამგვარი ხელშიშველი მოწმედ-მოხმობა უკუნითი უფლებისა, და უკუნითივე მორალისა, წინ უძღოდა და მოასწავებდა: ისტორიის მიერ—ზარალის ანაზღაურებას!

ჟიულ რომენ.
საფრანგეთის აკადემიის წევრი.

თენგიზ დადეშქელიანის დაკრძალვა

1961 წლის ოქტომბრის 7-ს ლევილის «ქართველ ძმათა» სასაფლაოზე დასაფლავებულ იქმნა, ქართული ჯარის ყოფილი უფროსი ოფიცერი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, თავადი თენგიზ დადეშქელიანი.

თენგიზის კუბოს ირგვლივ შემოიკრიბა, თითქმის პარიზის მთელი ქართველობა. მისადმი მიძღვნილ გვირგვინთა შორის გამოირჩეოდა, მისი მნიშვნელობით. ცოცხალი სამფერი ყვავილ ბით შემკული ჯვარი, რომელიც ქუთაისის ქართული გიმნაზიის ყოფილმა მოსწავლეებმა მიუძღვნეს მათ უფროს სკოლის ამხანაგს, რომლის გაცივებულ გულზე საქართველოს ერთი მუჭა მიწა დააყარეს.

სიტყვები წარმოსთქვეს: საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ლ. ზურაბიშვილ მა, ქართული გიმნაზიის ყოფილ მოსწავლეებმა ბბ. ვიქ. ნოზაძემ და ელ. პატარიძემ.

—

დასაფლავებიდან 40 დღის-თავზე, პარიზის ქართველთა წმიდა ნინოს ეკლესიაში უამრავ ქართველობის თანდასწრებით გადახდილ იქმნა მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, რომლის შემდეგ, მის ნათესავ გ. ჩხეიძის ოჯახში გაიმართა გარდაცვალებულის ხელისგახსნის სადილი, რომელსაც საქართველოს ჯარების მთავარსარდალ ლენ. კვინიტაძესთან ერთად, თენგიზის ახლობელი ნათესავები და მეგობრები დაესწრნენ.

მოსმენილ იქმნა სერგო იანეთელის მიერ შედგენილი და მაგნეტოფონზე გადატანილი სიტყვა და განსვენებულთან უკანასკნელი საუბარი.

თ ე ნ გ ი ზ დ ა დ ე შ ქ ე ლ ი ა ნ ი

1961 წლის 4 ოქტომბერს პარიზის მახლობლად, პატარა ქალაქ არპაჟონის საავადმყოფოში გარდაიცვალა თენგიზ დადეშქელიანი.

კიდევ ერთი მამულიშვილი გამოაკლდა უცხოეთში მყოფ ქართველობას, კიდევ ერთი ლტოლვილის ცხედარი მიიბარა ქართულ მადლიან მიწასთან ზიარმა ლევილის სასაფლაომ. განსვენებული თენგიზი ძირითადათ ჩრდილო ამერიკაში იყო დიდი ხნიდან დამკვიდრებული, მაგრამ იგი კარგად ცნობილი იყო უცხოეთში ყველა ქართველისათვის. თენგიზი

ერთი იმ ქართველთაგანი იყო, რომელმაც ყველაზე მეტი იმოგზაურა სამშობლოს მიღმა, ევროპისა თუ ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში; მას გული მიუწევდა ყველგან იქ, სადაც ეგულვებოდა თავისი მიწა-წყლისანი. შამულიშვილებთან ურთიერთობაში ჰპოვებდა იგი უსამშობლოთ გამოწვეულ გულისტკივილების დაყუჩებას.

მის პიროვნების კეთილშობილური თვისებები იყო: ყაცთმოყვარეობა, თავმდაბლობა, თავაზიანობა და ღვთაებრივი თაყვანისცემა ყოველგვარი ქართულ ადათებისა. ორმოც წელზე მეტი უცხოეთში ყოფნამ მასში ოდნავადაც ვერ ჩაჰკლა ქართული ელემენტები.

გარეგნობითაც ხომ თვალში საცემი იყო მისი პიროვნება! პირველ შეხვედრისთანავე იპყრობდა იგი მნახველის ყურადღებას თავისი გოლიათური მოყვანილობით. თვალ ჩინ წარმოგიდგებოდათ ჩვენი სახელოვანი წინაპრების სახე მუზარად ასხმული. რომ ერკინებოდნენ ურჯულო მტრის მოქნეულ ხმალს საუკუნეების მანძილზე. ამ სახელოვან წინაპრების ნაშიერი იყო თენგიზი სისხლითაც. მაგრამ მას არ ჩვეოდა მედიდური ქედმაღლობა. იგი იყო მართალია უაღრესად თავმოყვარე, მაგრამ თავმდაბალი, სადა და ყველ ასი პატივმცემელი. ყოველ ქართველთან შეხვედრა მასში იწვევდა გულმართალ სიხარულს და თავის სიცოცხლის უკანასკნელ მაგალითითაც დაამტკიცა გახსენებულმა ეს მგრძნობიერება; ამიტომაც დაიმსახურა მან თანამემამულეებში თანაგრძნობა და სიყვარული. მის დასაფლავებას დაესწრო პარიზის ქართულ სათვისტომოს უმეტესობა და მგრძნობიარე სიტყვებით შეამკეს მისი საფლავი.

დიდხანია თენგიზი შეპყრობილი იყო განუკურნებელი ავათმყოფობით—კიბოთი. ამ სატკივრებისაგან სამკურნალოდ მას არ დაკლებია ამერიკის ცნობილ სააკადმყოფოებში განთქმულ ექიმების ხელი, მაგრამ თანამედროვე მედიცინა ჯერ კიდევ უძლურია ამ სატკივართან ბრძოლაში.

ავადმყოფმა ადრიდანვე იგრძნო თავისი ხვედრი, ექიმებმაც არ დაუმალეს, რომ მას არ ეწერა დიდი ხხის სიცოცხლე. ულმობელი სენი დაეუფლა მის გოლიათურ სხეულის ყველა უჯრედს და სანთელივით დაუწყო დნობა. ყოველი დღე, ყოველი საათი თუ წუთი სწრაფი ნაბიჯით მიახლოვება იყო სიკვდილთან. მაგრამ თენგიზი ღრმად-მორწმუნე ადამიანი იყო. იგი არ მიეცა სასოწარკვეთილებას. «ეს უფლის ნებაა!» სთქვა მან, თუმცა მაშინვე აღეძრა ერთი ნატვრა, ერთად ერთი სურვილი, უკანასკნელი სათხოვარი ღვთაებასთან: მისცეს მას ძალა და საშუალება ჩააღწიოს ამერიკიდან პარიზამდე, სადაც მას ეგულვება თავის საყვარელ დასთან ერთად სხვა მრავალი გულშემატკივარი ქართველი. სურს დაიმარხოს ლევილის ცნობილ სასაფლაოზე, სადაც მრავალ თანამემამულეთა

სამარეს მიმატებია რამდენიმე მუჭა ყურთხეული ქართული მიწა, რომლის სიმბოლიური მნიშვნელობა გულს უთბობს და რაღაც მალულ ნუგეშს აძლევს ყოველ ქართველს უცხოეთში. აი აქ, თუ სამშობლოში არა, აქ ქართულ მიწასთან ზიარ ლევილის სასაფლაოსაკენ მიუწევს მას გული. თან სურს სიკვდილამდე კიდევ ერთხელ იხილოს პარიზის ქართველები, რომელთანაც მას წარსული ტკბილი მოგონებები აკავშირებს.

თენგიზს ეუბნებიან, რომ ძნელი იქნება ასეთ მძიმე ავადმყოფისათვის ამ შორ მანძილზე მოგზაურობა. მითუმეტეს დიდხანია მისმა ორგანიზმმა შეწყვიტა საკვების მიღება. იქაური ქართველებიც ურჩევენ მას ხელი აიღოს ამ სახიფათო გადაწყვეტილებაზე. იქნებ გემზე გზაში დალიოს მან სული მარტოდ-მარტომ უცხოელებთან, აქ მაინც რამდენიმე ქართველი უპირისუფლებს მომაკვდავს; მაგრამ გარდაუვალია მისი გადაწყვეტილება. თენგიზი გულისძახილს მიყვება, გული კი ეუბნება, რომ უფალი უსათუოდ შეუსრულებს მას ამ უკანასკნელ თხოვნას.

მალულმა იმედმა მხნეობა შემატა ავადმყოფს. მუხლებში თითქო ძალა ჩაუდგა, თავი უკეთ იგრძნო და სამუდამოდ დაემშვიდობა ამერიკას, რომლის ქვეშევრდომიც იგი იყო.

გამართლდა მისი წინასწარმეტყველება საშინელ ყოფაში, მაგრამ მაინც ჩამოიტანა სული მან პარიზამდე. განსვენებულის ამ საქციელმა გულისხმიერი აღტკინება და თანაგრძნობა გამოიწვია პარიზის ქართულ სათვისტომოში. ერთი თვის განმავლობაში მას თავსეხვივნენ თანამემამულენი და მასთან ხანგრძლივი საუბრით უმსუბუქებდნენ იმ უემურ ტკივილებს, უნკურნებელი სატკივარი რომ აყენებდა მის სხეულს. პირველხანებში განცვიფრებაში მოყავდა თენგიზს მნახველები. იგი სასიკვდილოდ განწირულ კი არა, უფრო ნაავადმყოფარსა ჰგავდა გამოჯანსაღების პროცესში რომაა და მხიარულ ამბების თხრობით იქეთ, რომ ართობს მნახველებს, მაგრამ ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო. დღედადღე გაიდგა ფესვი მის ორგანიზმში სატკივარმა და სულ ერთ თვეში გათავდა მოხეთქილი ვაჟკაცი.

უკანასკნელ დღეებში მის სანახავად მისულთ თვალში ეცემოდათ ის კონტრასტი, რომელიც იქმნებოდა მის საწოლის კედელზე დაკიდულ ვაჟკაცის ტანისამოსსა და ამჟამად, იქვე ლოგინზე დალეულ სხეულს შორის. წყეული სატკივარი მიწვდა მის ორგანიზმის ყველა უჯრედს და სიკვდილის წინ ერთი დღით ადრე მეტყველების უნარიც წაართვა. 4 ოქტომბერს ნაშუადღევს მან სამუდამოდ განუტევა სული.

წავიდა ჩვენი საყვარელი თენგიზი ამ ქვეყნიდან, მაგრამ მან დაგვიტოვა ბევრი რამ მისაბაძი. პირველყოვლისა ულრმესი რწმენა ღმერთისა, უსაზღვრო სიყვარული თავის ქვენი-

სა, გულშემატკივრობა თანამოძმეთა ბედისა და ქედმოუტეხელობა სიკვდილთან. აი თვისებები, რომლითაც მან უვიწყობის ძეგლი დაიდგა თანამემამულეთა გულში.

განსვენებული ისე მსჯელობდა სიკვდილისა და სიცოცხლის საკითხებზე, რომ ადვილად გავუმხილეთ სურვილი ჩაგვეწერა იგი, რომ დაგვრჩენოდა მისი ხმა სიკვდილის შემდეგ. თენგიზი კმაყოფილებით დაგვთანხმდა ამაზე და სიცილით სთქვა: «გიტარაზე ისეთ ლეკურს დაგიკრავთ ფეხები აგითამაშდებათ»-ო. იგი იმ ხანებში ჯერ კიდევ ღონეზე იყო, სამწუხაროდ ეს განზრახვა დროულად სისრულეში ვერ მოვიყვანეთ, ამასობაში კი იგი ისე დასუსტდა, რომ ჩაწერის დღეს უკვე ლაპარაკიც უჭირდა. მიუხედავად ამისა, მაგნეტოფონით საავადმყოფოში მისულთ მხიარულად შეგვხვდა და ჩაწერაზე უარი არ გვითხრა.

ვიდრე მაგნეტოფონს ჩასაწერად მოვაწყობდით, ოთახში რაღაც უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, თითქო საიდანღაც ულმობელ სიკვდილის აჩრდილმა გაიელვაო, ყველასი გული სევდამ მოიცვა. აქამდე მხიარული თენგიზი დადუმდა და მის მუდამ მომღიმარე სახეზე ნაღველი ალიბეჭდა. იმ მომენტში სიკვდილზე ფიქრებს მიწვდა ოთახში მყოფთა გონება და მწარე ფიქრებმა დააღონა თვითეულის გული. წარმოუდგა ყველას რომ რამდენიმე დღეში სამუდამოდ დადუმდება სიცოცხლით სავსე ვაჟკაცის ბაგეები, რომლისთვისაც ამ წუთში მაგნეტოფონია ჩასაწერად გამზადებული.

აი, ასეთ სევდიან ყოფაში მივუახლოვე მაგნეტოფონი სასტუმლიდან წამოწეულ თენგიზს რომ თავისი უკანასკნელი სურვილი გვამცნოს და აი მისი პასუხი: «... ჩემი უკანასკნელი სურვილთაგანია შემდეგი .... ქრისტემ აკურთხოს საქართველო .... გაუმარჯოს მის ძლიერებას .... და ეცადოთ ქართველმა ერმა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ ვიყავით კურთხეული მაცხოვრისა და ღვთისმშობლის მიერ .....

გაუმარჯოს საქართველოს და გაუმარჯოს კარგ ქართველობას....

..... ბევრი მინახავს, ბევრი მიელია, მაგრამ არსად არ შემიმჩნევია ისეთი თვისებები, როგორიც მინახავს ქართველთა შორის... ესაა სულის სიძლიერე, რომელიც მოგვანიჭა ჩვენ უფალმა, რომელსაც ჩვენ ვიკუთვნებთ, მაგრამ ეს ღვთის განგებაა, ღვთის სიძლიერე ჩვენში...»

ნაწყვეტ ნაწყვეტად ამბობდა განსვენებული ამ სიტყვებს. რამდენიმე წუთს საუბრობდა იგი თავის დასთან სვანურადაც, მაგრამ მალე ძალა აღარ ეყო და მისი უკანასკნელი სიტყვები იყო «მეტი აღარ შემიძლია»-ო...

ექვსი დღის შემდეგ მან საბოლოოდ განუტევა სული.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

სერგო იანეთელი.

სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიათა კრება.

(ჩვენი გულისწყრომა და პროტესტი)

ამა წლის 24 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე საბერძნეთში შესდგა სრულიად—მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლების კრება—რომლის დანიშნულება იყო საერთო მართლმადიდებელ ეკლესიათა მომავალი მსოფლიო ყრილობისათვის წინასწარი შეხვედრის მომზადება.

ჩვენის ცნობით, შორეულ წარსულში, მე-7 საეკლესიო ყრილობის შემდეგ, ასეთ კრებებს აწყობდა და მეთაურობდა 4 აღმოსავლეთის პატრიარქი: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის.

სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევა განიზრახა 1920 წლიდან კონსტანტინოპოლის პატრიარქმა. 1930 წელს ათონის მთაზე მოწვეულ იქმნა წინასწარ მოსამზადებელი კრება, რომელსაც რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელი ვერ დაესწრო, საბჭოთა რუსეთის კომუნისტური მთავრობისაგან ნებართვის მიუღებლობისა გამო.

ამა წლის საეკლესიო კრებას დაესწრო, სხვათა შორის, სრულიად რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელი, მიტროპოლიტი ნიკოდიმი, კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ წინასწარ მიცემულ იმ თანხმობის შემდეგ, რომ ამ კრებაზე მოწვეულ ყოფილიყვნენ, საბჭოთა რუსეთის გავლენის სფეროში მომწყვდეული: ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, პოლონეთის და ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენელნიც. საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მანდატი მიითვისა რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელმა. მიუხედავად მისი მომხრეების მოყვანისა კრების პრეზიდიუმში არ იქმნა არჩეული რუსეთის მიტროპოლიტი.

უკანასკნელის ეს მანევრი, ივერიის ავტოკეფალური ეკლესიის მიმართ, ამყღავნებს იმავე იმპერიალისტურ პოლიტიკას, რომელსაც ატარებს საბჭოთა რუსეთის მთავრობა ქართველი ერისა და საქართველოს მიმართ.

ქართველმა ერმა, რუსის ხალხზე 4 საუკუნით ადრე მიიღო ქრისტიანობა. ივერიის ავტოკეფალური ეკლესიის დამოუკიდებლობა, საქართველოს სამეფოს ძალათ გაუქმებისა და დაპყრობისას, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე გაუქმა რუსეთმა. 1917 წელში, ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად, სრულიად საქართველოს ეკლესიამაც აღიდგინა ავტოკეფალია, რომელიც მხოლოდ 28 წლის შემდეგ, სახელდობრ 1943 წელში მიიღო და იცნო რუსეთის ეკლესიამ.

ასეთი ძველი და მნიშვნელოვანი ივერიის ეკლესიის გამორიცხვა მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიათა საერთაშორისო კრებულიდან, უთუოდ გამოიწვევს ქრისტიანულ ქართველ ხალხის გულისწყრომას.

საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის გამგეობამ, სათანადო საპროტესტო ნოტით მიმართა მათ უწმიდესობას კონსტანტინოპოლის პატრიარქსა და არშეეექ ათინაგორას. ნოტაში გამოთქმულია ქართული ემიგრაციის გაკვირვება და გულისწყრომა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ, ასეთი ისტორიულად გაუმართლებელი მოქცევისა გამო.

«ივერია»-ს რედაქციაც, ქართული ეროვნული და დემოკრატიული წრეების სახელით, მის მართალ გულისწყრომას და პროტესტს გამოსთქვამს და მოუწოდებს სრულიად საქართველოს ეკლესიის მეთაურობას, სამშობლოში მყოფ ქართველ ქრისტიანულ ხალხსა და სხვა ქვეყნებში გამოხიზნულ ქართველობას, ხმა აღიმაღლონ და დაიცვან, სრულიად ივერიის მართლმადიდებელი ეკლესიის ღირსება და მისი უზენაესი-უწმიდესი უფლებები. ქართული ეკლესია ისტორიულად ერთ-ერთი შემქმნელია ჩვენი ეროვნული ცხოვრების, მისი სულიერ-მორალური ფუძეა და ბევრ დასაყრდენი. მისი ღირსებისა და უფლებების დაცვა, ქართული ეროვნული მეობის დაცვაა.

„საბჭოთა პოლიტიკური ომი"-სადმი საწინააღმდეგო კონფერენციის მეორე კონგრესი.

ამა წლის ნოემბრის 18—22-ს, რომში, შესდგა დაჩატარდა «საბჭოთა პოლიტიკური ომისა»-დმი საწინააღმდეგო მეორე კონგრესი, რომელიც მოწვეული იყო თავისუფალი ქვეყნების ცნობილ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთაგან შემდგარ საინიციატივო კომიტეტის მიერ (პირველი კონგრესი შესდგა შარშან, დეკემბერში პარიზში).

რომის კონგრესს დაესწრო, მთელი თავისუფალი მსოფლიოს დიდი და პატარა სახელმწიფოთა პოლიტიკური წარმომადგენელნი, 350 კაცამდე. მათ შორის, საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა ემიგრაციების წარმომადგენელნი.

პარიზის ბლოკის სახელით ბბ. ნ. ცინცაძე, კანტემირი და აბრამჩიკი.

ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრიდან ბბ. ლ. ზურაბიშვილი, ელ. პატარიძე და მათთან ერთათ—ბ. ჯ. გვაზავა—ჟურნალისტი და ახალგაზრდა რ. პაპუაშვილი, როგორც მეთვალყურე. კონგრესის ერთ-ერთი სხდომის საპატიო თავ-

მჯდომარედ წინასწარ შეტანილი იყო სიაში, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და დამფუძნებელი კრების წევრი ბ. ი. გობეჩია, რომელიც კონგრესს ვერ დაესწრო.

პარიზის ბლოკის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ბ. ნ. ციცაძემ.

ბ. ლ. ზურაბიშვილმა წაიკითხა ქარ. ეროვ.-პოლიტიკური ცენტრის მიმართვა კონგრესისადმი—მემორანდუმი. რომელიც რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოს მდგომარეობას აღნიშნავს და მისი გათელილი ეროვნული უფლებების აღდგენას მოითხოვს. მოკლე სიტყვა წარმოსთქვა, ქართველი ერის უფლებების დასაცავად ბ. ჯ. გვაზავამ.

კონგრესის ოთხი დღის რვა სხდომაზე დაახლოებით ოთხმოც ორატორმა ილაპარაკა, თავისუფალი მსოფლიოს პოლიტიკურმა წარმომადგენლებმა. ყველანი ამხელდნენ საბჭოთა რუსეთის მიერ წარმოებულ პოლიტიკურ ბრძოლას, თავისუფალი მსოფლიოს მიმართ, და მოითხოვდნენ დასავლეთის და მისი ცივილიზაციის დასაცავად საწინააღმდეგო ბრძოლას და სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას. ორატორთა მიერ ხშირად იყო ნახსენები განსაკუთრებით უკრაინა და საქართველო.

კონგრესის მთავარი ხაზი იყო საბჭოთა ქვეყნების მიერ წარმოებულ საერთო პოლიტიკურ ბრძოლისაგან თავისუფალი მსოფლიოს თავისუფლების იდეისა, დემოკრატიული წყობილებისა და ცივილიზაციის დაცვა. საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების და განსაკუთრებით უკრაინელ და ქართველ დელეგატთა შეთანხმებული გამოსვლებით, ხდებოდა ეროვნული თავისუფლების ელემენტის შეტანა კონგრესის მუშაობაში.

საინიციატივო კომისიის მიერ წარმოდგენილი საერთო რეზოლიუცია, რომელიც დასავლეთ ქვეყნებისაგან მოითხოვდა საბჭოთა ქვეყნების მიმართ პოლიტიკური ბრძოლის წარმოებას და საამისო გეგმას სახავდა, საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ, და განსაკუთრებით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების «სატელიტები»-სათვის «ოტოდეტერმინაციას» მოითხოვდა. ეს დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა «საბჭოთა რუსეთის» მიერ დაპყრობილი ერების წარმომადგენელთათვის. უკრაინელებსა და ქართველებს მოუხდათ, სათანადო განმარტებების სახით ბრძოლის მიცემა, რათა მათი და სხვა ერების თავისუფლების საკითხი გარკვეულად ყოფილიყო შეტანილი რეზოლიუციაში. უკრაინელებმა, სათანადო კატეგორიული განცხადებით, დასტოვეს სხდომა. ქართველთა დელეგაციამ გარკვეული დამატებითი რეზოლიუცია წარადგინა: «იმ თავისუფალი და დამოუკიდებელი ერებისათვის,—რომელნიც დაპყრობილ იყვნენ საბჭოთა რუსეთის მიერ,—მოვითხოვთ მათი თავისუფლებისა და დამოუკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებლობის ავტომატიურ აღდგენას»-ო. და დასძინა თუ ეს წინადადება მიულებელი აღმოჩნდება, ჩვენც დავსტოვებთ სხდომასო. სხდომის თავმჯდომარემ ამ რეზოლიუციას უყარა კენჭი და მიღებულ იქმნა აბსოლიუტური ხმის უმრავლესობით 2 ხმის წინააღმდეგ.

ქართული ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა კონგრესის წევრებს დაურიგეს, პარიზიდან მზად წაღებული მემორანდუმი კონგრესისადმი, ერთი წლის წინ «ოთხ მთავარ სახელმწიფოს მეთაურთა პარიზის შეხვედრაზე» გადაცემული მემორანდუმის ასლები და საქართველოს დაპყრობის 40 წლ ის თავზე, პოლიტიკური პარტიების მიერ გამოცემული მიმართვა თავისუფალი მსოფლიოსადმი. დამსწრე.

აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის „კაპტივ" ერთა მე-V საგანგებო სესია

ამა წლის ოქტომბრის 18—20-ში პარიზში შესდგა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის «კაპტივი» ერების (სატელიტების) მე V საგანგებო სესია, რომელზედაც მიწვეულ იყვნენ, საპატიო სტუმართა შორის, ქარ. ეროვნულ პოლიტიკური ცენტრის წევრები ბბ. ლ. ზურაბიშვილი და ელ. პატარიძე.

უკანასკნელმა სესიის პრეზიდიუმს გადასცა ეროვ. ცენტრის მისალმება და თან განმეორებითი თხოვნა, სათანადო განმარტება-დასაბუთებით, ქართ. ეროვ. ემიგრაციის პოლიტიკურ წარმომადგენელთა «კაპტივ» ერების საზოგადოებაში დაშვების შესახებ. ეს წინადადება დასმულ იქნა სესიის საგანგებო კომისიაში, რომელმაც ვერ შესძლო საბოლოო პასუხის გაცემა.

«კაპტივ» ერთა თავმჯდომარე ბ. ფერანს ნაგი მ ეროვ. ცენტრის წევრებთან კერძო საუბრის დროს დასაშვებად მიიჩნია ეროვ. ცენტრის წინადადების გადატანა და დასმა საბოლოო პასუხისათვის კაპტივთა საზოგადოების მთავარ ორგანოში,—რომელიც ამერიკაში არსებობს.

აღსანიშნავია და საიმედო, რომ სესიის მესამე სხდომაზე, პოლონეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება მიაქცია «კაპტივთა» გარეშე დარჩენილი, საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების საკითხს და სასარგებლოთ მიიჩნია «კაპტივ» ერების საზოგადოების გაფართოება ამა თუ იმ სახით იმ ერების მიწვევით.

ქართველთა მეგობარმა ფრანგმა Le Bourr-მაც ხაზი გაუსვა საქართველოს საკითხს და ურჩია «კაპტივ» ერთა საზოგადოების მეთაურობას ქართველთა და მათ ბედში მყოფი ერების წარმომადგენელთა მათ წრეში დაშვება.

აკაკი წერეთლის დღე.

ამა წლის ოქტომბრის 22-ს, პარიზში, ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ მოაწყო, აკაკი წერეთლის დღე, მისი დაბადებიდან 120 წლისთავის აღსანიშნავად.

სადღესასწაულო სხდომა გახსნა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნ შ. კალანდაძემ.

აკაკი წერეთლის ლიტერატურულ შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ბ. პ. სარჯველაძემ; აკაკის საზოგადოებრივი ხასიათის მოღვაწეობის შესახებ—ბ. გოგი წერეთელმა.

მგოსნის ხსოვნას, ლირსშესანიშნავი ლექსი მიუძღვნა პოეტ გ. ყიფიანმა. ქბ რ. სტურუას ასულმა მოხდენილად წაიკითხა აკაკის ცნობილი ლექსები: «ჩრდილოეთო დამეხსენი» და «სიყვარული».

უადგილობისა გამო, ვათავსებთ მხოლოთ თავმჯდომარე ბ. შ. კალანდაძის მიერ წარმოთქმულ სიტყვას:

საქართველოს მეცხრამეტე საუკუნეს მრავალი დიდი პოეტის, მწერლის და საზოგადო მოღვაწის სახელი ამშვენებდა. დავასახელებთ საუკეთესოთ მათ შორის და აკაკი წერეთელის სხხელიც იქ იხსენიება. აკაკი წერეთელს მოუხდა მოღვაწეობა სწორედ იმ შავ დროს, როდესაც ჩრდილო ქერას წყალობით ქართველ ერს მაინც და მაინც უნდა დაეკარგა თავისი ეროვნული სახიერება რაც მას ათიულ საუკუნეთა განმავლობაში ზღვა სისხლით დაეცვა და შეენარჩუნებია. აქ ძველებურად არც ხარკი შეეღოდა და არც კლდეთა და ღრეთათვის თავის შეფარება. სამარის პირზე მისული ჩვენი ეროვნული ცხოვრების განსაცდელისაგან გადარჩენისთვის სხვა უკრო გაშლილი გზები არ არსებობდენ. მაშინ ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით სიარული იყო საჭირო, რათა ზოგი რამ დაზოგვილიყო, ზოგი რამ გადარჩენილიყო. საბედნიეროთ ერს გამოუჩნდა მოღვაწენი, რომლებმაც ეროვნულ თვისებათაგან განძარცული ცოცხალ-მკვდარი ერი ვით ლაზარე საფლავიდან ამოიყვანეს.

სულით დაცემული, სულიერად აღადგინეს, თვისი სახე და მეობა დაუბრუნეს. ურგო დაატოვებინეს, სარგო შეუნარჩუნეს. ერთი სიტყვით ჩვენი წაქცეული ვინაობის აღდგენისათვის რაც კი იყო საჭირო არაფერი დაიეიწყეს. ამ მოღვაწეთა შორის აკაკი ერთი პირველთაგანია. ის უწინარეს ყოვლისა მგოსანია, მწერალია. მწერლის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რამდენადაც ძლიერად შეეხალა იგი თავის საუკუნის უსამართლობის არტახებს. აკაკი დიდი სიმამაცით ეკვეთა მას. თვალშეუდგამია, საოცარი და ძლიერ ლამაზი ამ ბრძოლის ისტორია. მაგრამ ამას უკეთ მომხსენებლებიდან მო-

ვისმენთ. მოვისმენთ სიტყვას ქართულს, გულწრფელს და მართალს. საქართველოშიაც დღესასწაულობენ ასეთ თარიღებს. მაგრამ იქ ქართული აზრი დატყვევებულია, ქართული სიტყვა დამუნჯებული. ილია დაასახიჩრეს, ვაჟა დაამახინჯეს, აკაკი გაამრუდეს. ყველაფრის მითვისების და გაყალბების კომუნისტურმა უნარმა ქართული მწერლობა უშნოთ ჩაუყლიტა მის ბინძურ სარეცელში და დაუკარგა აზრი და დანიშნულება.

ქართული ემიგრაცია თავისუფალი საქართველოა მინიატურაში. ქვის გული უნდა ჰქონდეს საქართველოს შვილს, რომ ეს ისტორიული მოვლენა—მისი დანიშნულება და ხვედრი, სავსე მაღალი ტრაღიკული მნიშვნელობით ვერ გაიგოს ისე, რომ დარდით და ნაღველით გული არ აევსოს. ქართული სიტყვა და აზრი უშიშრად თავისუფლად აქ ითქმება—აკაკის მოღვაწეობის და შემოქმედების მთლიანობა ყველა სახსრების მიხედვით იქნება გადახსნილი, ვნახავთ, რომ აკაკიმ ამ ქვეყანაზე იარა ქართველი ადამიანის მგრძნობიერი გულით. ვნახავთ როგორც მოწამეს ქართველი ერის სულიერ წარღვნათა ჯოჯოხეთისას. მაგრამ როგორც მახარობელს ცისკარის განწმენდისას საქართველოს მთათა კირჩხირებზე გადმომდგარს.

აკაკის, როგორც საზოგადო მოღვაწეს და ქართველი ერის უბადლო პირის-უფალს, ეკუთვნის ჩვენი ღრმა ფიქრი მისი დაბადების ას ოცი წლის თავზე.

„საქართველო"-ს უკანასკნელი ნომერი

ჩვენს ხელთ არის, საქარ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო «საქართველო»-ს 1921 წლის 21 თებერვლის, ჩვენის ხსოვნით, უკანასკნელი ნომერი.

საქართველოს დამარცხების ორმოცი წლის თავზე, საპიროდ მივიჩნიეთ, იმაში მოთავსებული ზოგიერთი ადგილები მოვიყვანოთ, რათა მკითხველმა იმ შავი დღეების მდგომარეობა,—ქართველობის სულიერი განცდები მოიგონოს და ერთხელ კიდევ განიცადოს:

სრულიად საქართველოს ქათალიკოს-პატრიარქ ლეონიდის მოწოდებიდან: «ძენო ქართლისაო! სრულიად საქართველოს ვაქაცნო და ქალნო! მადლი და კურთხევა იესო ქრისტესი თქვენდა.

საუკუნოებით განწირულ საქართველოს საღმრთო განგებამ არგუნა ხვედრი, გახდეს სამარედ სკვითებისა, რომელთაც შემუსრეს და დასცეს რუსეთი და რომელნიც აზია-ევროპაში მხოლოდ ყველასფერს ანგრევდნენ და ანადგურებდნენ. თითქოს უკეთურნი უახლოვდებოდნენ ჩვენს დედა-

ქალაქს და დამშეულნი ელოდნენ თბილისში გემრიელი პურით და ღვინით გაძღომას, თბილისის განთქმულ აბანოებში დასუფთავებას. მაგრამ როგორც არასოდეს მტკვარი პირს არ იბრუნებს უკუღმა, ისე ჩვენი ვერაგი მტერი ვერ მიაღწევს ბოროტ-განზრახვას, ღმერთი არ აღირსებს მას საქართველოს დაპყრობას. ყოვლად წმიდა ღვთის მშობელი ცეცხლად შეარგებს მას ჩვენი მამულის პურსა და ღვინოს, რომელსაც ქართველობა ვხმარობთ სებისკვრად და ზედაშათ.

საყვარელნო, ფრონტის ზურგში მყოფნო! შევინარჩუნოთ სრული დარბაისლობა, გულის სიმშვიდე და ხასიათის სიმტკიცე. ნუ მივეცემით საშინელ და ცრუ ხმებს».....

«ენდეთ ჩემს ჯალარას, როგორც ვერავითარი ძალა ვერ მოგლეჯს თავის ძირიდან კავკასიონს, თუ არა მიწის ქვეშიდან ამოხეთქილი ძლიერება, ისე ვერავითარი ბოლშევიკები და სომეხ-აზერბაიჯანელები (!?) ვერას დააკლებენ, სახელოვან კახელ-ქიზიყელისა, თუშ-ფშავ-ხევსურ მთიელებისა, უტეხი ქართლელებისა და ამაყ იმერ-ოდიშარ-აფხაზ-სვანთაგან შემდგარ საქართველოს ლაშქარს, თუ ფრონტის ზურგი მტკიცედ გვექნება დაცული. გთხოვთ ჩემო ძენო და ასულ ნო, სამშობლოს სიყვარულით გაიმსჭვალოთ».

«ღმერთმა აკურთხოს და ჩქარი ძლევა-მოსილებით შემოსოს ჩვენი ამაყი ლაშქარი!

ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა დაიცვას და დაიფაროს თავისი დედობრივი კალთით მისი წილხდომილი საქართველო! ქება-დიდება და მარადისობა ქართველ ერს!»

— საქართველო დაეცა სკვითების ხელით და დიდი კათალიკოს პატრიარქიც მის მაღალ სამსხვერპლოზე.

დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ გიორგი ევაზაგას წერილიდან:

«ჯერ ომი სწარმოებს, საშინელი ომი, მაგრამ საქართველოს გულიდან, თბილისის კლდეებიდან, უკვე ალმოხდა «ვაშა!» და გამარჯვების გრიალი ეფინება ქვეყნიერებას. რუსეთის დამშეულთა ურდოები, რომელნიც ემუქრებიან ბოლ ს განათლებულ კაცობრიობას, წარღვნით და წალეკვით, უკვე ეხეთქა ირაკლი მეფის სტრატეგიულს ხაზებს, ეხლა გაქვითკირებულს ჩვენი მამულიშვილების მკერდით, ეხეთქა, დაიმტვრია შუბლი და დამარცხებული იხევს უკან.

ვაშა საქართველო!

მოხდა დიდებული და გმირული საქმე. ჰწყდება ბედი არა მარტო საქართველოისა, არამედ მთელი კავკასიის და მთელი წინა აზიისა. ამ წამს, განცვიფრებული ქვეყნიერება დაჰყურებს საქართველოს რუქას: როგორ? ამ პატარა ერმა მოახდინა ეს სასწაული?!

ამწამს ლოიდ ჯორჯი, მილლიერანი, ვილსონი თუ ჰარდინგ, უსათუოდ ხელახლად გადასინჯავენ თავიანთ პოლი-

ტიკის გეგმას, იძულებულნი არიან შეუფარდონ იგი ახალ ფაქტორს, მსოფლიო ისტორიისას—საქართველოს. ლენინი, ცნობილი ლენინი, შუბლშეხრილი და დაღვრემილი იყურება სამხრეთისაკენ: ნუ თუ აქ საქართველოს საზღვრებზე, უნდა დამარცხდეს და განიავდეს, მისი ველური ოცნება? ნუ თუ აქ არის შეურყეველ და მტკიცე ზღუდე განათლებისა და თავისუფლებისა?! ჰფიქრობს იგი.

დიაღ, აქ არის! ქართველ ერს არ ეტყობა დაღლილობა, თვითეული ჩვენგანი გრძნობს საიდუმლო ეროვნულ სულს... ცაში დადის ლანდები ჩვენი წინაპრებისა..... საფლავებს უელის ქრუანტელი სიცოცხლისა.

ვაშა საქართველო!

ვაშა ღენერალ კვინიტაძე!»

— ამ სტრიქონების დამწერი, შეუდრეკელის ნებისყოფით განაგრძობდა საქართველოს დამარცხების შემდეგ დაკარგული თავისუფლების მოპოებისათვის ევროპაში მოქმედებასა და ბრძოლას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე,—საფლავის კარებამდე.

✓ რევაზ გაბაშვილის წერილიდან:

«ლომებივით იბრძვიან იუნკრები, საერთო ხმაა და, მართლაც, ყველა ნაწილებიდან იუნკრები ყველაზე მედგრად და განუწყვეტლივ ამაგრებენ ფრონტსა. ზურგიდან გამაგრებულ არტილერიით, ისინი ჩასაფრებიან წუნკალა მტერსა და მთელი დღე და ღამე, როგორც ზღვის ტალღებს, უკან აქცევენ ბოლშევიკების იერიშებს. განდევნილნი კოჯრიდან და ქოროღლიდან, უკანასკნელნი ასკდებიან ტაბახმელის მაღლობებს, მაგრამ ამაოდ. ზარბაზნები, ტყვიისმფრქეველები, დაჭრილ-დახოცილნი და სურსათი გაბნეულა მთელს მტრისაგან დატოვებულ. ბრძოლის ველზედ და სისტემატიურად ახევინებენ უკან მაღლობიდან მაღლობზედ და უმზადებენ საერთო ტომარას..... ყველგან ერთი და იგივე ხმაა: «ერას გზით მივცემთ თბილისს. ბოლშევიზმი საქართველოდან იწყებს მისი საფლავის თხრასაო».».

შეუპოვარის წერილი: ღენერალი კვინიტაძე.

«მისი სახელი ეკერა პირზე ყველას, მტრის ვერაგულ და თავხედ შემოსევის პირველსავე გაგებაზე.....

მისკენ ჰქროდა გონება ყოველი ქართველი პატრიოტისა, ვისაც სწამდა და სწამს ბრწყინვალე მომავალი სამშობლოსი. მისი ძალა და უნარი მტერთან საბრძოლველად.... მის სახელოვან გმირის შარავანდედით მოსილ პიროვნების გარშემო, შეიკრიბა სხივები ეროვნულ ენტუზიაზმისა, ერის ცხოველმყოფელ იმედისა, გამარჯვების ნებისყოფისა. მისმა «მომქმედ ძალად» გადაქცევამ, მისმა მოწოდებამ სამოქმედო ასპარეზზე—იმედით ალავსო ქვეყნის გული, განამრთელა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განამტკიცა იმედი და რწმენა ქვეყნის ხსნისა და გამარჯვებისა.

იგი კვლავ მეთაურობს უძველველ მხედრობას, კვლავ მის მძლავრ მარჯვენას ჩაჰბარდა განწირვის ჟამს ბედი ქართლისა.

კურთხეულ იყავნ მარჯვენა შენი გმირო ქართლისაო! გზა გამარჯვებისა იყავნ მუდმივი და განუწყვეტელი ხვედრი შენი და ძლევამოსილ შენის მხედრობისა! იხსენ ერი შენი განსაცდელისაგან!»

— ომის, ბოლოდღეებში სარდლათ მიწვეული, ღენერალი კვინიტაძე «სასწაულმოქმედებას» ვერ იზამდა და ერს განსაცდელისაგან ველარ იხსნიდა.

— ქართული ლაშქრის ამ მცხოვან სარდალს 87 წელი უსრულდება. ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ საქართველოს დამარცხების ამ ორმოცი წლის თავზე, უღრმესი მადლობის გრძნობები მიუძღვნათ, მის მიერ ერისა და სამშობლოსადმი გაწეული სამსახურისათვის. მრავალ-ჟამიერი სიცოცხლე უსურვოთ.

შოთა რუსთაველის საფლავი იერუსალიმში.

(გრ. აბულაძის მიერ ნათარგმნი)

ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, ნიუიორკის და პარიზის პრესაში, რომლის ავტორიც არის ცნობილი ჟურნალისტი გერშონ სვეტი. მოგვყავს, ამ წერილის მოკლე შინაარსი, რომელიც შეიცავს მკითხველისათვის, საინტერესო ცნობებს:

იერუსალიმის, რეხავიას უბანში აგებულია წმ. ჯვრის მონასტერი.

ძველი ლეგენდის მიხედვით, ამ ადგილზე მდგარი მუხის შტოები, გამოყენებულ იქმნა იმ ჯვარისთვის, რომელზედაც ქრისტე, ჯვარცმულ იქმნა.

მეოთხე საუკუნის დასაწყისში, ქართველ ბერებს, აქ აუგიათ მონასტერი და საუკუნოების განმავლობაში აქ მოდიოდენ, ქართული ეკლესიის მსახურნი, ცნობილი ქართველი მეცნიერნი და სწავლულნი.

ჩამოსულა, იერუსალიმში, თამარ მეფეზე, უიმედოთ შეყვარებული, ქართველი ეროვნული მგოსანი შოთა რუსთაველი.

რუსთაველი, აქ წმ. ჯვრის ქართულ მონასტერში, ბერათ აღკვეთილა და დარჩენილა, სადაც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გარდაცვლილა, და იქვე დაკრძალულ იქმნა.

ეს და სხვა მრავალი ცნობები, იერუსალიმის წმ. ჯვრის ქართული მონასტრის შესახებ გამოაქვეყნა იზრაილის სარ-

წმუნოებათა სამინისტროს მრჩეველმა, იერუსალიმის უნივერსიტეტის ყოფ. დოცენტმა, დოქტორ ხაიმ ვარდიმ, ინგლისურ ყოველთვიურ ჟურნალში «ქრისტიანული ამბები იზრაილიდან». «წმ. ჯვრის მონასტრის» სათაურით მოთავსებულ, წერილში.

ხსენებულმა წერილმა გამოიწვია დიდი ინტერესი ქართველ მეცნიერთა შორის. შედეგი არის ის, რომ იზრაილში—საქართველოდან, ჩამოვიდა დელეგაცია: პროფესორ ორიენტალისტების გიორგი წერეთელის, აკაკი შანიძის და მწერალი ირაკლი აბაშიძის შემადგენლობით.

ქართველებმა თან ჩამოიტანეს საჩუქრები, იზრაილისთვის, ახლა-ხან მცხეთაში გათხრების დროს, ნაპოვნი ძველი ბიბლიური ხელნაწერების და ებრაულ-არაბული წარწერების მიკროფილმები.

დოქტორ ვარდის ცნობით, იერუსალიმის ქართული წმ. ჯვრის მონასტრის დაარსების სწორი წელი, აქამდე გამორკვეული არ არის.

ლეგენდის თანახმად ხარჯები, ქართული სავანის დასაარსებლათ იერუსალიმში, კონსტანტინე დიდის მიერ დათმობილ მიწის ნაკერზე, გაიღო საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასლანმა, რომელიც მეფობდა მეხუთე საუკუნეში.

ზოგიერთ, საშუალო საუკუნოების, ქართულ ქრონიკებში აღნიშნულია, რომ მე-XI საუკუნეში, 1038 და 1057 წლებს შორის,—ქართველმა ბერმა პორფილემ (გერშონ სვეტის და დ-რ ვარდის ცნობით, პროხორმა ააშენა, საყდარი წმ. ჯვრის მონასტერში, საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხის, ანტიოხიის, იერუსალიმის და სინაიის, ქართველ ძმათა სავანეების, ფინანსიური დახმარების, მეოხებით.

დოქტორ ვარდის წერილის მიხედვით, ეს მოხდა ეგვიპტის ხალიფის მუსტანსირის (1034—1094) დროს. როდესაც ბიზანტიის იმპერატორებმა მიხეილ მეოთხემ (1034—1041) და კონსტანტინე მონომახმა (1042—1055) რესტავრაცია უქმნეს, უფლის კუბოს ტაძარს და სხვა ქართულ წმიდა ადგილებს, პალესტინაში (რომლებიც დანგრეულ იქმნენ 1009 წელში).

იმ ხანებში ქართული მართლ-მადიდებელი ეკლესია მეფის კარის მემწეობით ძლიერ აქტიური იყო, იერუსალიმში, და ეს არც გასაკვირია—რადგან ბაგრატიდების დინასტია სთვლიდა თავის თავს, მეფე დავითის შთამომავალათ.

საქართველოდან, პალესტინაში მოდიოდა, დიდძალი მლოცველები და საქართველოს ეკლესიისთვის შეიქმნა აუცილებელი, თავისი საკუთარი მონასტრის იერუსალიმში აგებდა.

მისს აშენებას, ჯერ ფიქრობდენ, გოლგოთის მთასთან

—შემდეგ კი ის აგებულ იქმნა, იმ მუხასთან რომლის შტოებისგან გაკეთდა ჯვარი, რომელზედაც ქრისტე ჯვარცმულ იქმნა.

ამ მონასტრის მოძღვარი—იყო იმავე დროს—გოლგოთასთან აშენებული ტაძრის მოძღვარიც და ინიშნებოდა თვით საქართველოს მეფისგან.

ჯვაროსნებმა, ქართველები შეავიწროეს და აიძულეს დაეტოვებინათ გოლგოთის მიდამოები. მაგრამ წმ. ჯვრის მონასტერს კი, ხელი ვერ ახლეს. იმ დროს საქართველო იყო სერიოზული ფაქტორი მსოფლიო პოლიტიკაში.

მე-XII საუკუნე, თამარის მეფობის დრო (1184—1212 წ.) იყო საქართველოს, გაფურჩქვნის ეპოქა.

ქართველ მლოცველებს, იერუსალიმში მინიჭებული ქონდათ განსაკუთრებული უპირატესობანი, სხვებთან შედარებით, რაც მათ შეინარჩუნეს, მე-17 საუკუნემდე.

სწორეთ, ამ ეპოქაში მოვიდა იერუსალიმს, ქართველი ეროვნული მგოსანი შოთა რუსთაველი და მოუტანა მონასტერს ძვირფასი საჩუქრები, თამარ მეფისგან. მგოსანი აქ ბერათ აღიკვეთა, მიიცვალა და აქვე დაკრძალულ იქმნა.

მეთოთხმეტე და მეთუთხმეტე საუკუნეებში, პალესტინაში, ქართული კოლონია, ჯერ კიდევ, დიდათ გავლენიანი იყო. ქართველები ფლობდენ მრავალ ტაძრებს და მონასტრებს. წმ. ჯვრის მონასტერი კი იყო, ქართული სულიერი და ადმინისტრატიული ცენტრი.

ამ მონასტერს ქონდა დიდი მამულები, როგორც პალესტინაში, ისე საქართველოში.

მეთექვსმეტე საუკუნეში, მას შემდეგ რაც პალესტინა გადავიდა თურქეთის მმართველობის ქვეშ, ქართველების გავლენა თანდათან შემცირდა. არეულობის დროს მოესპო საშუალება ქართველ მეფეებს, დახმარებოდენ იერუსალიმის მონასტერს. რომელიც ბოლოს გადავიდა, საბერძნეთის პატრიარქის ხელ-ქვეით.

1643 წელს, არქიმანდრიტ ნიკიფორემ, თავადი ომან ჩოლოყაშვილის შვილმა—პალესტინაში ჩამოსულმა, შეაკეთა წმ. ჯვრის მონასტერი და ტაძრის მხატვრობაც განაახლა, მეფე ლეონ მეორე, დამიანის დახმარებით.

როდესაც მონასტრის ფინანსიური მდგომარეობა ხელახლათ გაუარესდა, საბერძნეთის პატრიარქმა, დოსითეოსმა, დაფარა მისი დავალიანება და აიყვანა მონასტერი თავის მფარველობის ქვეშ. ამის შემდეგ წმ. ჯვრის მონასტერი, იმყოფება საბერძნეთის პატრიარქის გამგებლობაში.

გაბრთხილება და რჩევა.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, ადგილი აქვს, საბჭოთა რუსეთის აგენტების აშკარა პროპაგანდასა და მოქმედებას, რომლის მიზანია ჩვენი ეროვნულ პოლიტიკური ემიგრაციის რიგებში, გაუგებრობა, არევ-დარევა, უთანხმოება შეიტანოს და დაშალოს მისი სულიერი ერთობა. ამისათვის გამოყენებულია, ხელთნაწერი, უმსგავსო, ცილისმწამებელი ბარათები, ტელეფონი, ზეპირი ჭორები. მათ ზურგს უმაგრებს, აღმოსავლეთ ბერლინიდან მოსული და ემიგრანტებისათვის დაგზავნილი, პრიმიტიული კედლის გაზეთი «სამშობლოს ხმა», სამშობლოში დაბრუნებისათვის და თანამემამულეებთან კულტურული კავშირის განვითარების კომიტეტის გამოცემა. ამ საბავშვო გაზეთს დევიზათ აწერია —იდიდე მარად ჩემო სამშობლო.—!!

გაზეთი არავითარ უზნეო საშუალებას არ ერიდება, ჭორების გავრცელებით, სახელი გაუტეხოს ეროვნული ემიგრაციის პოლიტიკურ მოღვაწეებს. თანაც, ბავშვურად შერჩეული მასალებით, სამშობლოში დაბრუნების სურვილი აღუძრას და განუვითაროს ემიგრანტულ წრეებს. ზოგიერთნი გზაბნეული ემიგრანტი თუ არა ემიგრანტი შეგნებითა თუ შეუგნებლად, მტრის მიერ გადმოგდებული, ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური იდეიისა თუ მოქმედების საწინააღმდეგო აზრებსა და დებულებებს თუთიყუშივით იმეორებ'ა და ამით ზიანს აყენებს ქართულ ეროვნულ თავისუფლებისათვის უცხოეთში წარმოებულ მუშაობას.

ჩვენ ჩვენი ღირსებისათვის დამამცირებლათ მიგვაჩნია იმ საბრალო და ნაცოდვილარ გაზეთთან, ან მის აგენტებთან პოლემიკის წარმოება. მაგრამ ამავე დროს ჩვენს ეროვნულ მოვალეობათ მიგვაჩნია. მათი გაფრთხილება და რჩევა: ბოლო მოუღონ ემიგრანტულ წრეებში, მათ მიერ წარმოებულ ანტიეროვნულ და ფარულ საქმიანობას, და გასცილდნენ ქართულ-ეროვნულ პოლიტიკურ ემიგრაციას. ჩვენ ჯერ არავინ დაგვისჯია სამშობლოში დაბრუნების სურვილის გამოთქმისათვის. სამშობლოში დაბრუნებული კი თითქმის არავინ დარჩენილა, საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაუსჯელი.

ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ ემიგრაციას დასაწყისიდანვე, მისი უზენაესი მიზანი აქვს—ეროვნული თავისუფლების აღდგენა—და უწმიდესი მოვალეობაც—ამ მიზნისთვის მოქმედება და მოღვაწეობა, საბოლოო გამარჯვებამდე —სამშობლოს მარად დიდებისათვის.

აბონდანის ისტორიული შატო.

(ქართველ და უკრაინელ მოხუც ემიგრანტთა თავშესაფარი)

აბონდანის, გრანდიოზული და თვალთწარმტაცი, შატო, ედემისმსგავს თვალთმიუწვდენელ პარკში, აგებულია მეთოთხმეტე საუკუნეში ლუი მე-XIII-ის სტილზე. შემდეგ რამოდენჯერმე გადიდებულია და გამშვენიერებული. შატოს პატრონები,—საფრანგეთის მეფეთა კართან დაახლოვებული და წარჩინებული—პირები, ხშირად იცვლებოდნენ მე-14, მე-15 საუკ. მანძილზედ, და შატოც ადგილი იყო ალბად მრავალი ისტორიული მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ამბების.

ამ საუკუნის დასაწყისში, აბონდანის შატო შეძენილ იქმნა ჰარეესისა და საფრანგეთის დიდი მეგობარ—მორგანის მიერ, რომელთაგანაც შეისყიდა, როტშილდის ოჯახთან დანათესავებულმა ავსტრიელმა, ბარონ კოენიგსვარტერმა. უკანასკნელი ომის განმავლობაში, აბონდანის შატოში მოთავსებულ იქმნა გერმანული ჯარების «Etat major» და შემდეგ «S. S.»-ების შკოლა. ომის დამთავრების შემდეგ, ბარონ კოენიგსვარტერმა დაიბრუნა შატო.

ემიგრანტთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოებამ, რომლის ყურადღება მიიქცია ქართული ემიგრაციის მდგომარეობამ, შეისყიდა ეს ისტორიული შატო, რამოდენიმე ათეული მილიონის საფასურით. ვინაიდან ქართველ მოხუცთა რიცხვი მცირე იყო, აქ მოაწყო ქართველ და უკრაინელ მოხუცთა თავშესაფარი. მისი შეკეთება-მოწყობის ხარჯებიც მან გაიღო და ეს შატო გადასცა ადგილობრივ დაარსებულ ასოციაციას, რომლის მეთაურ ორგანოში შედიან საფრანგეთის სათანადო ორგანოების წარმომადგენელებთან ერთად, ქართულ და უკრაინულ ემიგრანტების მმართველ ორგანოების მეთაურები. ამ მოხუცთა თავშესაფარის მატერიალური ხარჯები იკისრა საფრანგეთმა. ეს ისტორიული შატო, მისი, ემიგრანტთა მიერ გამოყენების შემდეგ დაუბრუნდება საფრანგეთს მის კუთვნილებად.

ამ ისტორიულ შატოში მოხუცთა თავშესაფარი გაიხსნა 1952 წლის ივლისის პირველს. თანახმად ხელშეკრულებისა და წესდებისა, აქ მიღების უპირატესობა აქვთ ქართველებსა და უკრაინელებს.

ქართველთა რიცხვი თავიდან 35 იყო, დანარჩენები კი უკრაინელი და სხვა ეროვნების მოხუცები არიან, დაახლოებით 100 კაცამდე.

თავშესაფარის მმართველად და გამგეთ მოწვეულ იქმნა M-r Paul Briccos-ი, კაცი დიდი შემოქმედების ინიციატივითა და უნარით, და ამავე დროს დიდი კეთილი გულით აღჭურვილი. ის მეთოდიურათ აწარმოებს თავშესაფარის მატერიალურ-სულიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას და ამა-

ვე დროს დიდის ყურადღებით, გაგებითა და თანაგრძნობით ეექცევა პანსიონერებს.

მისი ინიციატივით მოხდა გერმანელების წასვლის შემდეგ შატოს პარკის გამშვენიერება, ყვავილებითა და ხეთა დარგვით, ვრცელი ხეხილისა და ბოსტნეულობის ბაღის გაშენებით, შატოსაგან დამოკიდებულ ქვე-შენობების აღდგენათა დამთავრება: ერთ მათგანში მოწყობილია დიდი ეკლესია, ქრისტიანულ სამი კულტისათვის. მეორეში საავადმყოფო დაახლოებით 40 საწოლით, სადაც მოთავსებულნი არიან დავრდომილნი და დაავადებულნი, რომელნიც განსაკუთრებულ მოვლასა და მხრუნველობას მოითხოვენ. იქვე მოწყობილია ექიმისა და კბილის საექიმო კაბინეტები.

შატოშივე არსებობს დიდი სამკითხველო წიგნთსაცავი უკრაინულ და ქართულ განყოფილებით. ერთ დიდ დარბაზი გამოყენებულია, მოხუცთა გართობისათვის—თამაშისათვის. იქვე სდგას რადიო-ტელევიზიონის აპარატი.

ხანგამოშვებით ბ ნი და ქ-ნი ბრიკოსი მართავენ კონცერტებს მათი მონაწილეობით და გარედან მუსიკალური ძალების მიწვევით.

აღსანიშნავია, რომ ეს «აბონდანის შატოს მოხუცთა თავშესაფარი» მგონი ერთად ერთია და სანიმუშო, თვით შატოსა და პარკის მორთულობა-მოწყობით და იქ შექმნილი ცხოვრების პირობებით. მიუხედავად ამისა, ქართველ პანსიონერთა რიცხვი თანდათან მცირდება. ახალი აღარ ემატება. ქართველი ხანში შესული პირები არ არიან მსურველნი იქ მისვლისა და ცხოვრების.

ჩვენ მადლობას უცხადებთ ემიგრანტთა დამხმარე საერთაშორისო დაწესებულებასა, და კეთილშობილ ფრანგის ერს, ამ ყურადღებისა და კეთილი საქმისთვის, და M-r et M-me Bricoos-ს მიუძღვნით კმაყოფილების გრძნობებს.

«ივერია»-ს გამოცემისა და ეროვნულ მუშაობისათვის უკანასკნელ ხანებში, შემომწირველთა I სია:

ელ. პატარიძე—45 000 ფრ., ალ. აბაშიძე—12.000 ფრ., თენ. დადეშქელიანი—10.000 ფრ., გ. კახაბერი—10.000 ფრ., ალ. მელიავა—10.000 ფრ., ვალ. ჯიბლაძე—10.000 ფრ., სევ. ჭირაქაძე—10.000 ფრ., ალ. ნაკაიძე—7.000 ფრ., კ. ალშიბაია—7 000 ფრ., ალ. კარგარეთელი—7.000 ფრ., ირ. მჭედლიშვილი—5.000 ფრ., ლევ. ზურაბიშვილი—5.000 ფრ.

გამომცემლობა-რედაქციის მისამართი:
E. Pataridze
35, rue General Delestraint. Paris (16)

Imprimerie Coopérative Arpajonaise. Arpajon.

ก-549